


652/2
1988/2

ISSN 0134 3459

ფოტო

საერთაშორისო
ფოტოკონკურსი



1988 6



ჭოჩოხი

გამოცემის

30-ე

წელი

ლიბერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი.

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

6

1988

ნოემბერი

დეკემბერი



გათუვა

შ ი ნ ბ ა რ ს ი

პოეზია, პროზა

ემენ ღავითაძე — წიგნიდან „და- წყვეტილი სიმები“ (ლექსები)	3
შოთა ასანიშვილი — წერასატანი- ლი (მოთხრობა)	8
ბაბო სვედელიძე — ლექსები	13
გენრიეტა ქუთათელაძე — შემო- დგომის ვერნისაუი (მინიატუ- რები)	14
ჯგმალ ქათამაძე — თუ კაცს ენდო- ბი (დოკუმენტური მოთხრობა, მესამე ნაწილი)	19

ასკლი თარგმანები

მიხეილ ბულგაკოვი — ტარაკანი (მოთხრობა. თარგმნა გოდერ- ძი ტოტონაშვილმა).	33
---	----

ჯეჯილი

ვაჟა კინწურაშვილი — არასდროს ჩაიძირება (მინიატურა)	40
---	----

მოგონებათა ფურცლები

ლილი ჩიქოვანი — „იმ ღამეს გაუ-
მარჯოს, რომელიც თენდება“ 41

კვალი ნათელი

რამაზ სურმანიძე — ახალი მასა-
ლები ივანე ჯავახიშვილის პუბლიცის-
ტური მემკვიდრეობიდან 49

1878-1988

შოთა ზაქარიაძე — 110 წლის წი-
ნათ 60

თემურ გურეშიძე — ძმათა სიყვა-
რული ყოვლად შემძლებელია 63

იოსებ ბექურიშვილი — უცხოელ-
ების თვალთ დანახული აჭარა
(წერილი II) 70

წერილები

მამია ვარშანიძე — კაცი, რომელიც
უხმაუროდ ვიდოდა 78

იური სიხარულიძე — სამხრეთ-
დასავლეთ საქართველოს ისტო-
რიიდან

ხელოვნება

ვახტანგ ახვლედიანი — „მე კვლა-
ვაც გიმღერებთ“ 85

მედუზა

ზურაბ ჩხიკვაძე — სკლეროზი 88

გასულ ორ თვეში
„ჭოროხის“ 1988 წლის ნომრების
შინაარსი 94

მთავარი რედაქტორი
გ. ჩიქოვანი

ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

შოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 24. ტელ. 3-33-71



გადაეცა წარმოებას 3.10.88, ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 4.11.88, საგა-
მომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის
№ 2364, ემ 00107, ქალაქის ზომა
60×90¹/₁₆, ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი, გორკის, 91.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательств, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Горького, 91



წიგნიდან „დაწყებითი სიმები“

* * *

კედლებს უხდება ფერი ქვითკირის,
მზით ავსებულა თეთრი განჯინა.
გადავრჩი, ჩემო, გაქრა სიკვდილი,
მე შენმა ღოცვამ გადამარჩინა.
გალაღდი, ისევ ვიხილავთ აპრილს,
ბროლის დაწვებზე ცრემლებს რა
უნდა.

ფერმკრთალ ბაგეზე დატკბება
თაფლი

და ნეტარებად მიგიწვენ გულთან.
ისევ იფეთქებს ია და ნუში,
ვარდებს, ყელწითელს, ისევ
დაგიკრეფ.

შენ ერთი იგრძნობ, რად ვეყმე
გუშინ

ნაღვლიან ლექსში გამხელილ
ფიქრებს.

შენი ოცნება ახლა ნეტარი
მკლავებზე თოთო ბაღდივით
მიწევს.

მამყოფა შენთან აგრემც, ნეტავი,
და მხოლოდ შენზე მამღერა ისევ.
რადგან სიცოცხლემ ერთხელ
დაგვინდო,

აწ სიკვდილს როგორ
მოვაგონდებით,
გადაგატარებ ცხრა მთას, ცხრა
მინდორს,

და მხოლოდ შენთან
განვმარტოვდები.

უბრად რადა ხარ,
რად არას მეტყვი,
მოსწყურებიხარ ამ გულს რარიგად.
კოშკსა ზი,
კარზე გიბია ვეფხვი,
მე კი დავდივარ გარეთ ყარიბად.

ვინ დაგვიბედა ეს სიმარტოვე,
ოცნებით წვა და ფიქრად
დადნობა.

წაველ და მზისფერ ლექსს
შევატოვე
ჩემი მცხუნვარე ახალგაზრდობა.

ძვირფასო, შენით მიყვარდა ყოფნა,
მე ბედმა მიტომ არ მიმატოვა.
და თუ ვარ, მხოლოდ უშენოდ
ობლად,
ვით იეთიმ-გურჯი და საიათნოვა.

ვიცი, დღეები შენს უბეს სწურავს
და მარტო ბაღში გავლას გიშლიან.
უშენოდ შხამით სავსე მაქვს სურა,
ვსვამ, მე სხვა მეტი რა შემიძლია.

და თუ ოდესმე სიკვდილი შეცვლის
სიმღერას ჩემსას და

ერთგულებას, —
ვიცი, მე შენს თავს წამართმევს
ლექსი,

სხვა მტერი ქვეყნად არ მეგულება.
ქაქ. სსი კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ. 3

18937

* * *

რა უხმაუროდ მიდიან დღენი,
დადუმდნენ ჩემი სულის ზარები.
გიგონებ ახლა 'ოდნავ მოწყენით
და ეღვენთება რვეულს ბწკარები.
არსაით ვჩქარობ,

არც ვის მოველი,

ზღვაც და ქარებიც მაქვს —
საკუთარი.

და მრჩება მაინც მიუწვდომელი
ჩემი ცხოვრების ნავსაყუდარი.
ვერ მიწინამძღვრე ღოცვით,
გრძნეულით,
ვერ მომირჩინე სიკვდილის
წყლული.

ო, როგორც ნავი, აფრეული
შენს სიყვარულში ვარ ჩაძირული.
სხვა არც რა მრჩება, დარდს რომ
ამხელდეს

წამებულ კაცის ამბის წაღებით.
ლექსებს, ვით ჩემი სულის
ნამსხვრევებს

გაიტაცებენ წლების ტალღები.
და თუ წააწყდე წამომდგარს
მკვდრეთით,

შენ შეიბრაღე ობოლი ლექსი
და უწყალობე, მუხლმოყრით

გვედრი,

მე რომ მწყუროდა შენი ალერსი.

* * *

კვლავ მემდურიან შენი თვალები,
ჩემი სიცოცხლე კვლავ შენ
დარდშია.

რად გკითხო, გძულვარ თუ
გებრალები,
ბედმა სასხვისოდ რად აგარჩია.

ვარ უშენობით დაღლილი გედი,
უკანასკნელი მიხმობს სიმღერას.
ნეტავი შენი ობოლი ბედი
უჩემოდ ახლა საით მიღელავს?!
გუშინ მოწყენილს შეგასწარ

თვალი,

სხვისი გვირგვინის სიხარულს
ჭკრეტდი.

ვტიროდი, თუმცა არ ვიყავ ქალი,
უბრალოდ, გულში ვტიროდი
ჩემთვის.

ვიცი, დაგაჭკნობს უძირო ოზვრა,
ჩემი სიმღერის მორცხვო ფერია.
ნუთუ სიკვდილი ცალ-ცალკე
მოგვეკლავს

და ერთად ყოფნა არ გვიწერია?!
ნუ იტყვი, წარსულს არ დარდობ
თითქოს,

ვერძნობ, ჩემი ერთი დანახვაც
გშია.

შენ დაკოდილი ჰყავხარ ჩემს
სტრიქონს

და ჩემი კვალი სულში გაჩნია...

* * *

შენი ცხოვრება, ახლა მგლოვარი,
მოჰგავს ლამაზი ნავის ჩაძირვას.
ვერა,

ვერ მოვკალ შენი მსტოვარი,
ერთი უბრალო ლექსის კაცი ვარ.
შენ ისე გშვენივს წყეული თაღზი,
მგონია მისით ხარ ბედნიერი.

ყურს ნუ ათხოვებ, რას იტყვის
ხაღზი,

ხარბი, უგულო და მიწიერი.

ნუ გაკრთობს ქალწულთ ცელქი
კრებული,

ნურცა ამაყი მზერა ქმრიანთა.

ხარ მზე, ღრუბლებში
 ჩასვენებული,
რომელსაც გზებზე შეაგვიანდა.
ბრაღია ბროლის ბრიალა წვივებს
მოსავდეს შავით ცის დაფიონი.
მე რომ შემეძლოს, დაგიკრეფ იებს
და შენში ახალ ქალწულს ვიპოვნი.
შენი ცხოვრება – თბილი ბაღი,
და შენი სევდა – ცრემლი ციერი.
ნუ, ყურს ნუ უგდებ რას ამბობს
 ხალხი,
ხარბი,
 უგულო
 და მიწიერი...

რთველის ასაკი

შეთვალულა ყურბენი,
ახლოსაა რთველი.
მაგ ცეცხლს ვერ გავუძელი და
გამომეჭტა ხელი.
მაგ შენ უბეს, მწიფარეს
ვუცქირე და ვთვერი.
სიყვარული მოვიმკე და
გავიჩინე მტერი.
რა ვარ? –
არც რა ისეთი,
შენთა ფერხთა მტვერი.
შენს ნაფეხურს მოვდევი და
ვმღეროდი და ვმღერი.
შენც მწიფობას წასულხარ,
თვალს ვერ ვაძღობ მზერით.
ჩამოგივლი პატარავ და
ხელს მოვხვევ და... ჰერი.
გადაგაფრენ ჭიუხებს,
მთა დაგრჩება ზევით.
სამტროდ ვინ გაგვიმეტებს და
ფერს უხდება ფერი.

აგვიხდება ოცნება,
ამაღლდება ჭერი.
მერე მრავალ, მრავალ და
მრავალჟამიერი...

მიმინო

ჩემო მიმინო, რამ მოგაწყინა,
რატომ ხარ ასე გულამღვრეული.
მითხარი, ვინმემ ხომ არ გაწყინა,
ხომ არ მოგიკლა ამაყი გული?
იქნებ ბრჭყალები დაგაცვდა
 მკაცრი,
იქნება ფრთები აღარ გერჩიან.
შეჰკარ კამარა, გაფრინდი, გასწი,
შენ უქმად ყოფნა როდის გერჩია.
ქვეყნად რა დალევს ჩვენს
 სანადიროს,
ყველა ღამაში ქალი მწყერია.
ჯერ ხომ, ო, ჯერ ხომ ლექსად
 ნამდვილი
გულის სიმღერა არ გვიმღერია.
ჯერ ხომ, ო, ჯერ ხომ ჯავრი
 გულისა
ანთია, იწვის, როგორც ღაღარი.
სად არი ფრთები სიყვარულისა,
ან შენი კოცნის ცეცხლი სად არი.
ჩემო მიმინო, შენ ისევ შეგწევს,
შეჰკარ კამარა, შეინავარდე.
ჰეი, დავასწროთ შემართულ
 ლექსებს,
პირველი ჩვენი ლექსი გავარდეს!

* * *

დამღალა შენზე ფიქრმა და
 ლოცვამ,
ჩამოიღვენთა ბედის სანთელი.
ხარ განუცდელი სიამის მოსვლა,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ქუთაისის გზა.

გულში რომ ცეცხლი მიწვდება,
წლები რომ შემოგვიწვრება,
დაჰკრავს სიბერე ზარს, —
ეს გზა არ დამავიწყდება,
ეს გზა არ დამავიწყდება,
ეს ქუთაისის გზა...

* * *

უბერავს თითქოს ათასი ფილტვით
და აშრიანებს ქარი ნიჟარებს.

მე დასჯილი ვარ, არ ვიცი,

რისთვის

და არც ის ვიცი რა დაგიშავე.

ო, როგორც მონა შენი სურვილის,
ვარ მიჯაჭვული შენს სიახლოვეს.

წვეთენ ფიქრები რძისფერ

ცურივით

და სიყვარულის ნისლში მახვევენ.

ვიცი, სულ ახლოს გძინავს და

სუნთქავ,

შენსკენ მეძახის მუდამ ცდუნება.

შენი თვალები მე ისე მთუთქავს,

როგორც ათასი მზის დაცხუნება.

როგორც მწყურვალე წყაროს

ანკარას,

დავწაფებივარ შენს სიღამაზეს.

შენი თვალები მზეა, თაკარა,

მოვალ და მათი შუქით ამავეს.

ისე სიცოცხლის ჟინმა დაგლიოს,


როგორც რომ ტრფობის ცეცხლში

დამნაცრე.

წავეილებივარ მე შენს მაყრიონს

და ყივჩაღივით ვგდივარ

ტრამალზე...



წერასატანილი

ტანთ მძიმედ იხდიდა, თან ნაპირთან აყალყულ ჩაქუფრულ ტალღებს თვალს არ აშორებდა. ვერცხლისფრად წამოქოჩრილი, კარგა მაღალზე წამოზიდული, მუცელშელასტული ტალღა წამით შეყოვნდებოდა, ფსკერისკენ ჩამუქდებოდა, ჩაეხვეოდა, თან ჩაიყოლებდა ათას ქვა-ქვიშას და უფსკრულისკენ ჩაიწურებოდა. ჯერ ბოლომდე ხეირიანად არ ჩანთქმულიყო, ყალყზე ახალი იდგა.

„დილას ასეთი პირი არ უჩანდა“. — ერთი კი გაიფიქრა ჯუანშერმა და ზღვისკენ დაიძრა. მიდიოდა ფრთხილად, მსუბუქად, ოდნავ მოშვებული სხეულით, თითქოს გააგებულ ნადირს ხელით შებმას უპირებსო.

ჯუანშერმა ჩონჩხადქცეული ლითონის ქოლგის ქვეშ ახლადგაცნობილი საცოლე და ტანისამოსი დატოვა. ნარინჯისფერ ხაოიან პირსაწმენდზე ახალგაზრდა გამხდარი ქალი იჯდა. ქალს ფერმკრთალი სახე მკლავებზე-მოხვეულ მუხლისთავეებზე ჩამოეყუდებინა, შავი უძირო თვალებით პორიზონტს გასცქეროდა. მის გამოხედვაში ადამიანის სიჯიუტით თუ თავმოყვარეობით გამოწვეული უთანასწორო ბრძოლის გამოგნებელი სევდა ირეკლებოდა.

მერის სულ ოდნავ გააჟრჟოლა.

ჯუანშერი ზღვასთან ახლოს მიდგა. უკვე ჩაშრეტილი რძისფერი ტალღები ნაზად ულოკავდნენ ფეხის თითებს. გარინდებული უსომო ნახტომისათვის ემზადებოდა. საკმაოდ გამოცდილი, მაინც სიფრთხილით ელოდა თავის წუთს. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. შესუსტებულ ტალღას, სანამ ფსკერისკენ ჩანთქმას მოასწრებდა, მკლავებგაწვდილი გამეტებით ეკვეთა. ჩათრევა არ აცალა, მღვრიე კედელი გაარღვია, ტალღების გაღმა ზედაპირს მოექცა.

— ზოპ! — აღმოხდა მერის. სულ ოდნავ წამოიწია. სხეული ოდნავ მოეშვა. წამით არ მოუშორებია მზერა ახირებული კაცისათვის, ეს ერთი კვირა უძილობა რომ შეჰყარა.

ქაფმოკიდებულ ტალღების იქით ზღვა დაბალზე ახორკლილიყო. ჯუანშერი ლამაზი მკლავურით მიაპობდა წყალს. შორს არ გასულა, მალევე შემობრუნდა. სახეზე პირველი გამარჯვების ღიმილი ედგა. მერე ზედაპირს მოფერებით გადააწვა მთელი ტანით. სახე წყალში ჩარგო, მღვრიე სიერცეს ჩააშტერდა. ჯუანშერის მზით მსუბუქად დამწვარი სხეული ტალღებზე მიი-

მედ ირწეოდა. ერთხანს ასე ეფერებოდა დროებით დაპყრობილ-დამარცხებულს. მერე გაახსენდა, მთავარი გადასატანი წინ იყო, უფრო მძიმე და საშიში. სიცოცხლის ფასად მომწყვდებული, ტალღებს ზურგიდან საკმაოდ დაშვილებული უდარიელებდა. „ტალღებს ზომა აერევათ, ერთიმეორეს აჭრიან, წრაფად გავცურავ საშიშ ზოლს, მერე სირბილით გავინაპირებ...“ — ფიქრობდა ჯუანშერი, თან მოკლედ აქოჩრილ ტალღებზე ლივლივებდა, სხეულს ასვენებდა.

მერი კვლავ გარინდებული იჯდა. „ამ საღამოს დედამისი დარეკავს. ნეტავი, რას ვეტყვი?!“ — ფიქრი გაუწყდა. ცრემლი მოეძალა — აყალყული ტალღები გაიცრიცნენ, ზღვასა და ცას შორის საზღვარი იშლებოდა.

დამსვენებლები ზღვას სიახლოვეზე არ ეკარებოდნენ. უფრო ბულვარში დასეირნობდნენ, შორიდან ესმოდათ თავაწყვეტილი ზღვის ღმუილი. აქა-იქ თბილად ჩაცმულ მოხუცს თუ მოჭკრავდით თვალს გაცრიატებულ სანაპიროზე.

ტალღები სიმაღლეში სულ უფრო მატულობდნენ. სულ უფრო მეტი მონღოლებით მიეხვეტებოდნენ უფსკრულისაკენ ქვა-ღორღს. „ტყუილა შემოვტოპე ამ ჯოჯოხეთში...“ — ჯუანშერს ქანცის გაწყვეტის ნატამალიც არ ეტყობოდა. „ზღვა დილას ასეთი გადარეული არ ჩანდა... რაკი ერთი წამოსცდა, საღამოს ვიცურებო, სიტყვა აღარ გატეხა“. — ჭმუნვა მთლიანად მოსდებოდა მერის ფერმკრთალ სახეს. წამოდგა, ფეხის წვერებზე აიწია, მერე რატომღაც მუხლებზე დაემხო, წელში გაიმართა, მარჯვენა მკლავი ზე აღმართა, ხელის მტევანი მოწყვეტით გადააქნია. მერის ხელის მტევანს ჯუანშერმა თვალი უწვდინა. ტანი წყლის ზედაპირს საქამრემდე ააცილა. ხელის გაქნევითვე უბასუხა. მერის სახეს ოდნავ მომატა შუქი. „უეჭველად გავალ! საკმარისია ერთხელ აერიოთ ტალღებს რიტმი, ერთადერთხელ და, გავალ!“ — ჯუანშერს ეჭვი არ ეპარებოდა.

ნატვრა ამაო იყო...

ტალღები გამოზომილად იყალყებოდნენ. ჰაერში ვერცხლისფრად გაკიდებულნი მცირე ხნით ყოვნდებოდნენ, მერე დედამიწისკენ გადმოემხოვდნენ და მძიმედ იწურებოდნენ ყიამეთში, ვერც ჩაყურებულ ჯურღმულში სძლებდნენ დიდხანს. მალევე ამობრუნებულნი წყლის ახალ ნაკადს ამოიყოლებდნენ და ცისკენ იზამდნენ პირს.

წყალზე გულადმა გაწოლილ ჯუანშერს ზღვა ნაფოტივით აფარუტებდა. მოკლე თბილი ტალღებით გულში იკრავდა, ეფერებოდა, თითქოს სადღაც უხმობდა. ჯუანშერი ოდნავ შვებას გრძნობდა. გაშინაურებულივით იმედით ევსებოდა გული. მერე კვლავ გაცოფებულ ტალღებს უდარიელებდა, სიახლოვეს არ ეკარებოდა, კარგად იცოდა მათი დაუნდობლობა: ჩაგიხუტებდნენ, ჩაგიხვევდნენ, ქვა-ღორღს წაგიშენდნენ, ცოცხლად დამარხულივით ჩაგიტანდნენ ქვესკნელში.

მერი ფეხზე წამოდგა. „ყვირილს არ მოვყვე, თავი არ მოვჭრა!“ — ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია, სიმწრით თვალის უბეები ჩაუმუქდა. „ცოტა და, ქვების სროლას მოვყვები. რას აიტეხა, რას აიტეხა!“ — მერი თავს ერეოდა, გაუსაძლისს უძლებდა.

ჯუანშერის მზერა ფეხზე წამომდგარ მერის მისწვდა. „ნერვიულობს, ნაპირზე სირბილსა და ყვირილს არ მოჰყვებს... რა გაუნელებელი შეეყარა, ამ ჩემი ცოდვით სავსეს, ერთხელ მაინც აერიოს რიგი, ერთი წამით ჩაცხრებოდეს...“

აღმუვლებული ზღვა აინუნშიაც არ აგდებდა ჯუანშერის ნატვრას.

ჯუანშერმა საფეთქლებთან ოდნავი ტეხვა იგრძნო. ყურთასმენას გაბმული შუილი მისწვდა. გულადმა გადაწვა, ნაცრისფრად მოკვერილ ზეცას უწვდინა მზერა. დასავლეთით ღრუბელი წამით შეთხელდა. სპილენძით მოჭედო მზის დისკოს იმედით შესცინა. წყალი საკმაოდ თბილი იყო, მაინც მუხლის ქვევით კუნთების ზელას მოჰყვა. ყმაწვილკაცობაში გადამზდარი მწარედ გაახსენდა: იმ თაკარა ზაფხულს ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა. ფიზიკაში ოთხიანი გაიკრა. გამოცდიდან პირდაპირ პაემანზე გამოცხადდა. ბიძის პატარა ოთახში შეკედლებულს, მეორე სართულის აივანზე გადმომდგარი ქერათმიანი, ცისფერთვალებაასული მაცდური ღიმილით მოსვენებას უკარგავდა. აკი იმ დღეს ერთად ამოყვეს თავი ლისის ტბაზე. შუადღისას შესული, საღამომდე არ ამოსულა წყლიდან. აღმა-დაღმა სერავდა ტბას. ლელიანში საღამოს მარჯვენა ფეხის კუნთი ყრუდ წამოსტკივდა. ეს რაღააო? — გაიფიქრა. მერე კუნთი მუშტივით შეიკრა. მუხლისკენ მოიხვეტა. ტკივილი აუტანელი შეიქნა. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა. იქვე ახლოს რის ვაივაგლახით მიცურდა ნავთან. ნავზე ასვლაში მიეხმარნენ. ფერდაკარგული ტკივილს ძლივს უძლებდა. ნავში ხნიერი ჩოფურა კაცი მიხვდა ჯუანშერის გასაჭირს, ძალზე ნაზად შეუზილა კუნთი. ტკივილი კარგა ხანს არ ცხრებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოეშვა. ჯუანშერმა ცრემლით სავსე თვალებით შეჰღიმა ჩოფურას. „ბედი გქონია, შვილო, შემთხვევით რომ გადაგვეყარეო“. — იმავე ჩოფურამ უთხრა.

ფიქრიდან გამორკვეული ჯუანშერი კვლავ ტალღებს მიუბრუნდა. მათი ცქერა შიშთან ერთად, რატომღაც ზიზღსა და საკუთარი უმწეობის, თუ დაუფიქრებლობის საფასურად მოსალოდნელი სასჯელის წინათგრძნობას იწვევდნენ.

„ცოტაც მოითმინე, ცოტაც...“ — ჯუანშერი თავს იმშვიდებდა, იმედს არ კარგავდა.

მერი მხრებჩამოყრილი გაუნძრევლად იდგა. „ღმერთო, რა შეგცოდე, რად მაყურებინებ ამ უგუნურობას! რა უნდოდა, რისთვის შევიდა ჯოჯოხეთში?!“

ჯუანშერს საკუთარი გულის ხმა შემოესმა, სხეული მოადუნა, პირქვე

ჩაემხო. ღრმად ჩასუნთქულ ჰაერს ფილტვებიდან წყნარად უშვებდა. ყურთა-
სმენაში მთელი ზღვის ხმაური ჩასდგომოდა. „ამ ხმას ორ დღეს მაინც ვერ
დავალწევ თავს“. მერე ღიმილი მოერია, „შეიძლება მასეთი წვალება აღარ
მოგიწიოს“. გაფიქრებულმა შეზარა. წამოიწია, წყლის ზედაპირს ხელებით
დაწვა, ტანი ზევით ამოავდო. მარჯვენა შემართა, ხელის მტევანი რამ-
დენჯერმე გადააქნია. მერი არ განძრეულა. „ცოტასაც ვაცდი და ყვირილს
აუტეხავ. ყველაფერზე უარს ვამბობ...“ — გაიფიქრა მერიმ და მიტკალივით
გაფითრდა. მერის გაუსაძლისი სჭირდა.

ეტყობა, სასწაულმა ზღვაზედაც ჩამოიარა. ტალღებს ზომაში რაღაც
აერიათ. ძველი ჯერაც ხეირიანად არ ჩაწურულიყო, ახალმა წამოყალყვა
იწყო. ეტყობოდა, შემართვის ძალა აღარ ეყო, თეთრად აქაფებული, ჩაშლი-
ლი ღობესავით გაწვა ნაპირზე.

— აუჰ! — იკივლა ამის შემხედვარმა ჯუანშერმა და ჩამცხრალ ტალ-
ღას ეცა. ისეთი სისწრაფით მოუსვა მკლავები, მნახველს თავბრუს დაახვევ-
და. სულმოუთქმელად გამოინაპირა, როგორც იქნა, ფსკერს უწვდინა
ფეხი. დამარცხებულ ზღვას უკან თავმოღრეცით გახედა. წამით გული
შეუქანდა, ხუთ მეტრზე აყალყული ჯანდისფერი ტალღა გამეტებით მოს-
დევდა, რამდენიმე ნახტომით დაუსხლტა აღმუვლებულ-აყეფებულს.

ჯუანშერი შუქჩამქრალ სიბეჭეს პირქვე დაემხო. ბრტყელ სიბეს ღოყა
ჩამოადო. „გადავრჩი!“ — გაიფიქრა და სველ წამწამებს ცრემლი შეაშვე-
ლა.

მერი მოწყვეტით ჩაყუნტდა, ჩითის კაბა მუხლისთავეებზე გადაიფარა,
მკლავები მჭიდროდ შემოახვია, თავი ჩაკიდა, აღარ განძრეულა.

ჯუანშერი ერთხანს განახული იწვა. სულს ითქვამდა. დარჩენილ ენე-
რგიას თავს უყრიდა. მერე მძიმედ წამოდგა. ზღვას გახედა. შორს, ცის
კიდეზე, ერთადერთ თოლიას უწვდინა მზერა. საშხაპესკენ ნელი ნაბიჯით
გასწია. მერის მზერას არიდებდა.

წითლად შეღებილ საშხაპეში ონკანს მისწვდა. წყალმა წვრილ ნაკადე-
ბად იხუვლა. მოქანცულ სხეულზე შვება იგრძნო. კარგა ხანს იდგა გაუნ-
ძრევლად. სრულიად დამშვიდებული გასცქეროდა უზომოდ აღელვებულ
ზღვას.

სიბეჭით მოჩითული ნაპირი ირიბად გადაჭრეს. ტანთ ორივემ სწრაფად
გაიძრეს. ერთი უფრო მაღალი იყო და გამზდარი. მეორე უფრო ჯმუხი და
ფეხებდაღრეცილი. ზღვის გასწვრივ სირბილს მოჰყვნენ. „ნასვამები ჩანან,
შესვლას ხომ არ აპირებენ?!“ — დაეჭვდა ჯუანშერი. „ვერ გაბედავენ“. —
მაღევე დაიმშვიდა თავი.

დაბალმა, ჯმუხმა, შებედა. დანდობილა შედიოდა. თითქოს ორჭოფობ-

და, თითქოს არც აპირებდა შესვლას. მაღალს გამოხედა, ღიმილით რაღაც უთხრა, ტალღას გაბედულად მიეჭრა. „წერასატანილი! ზღვას ცუდად იცნობს...“ — ესდა გაიფიქრა ჯუანშერმა.

ტალღამ არ დააყოვნა. ჯმუხი გულში ჩაიკრა, მიწას ააგლიჯა. ერთ ხანს ზეცისკენ აიტაცა, მერე ჩაიხვია, ქვა-ღორღთან ერთად ჯურღმულში ჩაიტანა.

ნაპირზე დარჩენილი მაღალი, გამხდარი ერთბაშად ვერაფერს მიხვდა, გაოგნებული ამაოდ ელოდა ჯმუხის გამოჩენას. მალე ყველაფერს მიხვდა. საზარლად შეჰყვირა, სახეშეშლილი დარბოდა ზღვის ნაპირზე, მშველელს უხმობდა.

„დაიხრჩო, საბრალო“. — ჯუანშერს გული ჩასწყდა. საკუთარი სიკვდილი ნათლად დაეხატა. რატომღაც ყველაზე უფრო მერი შეებრაღა, ერთხელ კიდევ გამოჟონა ცრემლმა.

ზღვის ნაპირი ხალხით გაივსო. ტალღების ღმუილს მიღეთი ხალხის ყაყანი ავსებდა. მაშველს ამაოდ უხმობდნენ. შორს თეთრად ახორკლილი ზღვის ზედაპირი თანაბრად ირწყოდა. მალე ვერტმფრენიც გამოჩნდა...

მერი არსად ჩანდა.

სადამოს მერი და ჯუანშერი ზღვისპირა რესტორნის გაჩახჩახებულ აივნის კუთხეში მიმყუდროებულიყვნენ.

მეზობელ სუფრასთან ჰყვებოდნენ: „საწყალი, მოგვიანებით უპოვიათ მწვანე კონცხთან. ლენინგრადიდან ამ დილას ჩამოსულანო...“

შორიდან იტალიური მუსიკის ხმა აღწევდა.

მერის ღიმილს ენით უთქმელი სევდა ახლდა!



ადრიატიკასთან თჳმული

აქაც ჩვენსავით ღურჯია ზეცა,
ფიქრი ულევო და ზღვა ულევო,
თბილი გულები, თაკარა მზეც და
ცხრა მთას იქეთ კი შენ მეგულები.
შენზე ოცნებამ გული მატკინა,
შენით ვიწყები, შენით ვსრულდები...
მკლავებში მიწევს ადრიატიკა
და ქართულ ზღაპრებს ვეჩურჩულები.

ზ ა მ თ ა რ ი

ბევრი დამიგროვდა ზამთრის ვალი,
სითეთრე გულს მაინც უხარის.
ცისკენ მიიწევს ღურჯი კვამლი,
ბაბუასეული ბუხარის.
უცხო სასწაულს ამოდ ველი,
შარებს მოფენია სიმშვიდე,
ხეები თოვლის სამოსელით
მორცხვად იფარავენ სიშიშვლეს.

ისევ შენთან

მჯერა, ჩემს შმაგ ბედაურს ვერავინ დაიურვებს,
ქვეყნად მხოლოდ მე ვიცი, ჩემად რატომ გიგულე,
ისევ შენთან დავბრუნდი, ცრემლის წვიმებს გავუძელ,
ზღვაო, ჩემო სატრფოვ და სანდო მესაიდუმლე.
შენს მკლავებზე მინდობილს მსურს, თამამად გავცურო
ჩემი თავაწყვეტილი ოცნებით და ფიქრებით...
თქვენო უმაღლესობავ, სხვისთვის მხოლოდ მაცდურო,
მაცოდინა, უჩემოდ, ნეტავ, როგორ იქნები?!



გენრიმბა მუთათელაძე

გემოღმომის პეჩის აქი

ვერ დავიბრუნებ ვერასდროს წარსულს და მომავალსაც ვუჩენ თავ-
სატეხს... ვგრძნობ, არასოდეს არაფერი იქნება ჭეშმარიტი სიკვდილის
გარდა...

სიყვარული კვდება? არა მგონია, იქნებ საუკეთესო დასასრული დასა-
წყისია?

საით გაქრა წამები, მშვენიერი, ამაღლებული წამები. რატომ ითხოვს
გული მეტის უფლებას? ვკითხულობ, ვერ გამიგია... სიყვარული... იქნებ
ესაა უსაბამო თვითდამკვიდრება?

ემოციური ექო... გული მიჩერდება, ვგრძნობ... ვერ ვპოულობ სასურ-
ველ ტონსა და სიტყვებს და ერთხელ კიდევ ნათლად ვგრძნობ, სიტყვები
ცარიელდებიან და უსახურდებიან.

* * *

ექვვიანობ, თან მიკვირს, ეს როგორ მოხდა? ექვვიანობაში მამაკაცთა
უპირატესობა ნათელიაო, ვიღაცამ მითხრა, ვიგრძენი კიდევ... მე კი ქალი
ვარ. თქვენ ქალს უყურებთ როგორც საკუთრებას, ცდებით ძალიან, საკუთარ
თავზე მაღალი წარმოდგენის მქონენი არ ექვვიანობენო, ესეც მიბრძანეს.
ესე იგი, ხომ დარწმუნდით, არასრულფასოვნების გრძნობას ვუპყრივარ.
კერძოდ რომელს? ვერა, ვერ ვიტყვი. ვადიარებ შენს უპირატესობას, მართ-
ლაც სიმპათიური ხარ, კეთილი, საყვარელი... მე კი, ნუ შემადარებ სხვებს,
ოი, იმ სხვებს, ...მრავალს, უსასურს... შიშისა და მერყეობის იმპულსით —
ექვვიანობით რად დამასაჩუქრე?

* * *

გვერდიგვერდ ვდგავართ, ხმას არ ვიღებთ... ეს სივრცობრივი სიახლოვე
გასტანს სადამდე. ქვეცნობიერად ვაფიქსირებ შენს სიმართლევს, მე ვფიქ-
რობ შენზე, განა წამებით, ზოგჯერ დღეობით... სხვები არღვევენ ამ ატმოს-
ფეროს სიცილით, შეკითხვით, ირონიითაც... და მხიარულების ატმოსფერო
სწრაფად აღიქმება სრულ ვაკუუმად, რადგან მისხლტება შენზე ფიქრი,
შენზე წუხილი... ვიჭერ ოცნებას, მოვილტვი შენსკენ. ვჩქარობ, რადგან
ყველაფერში ოპერატიულობასა და ოპტიმალურობას ითხოვენ... ვჩქარობ.



საქმეს ვიჩენ, ვცდილობ დაგივიწყო... ო, ეს ერთფეროვანი დღეები...

საკუთარ თავსაც გაურბიხარ კაცი ხანდახან, სად გაექცევი... მითუმეტეს ბელისწერასთან ვერას გახდები, შენ სად გაგექცე, ურთიერთობის სიჭსუბუქეც ილუზიურია... ვერაფერს იზამ, რას იზამ, რას გააწყობ, რაკიდა გაჩნდი, უნდა იცხოვრო, უნდა იტვირთო, უნდა იწვავო... სომნამბულური ცნობიერება და თვითჩაღრმავება შენი მბეზრდება, თუმც ღირსეული და ჭკვიანი ხარ, მაინც ჩვენი ხვედრი ტანჯვია. ჩვენი ერთად ცხოვრება, ასე მგონია, მთელი ქვეყნიერების მოდელია, სიყვარულით, ომით, ზავით...

სრული ასლი ვართო ერთმანეთისაო, — მიბრძანე ერთხელ. არავითარი წინააღმდეგობები, ინტერესები ემთხვევიან ერთიმეორეს, ინტელექტიც... ოღონდ ესაა, მლიქვნელები არა ვართ, მლიქვნელობა და პირფერობა არ შეგვიძლია, ადაპტაცია გვიჭირს, სხვებმა კი მითხრეს — ესააო თქვენი სეველის სათავე.

* * *

ვერ დავეუფლე აუტოტრენინგებს, ვერც თავისუფალი სუნთქვა ვისწავლე, ვერც სახეზე მსუბუქი ღიმილი დავიფინე, ვერ გავიცინე... ანუ ვერ მოვიცილე მტანჯველი შებოჭილება, ვერც ჩიტივით სიმსუბუქეს ვგრძნობ... ჩემი დაჭიმული კუნთების იმპულსები „აწვება ტვინს“... მისკდება თავი... და რაც ყველაზე საგანგაშოა, ვერ გავუღიმე საკუთარ თავს.

სული მიჯანყდება, სული მღალატობს, ავად ვარ, ვარსებობ წამლებით. შენი მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებაო თვითშთავონებით, იქნება ექიმს მიმართოო, — მირჩიეს. ცნობიერებაში ტივტივებს მოლოდინი, შენით გაჯერებული მოლოდინი...

ადამიანს, საერთოდ, ემარჯვება მსახიობობა, შენც ოსტატურად თამაშობ როლს მტკიცე ადამიანისას, ეს კი ხშირად მაღიზიანებს, ტონი, სტილი, დისტანცია — ყოველივე დაცულია.

ნუთუ კოდირებულია შენში ეს ანგარიშიანი სიფრთხილე?

მე დამამშვიდეს: ო, ეს ყველაფერი სიღრმისეული თვითშეგრძნებააო, მოქმედებას, ცხოვრების წესსო განაპირობებს ჰორმონები და ტვინის მექანიზმი...

მე რას გავხდები.

* * *

ნეტავი როგორ ჩნდება გულგრილობა, უღმობლობა, საღიზმი? საზოგადოებრიობაო, ოჯახი, აღზრდაო — ეს სამკუთხედი ლამის ბერმუდის სამკუთხედად გახადონ...

საიდან ჩნდება? იქნებ ტვინიდანაც.

ყველაზე მეტად სადიზმი მიკვირს, მისი რაღაცნაირი ჩანასახი ხომ ყველაფერში არსებობს... ო, ეს საშინელი ნიჭი — სხვისი ტანჯვით განიცადო სიამოვნება... დიახ, აწვალევენ სხვადასხვა საშუალებით, თურმე სიყვარულითაც...

* * *

ხომ არ მითქვამს მე ეს აქამდე, ახლა უნდა ვთქვა: შეურაცხყოფას მაყენებ-მეთქი.

რატომ?

გეტყვი ახლავე:

დაკისრებული ფუნქციის მიხედვით მიყურებ, თუნდაც იმ მომენტში, როცა მე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება მევალება, მე მეტი ვარ... რადგან უპირველესად მე ადამიანი ვარ. არა, ეფემერული სიმპათიები როდღი მწყურია, მაგრამ არ მომწონს გათანაბრება, ერთფეროვნება, რობოტის გულცივობა... ჰო, ლამაზად მოქცევას ვითხოვ. შემწყნარებლურ იუმორსაც თუ მოიმარჯვებ, რაღა აჯობებს, მაგრამ არ შეგიძლია, ვაგლაზ, თურმე მხოლოდ რაც გასწავლეს ის გისწავლია.

* * *

ჩემი თავით ვარ დაკავებული, იქნებ არა ვარ საყურადღებო? ჩასახლება ჩემში შენი თვალები, შენი იდუმალი მზერა, მოვინდომე, რომ უკეთ დაგენახე, საქმე გავიფუჭე... უკეთ გამოჩენის სურვილი თურმე უფრო გვაუარესებს. ჰოდა, აღარ ვფიქრობ საკუთარ პერსონაზე, მე ვფიქრობ შენზე...

ვერ გავიგე შენი დამოკიდებულება ჩემდამი, რადგან ეს დამოკიდებულებაც, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, ცვალებადია...

და კიდევ ერთი: საშუალება არა მაქვს თვალი მოგადევნო ნიადაგ — ეს კი სერიოზული წინააღმდეგობაა შეცნობის გზაზე. მსურს შენი თვალებით საკუთარი თავი დავინახო.

* * *

დიახ, ინტრავერტი ვარ, ჰო, არის ასეთი ფსიქოლოგიური ტიპი... მიუხედავად ამისა, მაინც ძლიერია სიმარტოვიდან გაქცევის ინსტინქტი, რას გაიგებ... ყველაზე გულქვაც სიოჯჯერ ყველაზე სათუთია. ჩემში მუდამ წარმოიშობა შენი ემოციების ექო და ცნობიერების მიღმა ყურდება... რატომ?

ვხედავ, თქვენ საგანგებოდ აღარ მამჩნევთ, გგონიათ, მამცირებთ ამით.

მე მეღიშება, რადგან კარგად ვიცი, უნებურად თავი გაეცით — ე. ი. თქვენი ინტერესის ობიექტი ვარ. აღარც ის მიკვირს, ხეპრე აღმოჩნდით, თუმცა გალანტური ჩანდით შორიდან.

მე უკან ვიხევ... განა დავმარცხდი, არა, სტარტისთვის ვემზადები, რომ გავიმარჯვო!

* * *

ბეჯითად ფეთქავს გული, თუმცა კი ხან შემახსენებს თავს... სხვა ორგანოებიც მგონი წესრიგში მაქვს... და მაინც, ეტყობა, მდორედ მიედინება სისხლი, ტვინს აკლდება საკვები... დიახ, ჯანყდება ტვინი, ამჟღავნებს თავს... — არ მაწოდებს გადაწყვეტილებას, არ განმისაზღვრავს მოსალოდნელს, აზროვნებასა და მოქმედებას ხელი ეშლება, თუმცა კი მივდივარ სრულ გაცნობიერებამდე... გუგუნებს წარსული დღეების ექო, გუგუნებს... და ისახება მომავლის ესკიზი. უცებ ჩემი ტვინი წამის მეათედში მთავაზობს პასუხს;

— უფლება არ გაქვსო, რომ ჩაიჩოქო, წინ ნაბიჯი!

ავტორის სურვილით, მინიატურების კონორარი ჩაირიცხება კულტურის ფონდში.



მუჟ კაცს ენდობი...

მესამე ნაწილი

მილიციაში მუშაობის დროს კაცი რა ჯურის ხალხს არ გადაეყრება. რადგან კანონის წარმომადგენელი ხარ, ხალხი შენგან შველას მოითხოვს, პასუხი უნდა გასცე, დაეხმარო, სწორ გზაზე დააყენო, ჭკუა დაარიგო.

შეწუსებული მევლულ ბერიძე ქედის მილიციის განყოფილებაში მოვიდა და პირდაპირ თქვა: — მურად ანანიძე მომაშორეთო!

დავითმა ბერიძეს დამშვიდებით ჰკითხა:

— რაშია საქმე?

— მაი მურად ანანიძეს ჰკითხეთ!

დავით ასამბაძემ მურადი გამოიძახა, ახალგაზრდა კაცი არ ჩანდა ურიგო, უფროსს კიდევ მოეწონა ერთი შეხედვით.

— მურად, რა დაუშავე მევლულ ბერიძეს?

— უფროსო, ცოლის შერთვა გადავწყვიტე და უარს მეუბნება, შენ ჩემს სიძედ ვერ გამოდგებიო.

— ქალიშვილი?

— ქალიშვილს ვინ ჰკითხავს.

— როგორ თუ ვინ? ქალიშვილია მთავარი, თუ უყვარხარ, ვინ დააკავებს, გამოგყვება, თუ არა, — მურადს ახედა უფროსმა, — მაშინ ძნელია...

— სიყვარული რა შუაშია. აგერ რეჟებამ ისე შეირთო ცოლი, არც კი უნახავს თვალთ.

— ასეც ხდება, მაგრამ შენ იცი, რაა სიყვარული?

— ვიცი.

— ჰაი, ჰაი, რომ არ გცოდნია. იმ გოგოს სხვა უყვარს, შენ — იცი. ეს რას ნიშნავს?

— როგორ თუ სხვა! — გადაირია მურადი, — ჩემი დანიშნულია, ჯერ კიდევ როდის...

— მაგი არაფერია, გოგოს თუ უყვარხარ. როგორც მითხრეს, იმ ქალს სხვისთვის უცემს გული, გაიგე?

— ვერ გავიგე. ძალად წავიყვან, მოვიტაცებ, აი ნახავ.

— არ ივარგებს, — თქვა ასამბაძემ და მურადს თვალეზი სახეში მიანათა, მერე მხარზე მეგობრულად ხელი დაადო, — ქალების მეტი რაა ჭკეყნად, სხვას გადაუშაღე გულის სვაშიადი, ასე აჯობებს.

— დაუთ ბიძია, — ხმას დაუწია მურადმა, — შენ გენდობი, მართლა სხვა უყვარს ემინეს?

— ასეა, ჩემო მურად!

— ვინ გითხრა? ქალიშვილმა?

— ჰო, მომეშვას, თორემ თავს მოვიკლავო.

— მართლა ასე თქვა?

— ასე!

— შენ რას მირჩევ?

— მე უკვე გითხარი სათქმელი. ბედი შენც მოგნახავს. სიყვარული არ იქნება... ემინეს სხვა აურჩევია საბედოდ და მასთან იქნება ბედნიერი, ხელი რომ შეუშალო, მაინც უბედური ცხოვრება გექნება, გინდა?

— შენ საიდან იცი ამდენი რამე?

— ვიცი, ვიცი, ჩემო მურად. დამიჯერე, დაწყნარდი, დაანებე თავი მევლულ ბერძენს, ის ქალიც არაფერ შუაშია, გული არ გვეკითხება ჩვენ. ქალს სხვა უყვარს, დაე, უყვარდეს.

მურადი წავიდა. მეტი არაფერი უთქვამს. მართალია სხვისთვის არ ემეტებოდა მშვენიერი ქალიშვილი, მაგრამ დავითს დაუჯერა, მოგვიანებით სხვა ქალი შეირთო, ოჯახი შექმნა, შვილებიც ბევრი ეყოლა და თავს ბედნიერად თვლიდა.

* * *

რაიონიდან მთის მაღალ სოფელამდე ფეხით ავიდა დავითი, საბჭოში მივიდა, მაგრამ ხელმძღვანელობა ადგილზე არ დახვდა, ნაცნობიც ვერავინ ნახა, ყველა, დიდი თუ პატარა, საკოლმეურნეო ბაღ-ბოსტნებში მუშაობდა. ომი მძვინვარებდა, ფაშისტების განადგურებაში ყველას შეჰქონდა თავისი წვლილი.

გაზაფხულის წყნარი ამინდი იდგა. კოლმეურნეები საყანედ წაიდავს ამზადებდნენ, მინდვრებს ამუშავებდნენ, ხესილის ბაღებს ბარავდნენ. მაშინ ყველას მოჰყავდა სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, გლეხმა კარგად იცოდა, გაზაფხულის ერთი დღე წელიწადს რომ კვებავდა.

სწორედ ამ დროს, როცა სოფელში დარჩენილი ქალები და მოხუცები თავდადებით შრომობდნენ, უსიერ ტყეებს შეიარაღებული ყაჩაღები მოევლინენ. ღამიანობით ჩამოდიოდნენ ბარში, იტაცებდნენ კოლმეურნეობის ფერმებიდან საქონელს, გაქურდეს სოფლის მალაზია, საწყობიდან წაიღეს სიმინდი, გლეხებს წაართვეს სარჩო, მარტოდ დარჩენილი ქალები და ბავშვები შიშით გარეთ ვეღარ გამოდიოდნენ.

ყაჩაღები მოქმედებდნენ ფარულად, უხმოდ, ერიდებოდნენ მსხვერპლს, არც თოფი გაუსროლიათ და არც არავინ მოუკლავთ, მაგრამ ამ თავზეხელაღებული დაუბატიუებელი სტუმრების დაჭერა დროზე იყო საჭირო.

მალიციის უფროსმა არ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი, საიდან მოევლინენ ამ მთის სოფელს, რამდენ კაცს შეადგენდა ყაჩაღების ჯგუფი.

საგონებელში ჩავარდა დავით ასამბაძე. ყაჩაღების გამო მკაცრად გააფრთხილეს, გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვდნენ, დაუყოვნებლივ დაქერას და დასჯას, მაგრამ როგორ? ფიქრობდა, ხალხში გავერევი, გაგონილს მარცვალ-მარცვალ ავკრეფო, გამოცდილი ჩეკისტი იმედს არ ჰკარგავდა.

ფეხით მოიარა გაღმა-გამოღმა სოფელი, ხელმოსაკიდი ვერაფერი გაიგონა, ბოლოს წყაროსთან წიფლის დიდ მორზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა, ნუთუ ამაოდ ამოვტოპე ამხელა გზა?

იქვე ახლოს ახლადაშენებული ერთსართულიანი სახლი შენიშნა, ეზოს უკერის წკნელის ღობე შვენიოდა, დიდი თუთის ხის ძირში სანდომიანი თეთრწვერა მოხუცი წაღღს ლესავდა. დავითმა ჩაახველა, მოხუცმა უცხო სტუმარს რომ თვალი მოჰკრა, საქმეს თავი მიაჩნება და წკნელის ღობეს მოადგა.

— მობრძანდით სახლში! — შეიბატიუა.

— სახლში რა მინდა... დიდებული დღეა, აგერ, წყაროსთან, დავისვენებ ცოტას და წავალ. ჭიქას თუ მოიტან და წყალს დამალევინებ, მადლობელი დავრჩები.

მოხუცმა უფრო დაკვირვებით შეხედა სტუმარს, მაინც ვერ იცნო.

— შენ ჩვენი ხეობის კაცი არ უნდა იყავი. — თქვა მან.

— მთლად მასე არაა!

— ვერ გიცანი. შევიდეთ ეზოში!

შეატყო, სტუმარი უარზე დადგა, თვითონაც ჩამოჯდა წიფლის მორზე და ჰკითხა: — საიდან მოდიხარ?

— ქობულეთიდან!

— ბინოში მიდიხარ?

— არა. თქვენთან ჩამოვედი. სიმინდის ყიდვა მინდოდა, გაგვიპირდა ბარში, სოფელში კაციშვილი არ ჰქონებოდა, ესეც სწორია, ომია, დუნია იქცევა, შრომაა საჭირო, უჭირს სახელმწიფოს, რა სიმწრით გაზდილი ბიჭები იღუპებიან.

მოხუცს კინაღამ წამოსცდა: — მეჩრე აი წიფელასავით კაცი ამ დელე-დურდაში რომ დაესეტები ფუთი ჭადისათვის, გეკადრება აგი?! მაგრამ აღარ ჰკადრა.

— რა გვარის ხარ, ძიავ, შენ? — ჰკითხა სტუმარმა.

— ახმელ ცეცხლაძე გახლავარ.

— რა არის ახალი სოფელში ჩემო ახმელ?!

— ქვეყნად ომია და ვმუშაობთ.

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი. ქორწილი გვენატრება და ძეობა.

სტუმარმა მთებს დაადგა თვალი. ტყის თავზე მანდილივით ფრიალებდა ნისლის თეთრი ნაგლეჯი. მოხუცმა ჰიქა მოატანინა პატარა ბიჭს, ცივი წყალი მიაწოდა.

— დალიე, რაკი უარს ამბობ შინ შემოსვლაზე! — სტუმარმა ჰიქა წყალი დალია, ისევ მთისკენ გაიხედა და მასპინძელს პირდაპირ ჰკითხა: — ყაჩაღებზე თუ გსმენია რამე?

ახმელმა თეთრ წვერზე ხელი გადაისვა და დავითს ეჭვით შეხედა: „ნეტავ ვინ არის, მტერი თუ მოყვარე? ფთხილად იყავი, ხაფანგში არ გაება“.

— კი, როგორ არა, ყაჩაღები მომრავლდნენ, — ისე სხვათაშორის თქვა ბერიკაცმა და უაღიროსი გააბოღა.

— აქ ხომ არ ბოგინობენ სადმე?

— მაგის რა მოგახსენოთ. აქ იმდენი ტყე და სრამია, მთელი ჯარი შეინახავს თავს.

მოხუცმა თვალები მოქუტა: „არ წამოვგო ანკესს, ეს კაცი ვინ არის, რა უნდა ჩემგან?!“

— მაინც გულის რას გეუბნება, სად იმალებიან, სოფელში ჩამოსული თუ უნახავს ვინმეს? — პირდაპირ ჰკითხა.

— ჩემმა გულმა არაფერი არ იცის, ყაჩაღები პირადად მე თვალთ არ მინახავს. — ცივად თქვა ახმელმა.

— რატომ მიბრუნდები. შინაური კაცი ვარ მე. აგერ, ამ მთების შვილი. — ხელით აჩვენა ამწვანებული გორები.

— ვინა ხარ კაცო შენ, — ხმას აუწია მასპინძელმა, — მტერი ხარ თუ მოყვარე?

— მოყვარე, მტერი რად ვიქნები. — მშვილად უთხრა სტუმარმა, მოხუცთან ახლოს მივიდა და ჩუმად ყურში ჩასჩურჩულა: — მე დაუთაი ვარ, ასამბაძე.

მოხუცს სახე გაუნათდა, სასიათზე დადგა, წელში გაიმართა და სტუმარს შეეხვეწა, შემობრძანდი სახლში, იქ აჯობებს საუბარიო.

მაღე სტუმარ-მასპინძელი წაბლის დიდ ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ.

— შენ, ჩემო ახმელ, აქაური კაცი ხარ, ეს ხეობა, კარგად იცი.

— ვიცი. მე ძველი მონადირე ვარ. ყოველი კუნჭული ფეხით მომივლია, — ცეც-

ხლაძემ ცისკენ აშვერილ მთას შეხედა, — ციხის ნანგრევებია იმ მთაზე დარჩენილი, იქ აფარებდნენ ძველად ყაჩაღები თავს, მაგრამ ახლა ის ნანგრევები ვერ გაუჩვენს მათ მასპინძლობას.

— რატომ?

— სოფლიდან შორს არის და იმიტომ, საქმელს ვერ მოიმარაგებენ, ხელისგულივით ჩანს ყოველი მხრიდან. ჩემი აზრით, ყაჩაღების სადგომი უნდა იყოს „საბუღარი“.

— სადაა „საბუღარი?“ — ფეხზე წამოდგა ასამბაძე, — შორსაა აქედან?

— იმ მთას ხედავ? იმის თავზეა. აღრე მინახავს, მიწაა ამოთხრილი, — ჩვენში ნავარსკვლავებს ეძახიან, მაგრამ უფრო დათვების სივრცის მოგაგონებს, კლდეშია გამოკვეთილი, ისე დიდია, ათი კაცი შეაფარებს თავს, ჩემი ვარაუდით, იქ უნდა იყვნენ მაი არაკაცები.

მილიციის უფროსმა ისევ მთას გახედა: არ მოეწონა მისი ვიწრო გაშიშვლებული ყელი, არც ის, რომ იქიდან ხელის გულივით მოჩანდა ყველა მისასვლელი. მერე მასპინძელს მიუბრუნდა, — ახლა დროა წავიდეთ.

ახმელ ცეცხლაძე ასე აღვილად სტუმარს როგორ გაუშვებდა. მკლავზე წაატანა ხელი. — გული არ მატკინო, უარი არ თქვა, სადილი უნდა მიირთვა!

დავითი აივანზე ავიდა, აქედან უფრო კარგად მოჩანდა „საბუღარი“, ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, სასიამოვნო სახე, მაყვალივით შავი თვალები ჰქონდა, სტუმარს მიესალმა, ოდნავ წამოწითლდა, მრგვალ მაგიდასთან ორი სკამი დადგა, მაგიდას თეთრი საფარი გადააფარა და უხმოდ გავიდა. მერე — სადილი შემოიტანა.

მოხუცმა სანთლის არაყიც შემოიტანა და ღვინით სავსე დოქიც დადგა მაგიდაზე: — ჩემი დაწურულია, გასინჯე, დავითმა ღვინით ჭიქა გაავსო და მასპინძელი დალოცა.

ახალგაზრდა ქალი ოთახიდან გავიდა. მასპინძელმა დავითს შეხედა და გულისწუხილით თქვა: — საწყალი მთლად ჩამოდნა ქმრის მოლოდინში, მომკლა მაგის ცოდვამ, ღამეებს თეთრად ათენებს, სულ ტირის. პირველ მაისს დავაქორწილე ბიჭი, 22 ივნისს ფრონტზე წავიდა, საქმეა აგი? რომ მცოდნოდა, მაგათ ცოდვაში არ გავერეოდი. რა ვიცოდი უბედურმა, ქვეყანა დაიქცეოდა, რა მექნა, რძალი მინდოდა სახლში, ბერიკაცს მოვლა მინდა.

— აგერ ნახავ, შვილი მშვიდობიანად დაგიბრუნდება, — დააიმედა სტუმარმა.

— კაი სიცოცხლე მოგცეს ღმერთმა, — გაუხარდა მასპინძელს, — მაგ ყაჩაღებსაც ვუშველით რამეს, აი ნახავ, დავიჭერთ.

— როგორ? — ღიმილით იკითხა დავითმა და ფეხზე წამოდგა. ეზოში რომ გავიდა, ახმელი გააფრთხილა:

— ჩემს აქ ყოფნაზე სიტყვა არ წამოგცდეს, თორემ ყველაფერს დავღუბავთ!

— მაპატიე დაუთ, იმხელა გამიხარდა შენი სახელის გაგონება, რომ რძალს გავუმხილე, რა ეშველება ახლა ამას?

— არაფერი. რძალიც დამუნჯდეს დროებით.

— კი, კი, მესმის, ასე იქნება.

ჭიშკარი რომ გამოაღო, სტუმარი წამით შედგა და მოხუცს ჩურჩულით უთხრა:

— შენ უნდა დამეხმარო, ახმელ.

— მე? — გაუკვირდა ბერიკაცს, — მე რა შემიძლია?

— ბევრი რამ.

— დაუთ, მასხრად მიგდებ? ქვეყანა შენს ხელშია, ჩაჩანაკი ბერიკაცი რაში გჭირდება?

— მეგზურობა უნდა გამიწიო. იმ მთაზე უნდა ამიყვანო, შენ ყველა ბილიკი და მისასვლელი იცი.

მოხუცი წელში გასწორდა: — კი წამოვალ, აგიყვან, „საბუღარზე“.

— არ გეშინია? — ღიმილით ჰკითხა სტუმარმა.

— შენთან რისი უნდა მეშინოდეს!

ასამბაძემ ბერიკაცს თვალებში ჩახედა, ფართო მკერდზე მიიხუტა „როგორ შევე-
ვარებივარ ხალხს. ამაზე დიდი ბედნიერება რაა, ნამუსიანი კაცის სახელი გქონდეს.
ხალხმა თუ შეგიძულა, საფლავშიც ვერ მოისვენებ, ხოლო თუ გულით შეგიყვარა,
ესაა ყველაზე დიდი ბედნიერება... აი, რის პატრონი ხარ შენ, დაუთავ, შენი სიმდიდ-
რე, ქონება და სახელი შენივე ხალხის სამსახურია. იგია შენი იმედიც და ნუგეშიც. რა
თქვა ამ უსწავლელმა კაცმა — „შენთან მოვკვდებიო“, ამაზე მეტს რას ინატრებ!“

ტანში ურუანტელი მოჰგვარა ბერიკაცის სიტყვებმა დავითს, თვალები სიხარულის
ცრემლით დაუსველდა, მეორედ დაიბადა ქვეყნად.

* * *

ორი დღე კაბინეტში ჩაკეტილი ასამბაძე „საბუღარის“ ოპერატიულ გეგმას ჩაჰ-
კირკიტებდა. ყოველი წვრილმანი აწონ-დაწონა, ათჯერ შეამოწმა ჩანაფიქრი, ბევრი
სხვადასხვა ვერსია შეიმუშავა, მაგრამ ბოლოს ერთზე შეაჩერა ყურადღება, მარტოდ-
მარტო წავიდეს ყაჩაღებთან შესახვედრად, სისხლის ღვრას გაერიდოს, იქნებ იარაღზე
ძლიერად გასჭრას სიტყვამ?

ხელქვეითები წიხაღმდეგი იყვნენ, განსაკუთრებით კი გამოცდილი ჩეკისტი ანტონ
ონიანი. არ ემეტებოდა გასაწირად მეგობარი, შეიარაღებულ თავდასხმას და დაჭერას
მოითხოვდა. დათიკო კოტრიკაძე ყაჩაღებთან შეხვედრის ახალ ვარიანტს სთავაზობდა.
ზოგი დაბეჭითებით ამბობდა, მაგათთან სიტყვა არ გაგივა, არ დაგინდობენ, ვინ იცის
რა ჯურის ხალხიაო.

— თქვენ მართალი ხართ, მეგობრებო. — დინჯად ლაპარაკობდა უფროსი, — მაგ-
რამ მსხვერპლი არ მინდა, ორთავე მხრიდან ბევრი სისხლი დაიღვრება, ჩემი ოპერა-
ტიული ჩანაფიქრი სისხლისღვრას აგვაცილებს. იქნებ უამისოდ დავიჭიროთ, ა?

— ძალზე სარისკოა ამ ოპერაციის ასე ჩატარება: — თავისას არ იშლიდა ანტონი.

— მილიციაში სამსახურიც რისკია, ჩემო ძმაო... — მშვიდად უთხრა და მხარზე ხე-
ლი დაჭრა, — სისხლისღვრა არ მინდა, ვნახოთ რა გამოვა.

დავით ასამბაძეს არა მარტო გაბედულება, ჩეკისტის გამჭრიახობა და უნარი ჰქო-
ნდა, არამედ დიდი ავტორიტეტიც. მის სიტყვას ყველაზე თავზეხელაღებული კაციც
ენდობოდა, ხალხს დავითის კი არ ეშინოდა, პირიქით, შველასა და დახმარებას ელოდა
მისგან, ბევრი დამნაშავე და მთავრობის მიერ ძებნილი დაუყოლებია, გადაურჩენია,
სწორ გზაზე დაუყენებია, შემდეგ შრომით გამოუსყიდიათ დანაშაული, ბრძოლებში
უსახელებიათ თავი. შეცდომას ყველაფერი ეშველება, სიკვდილს კი არა. — სშირად
იტყოდა დავითი.

დავუბრუნდეთ ისევ „საბუღარის“ ისტორიას. ეს მართლაც რთული ოპერაცია გახ-
ლდათ. ჯერ ვერ დაადგინა, რამდენი კაცი მოქმედებდა ამ მთებში, მეორეც, ძნელი ასახ-
სნელი იყო, საიდან გაჩნდნენ ეს დაუპატიჟებელი სტუმრები. მართალია, შენიღბულად
მოქმედებენ, მაგრამ შემდეგ ხიფათი მოსალოდნელი იყო. საჭირო იყო ყაჩაღების
თარეშის აღკვეთა.

* * *

გაზაფხულის თბილი მზე ცაღ აზიდულ აქარა-გურიის მთებს ალამაზებდა. ათას-

წლოვან კლდეების ვიწრო არტახებში მოქუხდა მთის მდინარე და ლოდებს ძლიერი ტალღებით ეხეთქებოდა.

ვიწრო ხეობაში „ზისი“ გამოჩნდა. კაბინაში შოფერის გვერდით კაცი იჯდა, რომელსაც ვეებერთელა ნაბადი მოესხა. ამ კაცთან შოფერი პატარა ბიჭს ჰგავდა. ახლავანი, ფიქრებში ჩაძირული ხანდახან თუ მოავლებდა თვალს მშვენიერ ბუნებას. გოლიათი კაცი საკუთარ თავთან დაობდა, აზრებს აწყობდა, ნერვიულობდა, ღუმილის გასაფანტავად ხანდახან შოფერი გაუბამდა საუბარს, მაგრამ მისი თანამგზავრის ფიქრი სადღაც შორს ტრიალებდა. ბოლოს მანქანა ერთ მოსახვევში გაჩერდა. მდინარის მხარეს შავი კლდე გაწოლილიყო, ხოლო ხევს ზემოთ ვეებერთელა პირქუში მთა მოჩანდა. ნელა-ნელა სიბნელე წავიდა.

კაბინიდან გადმოვიდა, და მიდამოს დაუწყო ყურება.

— შენ დაბრუნდი, — უთხრა შოფერს, — დილით მომაკითხე სოფლის საბჭოში. თუ ცოცხალი დაგხვდი, წამიყვანე უკან, თუ არადა... — გაიხუმრა, თუმცა ეს ხუმრობას არ ჰგავდა, კაცი თავს მართლა დებდა სამსხვერპლოზე, ცეცხლში მიდიოდა მარტოლმარტო.

დანიშნულ დროზე ცეცხლაძეც გამოჩნდა. ერთხელ კიდევ აწონ-გაზომეს გეგმა და აღმართს აუყვნენ, ბერიკაცი კატასავით მიძვრებოდა ბუჩქებში, ფოთლის შრიალზეც ყურს ცქვეტდა, აკვირდებოდა იქაურობას, გზა ხომ არ ამერიო. ბერიკაცი ჩქარობდა, თუმცა დადლილი ჩანდა, მაგრამ მაინც მხნელ ეჭირა თავი.

— არ გეშინია? — ერთხელ კიდევ ჰკითხა დავითმა.

— შენთან არა. — მოკლედ მოსჭრა ახმედმა, — თუმცა შიში კი არა, მთავარია ზერზი და სწორი მოქმედება.

მოხუცი მართალს ამბობდა. ერთი მცდარი, დაუფიქრებელი ნაბიჯი და ტყვია სეტყვასავით წამოვა მთიდან, ამ შიშველ ტაფობზე თავშესაფარსაც ვერ ნახავ, დავითს სხვა რამ აწუხებდა, ვაი თუ ამაოდ ამოვიარეთ ამხელა აღმართი, და ხელმოცარული წავედი უკანო.

ორასი მეტრი სწრაფად გაიარეს, აქედან იწყებოდა ვიწრო ასასვლელი, ისიც მოიტოვეს უკან. ახლოა „საბუდარი“, კიდევ რამდენიმე მეტრი და... მთვარეც ამოვიდა, მოხუცმა დანანებით თქვა, ბნელი ღამე აჯობებდაო.

მილიციის უფროსი დიდი ლოდის ძირში ჩამოჯდა და თვალს არ აცილებდა იქაურობას. სამარისებური სიჩუმე მეფობდა ირგვლივ, ქარიც დარჩა ქვემოთ, ტყეებიც, კლდეებიც, ნადირიც და მონადირეც.

— რატომ ჰქვია „საბუდარი“ ამ გამოქვაბულს? — ჰკითხა ახმედს.

— ძველად არწივები ბინადრობდნენ აქ. მეც მინახავს ამ მთებიდან აფრენილი... ახლა...

ზემოდან ქვა გადმოგორდა. სუნთქვა შეეკრათ. მოხუცმა თავი საფარიდან წამოსწია, კაციშვილი არ ჩანდა, იქნებ ნადირი იყო?

დავითმა დაძაბა ყურადღება, კარგად დააკვირდა იმ ადგილს, საიდანაც ქვა გადმოგორდა... ორი შავი ლანდი გაუჩინარდა ლოდებს შორის, კლდის ძირში გამოჩნდა პატარა გამოქვაბული, ხალხი „საბუდარს“ რომ ეძახდა.

კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ, ორთავე დამუნჯებული იწვა ქვებს შორის.

უცებ გამოქვაბულის კართან ასანთი აინთო, ვიღაცამ პაპიროსს მოუკიდა ცეცხლი და ჩააქრო.

— ხედავ? — ჩუმად ჰკითხა ჩეკისტმა.

— კი, მცველია, ალბათ.

— მასეა. — შენ წადი. მოვალეობა პირნათლად შეასრულე, დილით შევხვდები.

ბიძე...

— რას ამბობ, დაუთავ, რას! არსადაც არ წავალ.

— ასეა საქირო. წადი!

— რატომ? რა დაგიშავე? ეს ლაღატია. ასეთ დროს კაცის მიტოვება მართლ შეიძლება?

— ვიცი, ვიცი ჩემო ახმედ, მაგრამ ახლა ასეა საქირო. შენი ჩემთან დარჩენა შეუძლებელია, ჩემს ჩანაფიქრს ეწინააღმდეგება. აქ ხერხია საქირო და არა ღონე. გესმის? წადი. ვნახოთ, იქნებ ვაჭობო სიკვდილს.

დიდი ზეეწნის შემდეგ დაიყოლია ახმედ ცეცხლაძე და უკან დააბრუნა.

დავითი გამოქვაბულის წინ ვეება ლოდს, ამოეფარა და იქედან ადევნებდა თვალ-ყურს ყველაფერს, გათენებისას გამოვიდა საფარიდან, გუშაგმა მილიციის უფროსის ფორმაში დაინახა მთასავით კაცი... ეს ისე მოულოდნელი იყო, თოფის სროლის ნაცვლად გამოქვაბულში შევარდა და ყვირილი მორთო:

— ლაღატია, ბიჭებო, მილიცია შემოგვერტყა, თავს ვუშველოთ!

მაგრამ თავს როგორ იხსნიდნენ, როცა ამ გამოქვაბულს მხოლოდ ერთი ვიწრო გასასვლელი ჰქონდა. გარედან კი გულისშემწარავი ხმა ისმოდა.

— თქვენი ბუნაგი გარსშემორტყმულია ჭარისკაცებით. თუ სიკვდილი არ გინდათ, თითო-თითოდ უიარაღოდ ამოდით ზემოთ, ერთი ბრმა გასროლაც საკმარისია, ნაცარტუტად ვაქციოთ თქვენი ადგილ-სამყოფელი!.. დაყარეთ იარაღი და გამოდით!

დამტანჯველი ღუმილის შემდეგ ბუნაგიდან გაბზარული ხმა გაისმა.

— ვინ ხარ შენ?

— დაუთავი ვარ.

— მართლა დაუთავი ხარ თუ გვატყუებ?

— მე ვარ, მე. თუ ნებით ჩაგვბარდებით, კარგია, ცოცხალ კაცს ეშველება ყველაფერი, თუ არა და საკუთარ თავს დააბრალეთ.

კვლავ ჩამოწვა ღუმილი. ყაჩაღები დიდხანს თათბირობდნენ, მაინც სიცოცხლის წყურვილმა გაიმარჯვა, ერთი მეორეს მიყოლებით ხუთი ახალგაზრდა კაცი გამოქვაბულიდან გამოვიდა.

— სხვებიც გამოვიდნენ!

— ესა ვართ, სულ ხუთი კაცი. — ყაჩაღებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს.

— თუ ასეა, წავიდეთ! — ჩეკისტი პატიმრებს თვალს არ აცილებდა. — იმ ვიწრო გზით წავიდეთ! — ხელი გაიშვირა ასამბაძემ.

პატიმრებს ერთი შავწვერა კაცი გამოეყო;

— დაუთ, შენ გენდობით. არ გვესროლონ. ნებით ჩაგვბარდით, წინააღმდეგობის გარეშე.

— ვიცი... თოფი არ გავარდება!

— სიტყვა სიტყვაა?

— მე ჭერ პირობა არ გამიტეხია!

მთას რომ გასცილდნენ, ოღრო-ჩოღრო ადგილები უკან რომ მოიტოვეს, ასამბაძემ იმ შავწვერას გადაუღლაპარაკა:

— ასე აჯობებს, ნადირები ხომ არა ვართ, ერთმანეთი ვხოცოთ, ცოცხალ კაცს მოევლება, მკვდარია ცოდვა, — და დაუმატა ღიმილით: — აი ხედავთ, მეც არ მაქვს იარაღი.

პატიმრებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს, მილიციის უფროსის გარდა კაცი-შვილი არსად ჩანდა. ერთმა ვეღარ მოითმინა და დავითს ჰკითხა:



— ნუთუ ერთმა კაცმა დაგვიპირე? როგორ გაბედე?

— გავბედე, გავბედე. სისხლისღვრა არ მინდოდა მე. სროლა რომ მდომებოდა, იარაღით მოვიდოდი, მე კი მაუზერიც დავტოვე შინ.

— შენ რკინის გული გქონია, ძიავ.

— პირიქით, ჩვილი გული მაქვს, არ შემიძლია კაცის მოკვლა. აი, რატომ მოვედი უიარაღოდ, მილიციონერიც კაცია და გული აქვს მასაც.

ყაჩაღებმა ისევ გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, დაპატარავდნენ, დაჩიავდნენ, იმ ერთადერთი კაცის გამბედაობამ დათრგუნა ისინი.

მთიდან სოფლის საბჭომდე ჯარისკაცი კი არა, საერთოდ არავინ შეხვედრიათ. ასამბაძემ ხუთი განიარაღებული კაცი საბჭოს ეზოში შეიყვანა. იქ „ზინი“ ელოდა. სანამ მანქანის კაბინაში ჩაჯდებოდა, დავითმა ერთხელ კიდევ გახედა „საბუღარის“ მთას და ულვაშებში ჩაელიმა.

ახმედ ცეცხლაძე ასწლოვანი ხეჭეჭურის ძირში იდგა და კეთილი ღიმილით აცო-ლებდა უფროსს.

ეს ამბავი ხალხს დიდხანს ახსოვდა. მართლაც ძნელი და გაბედული ოპერაცია იყო და იგი მშვიდობიანად დასრულდა.

დამნაშავენი, რა თქმა უნდა, დაისაჯნენ, მაგრამ დავითის ხერხმა და კაცურმა მოქმედებამ, ვინ იცის, იქნებ ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა ისინი.

* * *

ომი იყო, გაქირვება, შიმშილი... სოფელი ყოველმხრივ განიცდიდა სივიწროვეს. ყველაფერი გაძვირდა, სამკაულებსაც კი იმეტებდა ხალხი, ოღონდ სიმინდი და პურის ფქვილი ეშოვა სადმე და ბავშვები შიმშილისაგან ეხსნა.

სწორედ ამ დროს, ქედის მილიციაში მუშაობისას, დავითს მოუვიდა „დანოსი“, შენს მილიციელს ქრთამად ერთი ფუთი სიმინდი მიუღიაო. ასამბაძე იმანაც გააცოფა, რომ კოლეგა უჩიოდა კოლეგას.

მილიციის უფროსმა ამბის მომტანი დაიბარა. შავწვერა, ოდნავ გამხდარი ეუბ-დუმბაძე ფრთხილად შემოვიდა უფროსის სამუშაო ოთახში და კარებთან გაჩერდა.

— ახლოს მოდი! — უთხრა ასამბაძემ და თავი მაღლა ასწია, ქაღალდების მთელი კონა ხელით გააჩოჩა.

დუმბაძემ კიდევ რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია, მაგრამ მთლად ახლო მისვლა ვერ გაბედა.

— შენ ამბობ, ქაწიმ ქარცივაძემ ქრთამი აიღო, ხომ?

— ასეა, უფროსო.

— რომ არ იყოს მართალი მაგი, ეუბავ?

— შვილებს ვფიცავარ.

— შვილებს თავი დაანებე და საქმეზე მელაპარაკე!

— სრული სიმართლეა, უფროსო. ქაწიმი არ ყოფილა პატიოსანი.

ასამბაძეს არ მოეწონა ეს კაცი, არც მისი ასეთი საქციელი, ყოველგვარი დასაბუთე-ბის გარეშე კოლეგას, მეგობარს, მეზობელს სასტიკად იმეტებდა. ეს კიდევ არაფერი, უხაროდა ქარცივაძის დანაშაული, ყველაფერს ისე ჰყვებოდა, თითქოს დიდი გმირობა ჩაედინოს. ასამბაძე ადვილად ჩაწვდა მის სულს, შური უფრო ალაპარაკებდა, შევცდი არ უნდა მიმეღო მილიციაში, კი მითხრეს ცუდი კაციაო, მაგრამ არ დავიჯერე, ახია ჩემზე!

ქაწიმ ქარცივაძეს საშუალო განათლება აქვს, კარგი ოჯახის შვილი, ნაკითხი და



საქართველოს
საგარეო საზღვარი

იმედის მომცემი ჩეკისტია. თუ ეს სისაძაგლე ჩაიღინა, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება, დანაშაული არავის ეპატიება, მაგრამ დავითს რატომღაც არ სჭეროდა, ქარცივაძე არ იკადრებდა ამასო, ფიქრობდა და შავწვერა ეუბა ღუმბაძეს თვალებს არ აცილებდა.

— შენ ამბობ, რომ ერთი ფუთი ქადი აიღო ქრთამადო, ხომ?

— კი, უფროსო, კი, თვალებს მოგჭრის, ისეთი სიმინდია, — გამხიარულდა ეუბი.

— თუ მასეა, წახვალ და დააპატიმრებ ქაჭიმს!

— არის, უფროსო! — წასასვლელად მოემზადა.

— მოიცა! — შეაჩერა უფროსმა. — რამდენი შვილი ჰყავს მაგ უბედურს?

— მგონი ხუთი.

— ჰო, წადი! — მცირე ღუმულის შემდეგ გამოცრა კბილებიდან დავითმა და გახარებულ ღუმბაძეს ზიზლით შეხედა, — რა უხარია, მაინც?

დავითი მარტო დარჩა სამუშაო ოთახში, მაგიდაზე დაყრილი ქაღალდები მოსწია, მაგრამ გული ვეღარ დაუდო, წაკითხვა ვეღარ შესძლო, ფიქრებს მიეცა. ეუბის მხიარული სახე მოსვენებას არ აძლევდა, ცბიერი, ბოროტი თვალეები როგორ ვერ შენიშნა აქამდე. უფროსი ვერ გაერკვა, რატომ უხაროდა ეუბას ხუთი შვილის მამის ციხეში გაგზავნა, მის თვალეებში სინანულის ცრემლები უნდა დამენახა, მაგრამ ცბიერ თვალეებს მელასავით აცეცებდაო. არ ყოფილა, ძიავ, ეუბი კაი კაცი, არა. მერე გონება დაძაბა, ერთხელ კიდევ შეამოწმა ქაჭიმ ქარცივაძის ცხოვრების ყოველი დეტალი და ჩუმად ჩაილაპარაკა, რა კარგი იქნება, თუ ქორი გამოდგება ეს ამბავი, მაშინ მიფრთხილდი ეუბ!

ამ ფიქრებში იყო ჩაძირული მილიციის უფროსი, რომ კარებში ეუბ ღუმბაძე გამოჩნდა.

— ბრძანება შესრულებულია.... პატიმარი შემოვიყვანო?

გადაირია დავითი, მაგრამ ვითომ არაფერი შეიმჩნია. უფროსის კაბინეტში ქაჭიმ ქარცივაძე შემოვიდა. ღუმბაძეს უფროსმა ხელით აჩვენა, დაგვტოვეო...

ქაჭიმ ქარცივაძეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რაზე ეძახდნენ, ამიტომ ღიმილით უთხრა:

— გისმენთ, უფროსო!

— რა ჩაიღინე?! — პირდაპირ დაუსვა კითხვა უფროსმა.

— რა ჩავიღინე? — გაუკვირდა ქაჭიმს.

— შენ არც კი იცი, რომ დაგაპატიმრე?... ვის გამოართვი ქრთამად ერთი ფუთი სიმინდი?

— არაფერი მესმის! — იყო პასუხი. მერე ოდნავ დაფიქრდა, ჭკუას მოეგო, ხული მოითქვა და თქვა: — უფროსო, სიმინდი ჩემი ხელფასით ვიყიდე, ეს ვინ მომიგონა.

— ვისგან იყიდე?

— ხასან მიქელაძემ მომცა, მთელი თვის ხელფასი ჩავუყაქე, დაუძახეთ და ჰკითხეთ, აგერ მე და აგერ მიქელაძე.

ასამბაძეს გულზე მოეშვა. თვალეები გაუბრწყინდა.

— სად შეხვდი მიქელაძეს?

— იმ სოფელში ტყე გაკაფეს უნებართვოდ, შესამოწმებლად გამგზავნეს, მიწგანიდან მახლდა კიდევ ორი კაცი, გზად ხასან მიქელაძე შემხვდა, სიმინდი მიჰქონდა გასასყიდად, ფული სჭირდებოდა და ერთი ფუთი მე ავართვი, ეს არის და ეს. ჰკითხეთ მიწგანის ბიჭებს, იქ იყვნენ, ვინ მომიგონა აგი ამბავი?

ერთ საათში ხასან მიქელაძე მილიციის უფროსის კაბინეტში მოიყვანეს.

— იცნობ ამ კაცს? — მიუთითა ქაშიშე.

— კი.

— სიმინდი მიჰყიდე?

— მიყიდე, ფული დამჰკირდა. აგერ ჯიბეში მიღევს... რაა, არ შეიძლება?

— შეიძლება, შეიძლება. — მშვიდად თქვა უფროსმა. — ტყე ვინ გაკათა უნებართვოდ?

— მაგის არაფერი ვიცი. მე ქვემოთ ვცხოვრობ.

ყველა რომ წავიდა, მილიციის უფროსის კაბინეტში ქაშიში დარჩა. უფროსმა მხარზე მეგობრულად ხელი დაარტყა და ჰკითხა:

— ეუბ დუმბაძე კაი კაცია?

— სულს ვენდობი.

— ისიც გენდობა?

— ალბათ, რატომ მეკითხებით?

— ისე, ჩემთვის. მინდა ვიცოდე თქვენი მეგობრობის ამბავი.

იმ საღამოს ეუბ დუმბაძეს ჩამოართვეს პირადობის მოწმობა და მილიციის ორგანოებიდან დაითხოვეს. გვიან გაირკვა, თურმე ქაშიშ ქარცივაძის ადგილი ცოდვისძმისთვის მოუნდომებია, მაგრამ აღარ გაუმართლა. განაწყენებული ეუბ დუმბაძე დიდხანს წერდა საჩივრებს ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ ერთხელ გატეხილი სახელი საჩივრებმა ვეღარ გაამართლეს.

* * *

ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ დავით ასამბაძეს ახალგაზრდობა უყვარდა, ენდობოდა, აწინაურებდა. მაგრამ მკაცრი და მომთხოვნი იყო იმათ მიმართ, რომლებიც ზერედედ, უგულოდ, უბასუხისმგებლოდ ასრულებდნენ დავალებებს. როცა ახალგაზრდა კაცი მოვიდოდა მილიციაში სამუშაოდ, მამაშვილურად დაარიგებდა. მილიცია რევოლვერი და მუშტი-კრივი არაა, მილიცია ქვეყნის კანონის უმწიკვლო დამცველია და მისი ბურჯი. ვისაც სიხარბის სენი სჭირს, იგი ჩვენთან ვერ გამოდგება. წმინდა სულის ხალხს კი გზა ყოველთვის გარანტირებული აქვს. ასეთია წესი და კანონი, — ეტყოდა ჩეკისტი. ამის შემდეგ შეამოწმებდა, შეისწავლიდა, გამოცდიდა, სხვების აზრს გაიგებდა, თუ მოეწონებოდა, ხელს მოაწერდა განცხადებას, თუ რაიმე ნაკლს დაინახავდა, არაფრით არ ჩააცმევდა ფორმას, შენ ვერ შეძლებ ამ მძიმე ტვირთის ტარებასო, — ეტყოდა და უკან გამოაბრძანებდა.

ასამბაძე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ჩეკისტის სახელს, მის სიწმინდეს, დღენიაღვარე ზრუნავდა კადრების მომზადებისათვის, იცავდა ყოველგვარი ჭუჭყისა და სიბინძურისაგან, ცდილობდა მილიციას ხალხში ავტორიტეტი, პატივისცემა, ნდობა და სიყვარული ჰქონოდა. იგი ხშირად იტყოდა: — მილიციას ხალხში თუ გაუტყდა სახელი, მაშინ საქმე დადუბულია, ხალხის თანადგომა ჩვენთვის ყველა დიდი გამარჯვების გარანტიაა. ჩვენ ხომ სახალხო მილიცია გვქვია, ამიტომ ჩვენი დასაყრდენი ხალხია. ამას კი გაფრთხილება სჭირდება!

დავითი უფრო მშრომელი ხალხის შვილებს აწინაურებდა, ქონებას და პატივს მიჩვეული ახალგაზრდა ჩვენთან ნაკლებ სასარგებლოაო.

დავითი ღირსეულ ხელქვეითებს, ვინც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, იმადლებდა პოლიტიკურ ცოდნას, სასახელოდ ასრულებდა დავალებებს, წაასაღისებდა, შეაქებდა, მაღლობას გამოუცხადებდა, ჭილდოზეც წარადგენდა, ფულად პრემიას მისცემდა, მაგრამ ზარმაც და ოდნავ სახელგატეხილ ხალხს

ვერ ურიგდებოდა, სულ ცდილობდა, გაეწმინდა ასეთებისაგან მილიციის რიგები. ხწო-
რედ ამიტომ აქა-იქ მას მტრებიც გაუჩნდნენ, მაგრამ ვაჟას ნათქვამი უნდა გაეგნა.
სენოთ, „ცუდსა რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანო“. მართლაც კარგად უთ-
ქვამს იმ დიდებულ მთის კაცს!

მაგიდაზე ფოტოსურათებს ვაკვირდები და გაოცებული ვრჩები. რა უბრალოდ
აქვია, რა სადად. მისი თვალები, ღიმილი, გამოსხედა რა ადამიანურია, კაცური ხიბობს
გადამდები. რამდენი რამ დაწერილა, თქმულა მის შესახებ, რამდენი ვაუკაცობა ჩაუ-
დენია, მაგრამ არასოდეს გაუოჟოხებულა, მორიდებული, ჩუმი და პატიოსანი კაცის
სახელით ცხოვრობდა. ბევრი რამ აკლდა, ბევრი რამ აწუხებდა, მაშინ სხვა დრო იყო,
ომი, გაქირვება, შიმშილი, სიღარიბე, მაგრამ არასოდეს უფიქრია და უცხოვრია სხვი-
სი თავნაკლავით, სხვისი მოწეულის მითვისება სამარცხვინოდ მიაჩნდა.

ბავშვობაში პირადად მინახავს დავით ასამბაძე, მამაჩემთან მეგობრობდა. მაღალი
და ზოგჯერ ტანის კაცი გახლდათ, წაბლისფერი ბოხოხის ქუდი ეხურა, შავი ნაბალი,
მაუზერის ტარება უყვარდა. ათას კაცში გამოარჩევიდი დავითის გოლიათურ აღნაგო-
ბას.. ბოხი სმა ჰქონდა, იუმორიც ეხერხებოდა, მოკითხვას და ხელის ჩამორთმევას
ვერ მოასწრებდი, იშვიათად გაიცინებდა, მოსწრებულ სიტყვას პასუხს იმ წამსვე გას-
ცემდა.

...ავტობუსი ბათუმიდან ქედას მიმავალი მგზავრებით გაიქედა, ის ის იყო, მძლო-
ლმა მანქანა დაძრა, რომ ავტობუსში დიდუღვავა დევკაცი ამოვიდა.

— ჩვენი დავითი! — ერთხმად წამოიძახეს მგზავრებმა და ყველანი მოკრძალებით
მიესალმნენ.

— დავით ბატონო. — წამოიძახა ვიღაცამ, — შენგან სამი კაცი გამოიქრება, სად
არის სამართალი, შენც ერთი ბილეთით მგზავრობ და მეც.

— ჩემო ახმედ, დაგავიწყდა ომის დროს პურის საბარათო სისტემა რომ იყო,
შენც ერთი ბარათი გეძლეოდა და მეც, — უბასუხა დავითმა და ავტობუსში სიცილი
ვაიხმა.

ამ წიგნზე მუშაობის დროს ბევრი რამ გავიგონე ხალხში. ქაბათში ჩავიწერე ღრმად
მოხუცი ისმაილ ცეცხლაძისაგან ასეთი ლექსი:

ჩემი ცუდი საქციელი დაუთასაც გაუგია,
დამიბარა, დამარიგა, საქმე არ ქნა აუგია.

ეს ხალხური ლექსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა აზიზ ახვლედი-
ამა მომაწოდა:

ასამბაძემ დამიბარა, სტოლზე იდო ხმალი გრძელი,
შენ თუ ჭყონია ხარ ძველო, მე ვარ ასამბაძე დელი.

„დელი“ ამ შემთხვევაში ასამბაძის გამბედაობის გამომხატველია, არ იცოდა „შიში, ვაჟ-
კაცთან ვაუკაცი იყო, პირიანთან პირიანი, მხდელი და უბირო არასოდეს უოფილა.

დავითი ბევრ წერილს ღებულობდა; თვითონაც პასუხობდა. ამ მიმოწერით მან
ბევრი სასიკეთო საქმე მოაგვარა. ვინ შერიგებას თხოულობდა, ვინ კიდევ — შეველას,
ქკუის დარიგებას, შეწყალებას. ზოგი ემუქრებოდა, მაგალითად, ერთი ფირალი წერდა:

კაი კაცი ხარ, დაუთავ, არც მე გეგონო დაბანი,
ნუ დამდეგ, ვერას დამაკლებ, წელზე მკიდია ნაგანი.

დავითს პასუხი ლექსადვე მიუწერია:

რატომ გაცვალე, ქერემავე ეკალ-ბარდებზე საბანი,
სჯობს შენი ფეხით მოხვიდე, ჩემგან ვერ გიხსნის ნაგანი.

ხალხს სჯეროდა დავით ასამბაძის, მის სიტყვას ღიდი წონა ჰქონდა, ამიტომაც ენ-
დობოდნენ, თუ დაპირდებოდა, შეასრულებდა, სიტყვას არ გატეხდა, პირს არ შეირც-
ხენდა. სწორედ ამის გამომხატველია კეჭიეთში გაგონილი ლექსი:

კეჭიეთის ასავალზე,
შევეფეთე ასამბაძეს,
ჩაუვარდი ლომს მელია,
დამიჭირა, მომერია,
მაინც კაი კაცი არის,
იმისთანა რომელია.

ხალხში შემორჩენილია მუქარის გამომხატველი ლექსებიც:

ასამბაძევ, ნუ მაშინებ, ტყვილად აკრატუნებ კბილებს,
შენისთანა ბევრი მდევდა, მაგრამ ყველა გავაწბილე.

ან კიდევ:

ვერ დამიჭერ ასამბაძევ, გინდაც გასკდე მწარე ბოლმით,
სადაც გინდა, იქ გამოვალ ერთი-ერთზე მუსტაფოღლი.

კიდევ ბევრი ლექსი მსმენია მამაჩემისაგან, სამწუხაროდ არ ჩამიწერია, მაგრამ
რაც ჩავიწერე, ესეც ნაღდად გვიჩვენებს, თუ ცხოვრების რა ძნელი გზა გაიარა ამ
რაინდული სულის კაცმა.

* * *

ზღვისპირა ბაღში შევხვდი დავით ასამბაძეს. მილიციაში აღარ მუშაობდა, პენ-
სიონერი იყო. მოტეხილი ჩანდა, თვალებში ძველებურად აღარ გიზგიზებდა ცეცხლი,
თუმცა ღიდი ტანი და უღვაშები უხდებოდა, მაინც თავისი მძიმე ხელი დაემჩნია ღროს.
დავითი ძელსკამზე ჩაფიქრებული იჯდა. მივუახლოვდი, ვერც შემამჩნია.

იმ ხანებში დავითს საყვარელი მეუღლე, შურა ლომთათიძე, ახლად გარდაცვლილი
ჰყავდა, რასაც დავითის მოსიყვარულე გულისათვის მძიმე ჭრილობა დაეტოვებინა.
შურა იყო მისი ცხოვრების არა მარტო კეთილი თანამგზავრი, მოსიყვარულე მეუღ-
ლე და მეგობარი, არამედ ყველა მისი ჭირისა და ღხინის მონაწილე, დაძრიგებელი,
შვილების დედა და გამრჩე ქალი.

დაკრძალვაზე უამრავი ხალხი მოვიდა, მაინც რამდენი მეგობარი, გულშემატკივა-
რი, ჭირში მდგომი ჰყოლია, ამათ გული გაუმაგრა, ტკივილი შეუმსუბუქა, გაამხნევა.
ქალიშვილი და ვაჟიც ხომ გვერდით ჰყავდა.

* * *

კალიაევის ვიწრო ქუჩაზე, პატარა ერთსართულიან სახლში, ცხოვრობდა დავითი.
ბინის გაფართოება მაშინ გაახსენდა, როცა მილიციაში აღარ მუშაობდა და შვილები
წამოეზარდნენ.

არაა დასამალი, სამსახურიდან წასული კაცი ნაკლებად ჩანს საზოგადოებაში და პატივიც აკლდება. დროზე დავითს არ ეცალა შინაური საქმეებისათვის.

— წადი, კაცო, აღმასკომში, თვალი ამოგიღამდა ამ ბნელ ოთახში! — ეტყოდა მეუღლე, მაგრამ დავითს ამ საუვედურის გაგონებაც არ უნდოდა. ჭერ ერთი, იცოდა, რა ნერვების წყვეტას მოითხოვდა ამ საკითხის მოგვარება, მეორეც, არ უყვარდა მთხოვნელის როლი. მაგრამ შვილების მომავლისათვის უნდა ეზრუნა: ქალაქის საბჭოში მივიდა, განცხადება შეიტანა და უკან დაბრუნდა.

დაპირდნენ, დაიჭერა, გულზე მძიმე ტვირთი მოეხსნა, სული მოითქვა, საქმე გაკეთებულად ჩათვალა და შინ მხიარული დაბრუნდა.

მაგრამ მიდიოდა დრო, პასუხი არ ჩანდა, მისთვის თავი არავის შეუწუხებია, აღარც იგი მისულა უფროსებთან, — ჩუმად იჯდა და ელოდა, ვიღაც ჩემთვისაც მოიცლისო, მაგრამ ეს მოცლილი კაცი არსად ჩანდა. წყინდა, მაგრამ არ ამხელდა, საიდუმლოდ ინახავდა, უმწიკვლო და პატიოსან კაცს, ყველა პატიოსანი და მართალი ეგონა.

— მთელი სიცოცხლე ქვეყნის სამსახურს შესწირე და ერთი ბინაც ვერ მოგცეს?! — ეტყოდა ქალბატონი შურა.

— კაი ერთი შენც, ქალო. გავატარე, თორემ არ ვყოფილიყავი მარშალი. ერთი უბრალო მილიციელს რაც მაქვს, ის მეყოფა, მთავარია ჯანმრთელობა.

— ერთ ოთახში ოთხი სული ვცხოვრობთ.

— სხვებს მაგიც არ გააჩნია. — დაამშვიდებდა დავითი მეუღლეს, მაგრამ ტელეფონის ყურმილი მაინც აიღო და ვილაცას მორიდებით ჰკითხა:

— ჩემი განცხადება ვინმემ თუ წაიკითხა?.. — მე დაუთაი ვარ ასამბაძე, ბინის მიღების თაობაზე მქონდა დაწერილი, აგერ სამი წელი გავიდა.

— ბატონო დაუთ, ამ ხნის განმავლობაში სამი თავმჯდომარე გამოიცვალა, კიდეც უნდა დაწეროთ. — შეახსენეს მორიდებით.

— მეტს არ დავწერ! — თქვა და ყურმილი დადო.

არც დაუწერია.

კიდეც სამი წელი იდგა რიგში და თვითონ დარეკეს.

— დავით ასამბაძე მინდა!

— მე ვარ!

— აღმასკომიდან ვრეკავთ, ბინის შესახებ.

— კეთილი, მეშველა?

— ჭერ არა!

— აბა როდის?

— ალბათ, მალე, ეს „მალეც“ რომ მოვიდა, ამ საქმეს იმდენი ნერვები შეაღია, რომ ახალი სახლი ვეღარ შეიყვარა...

ზაფხულის მშვენიერი დილა გათენდა. დავითმა ფანჯარა გამოაღო, გრილი ნიაგი ესიამოვნა, სახლში დიდხანს ვეღარ გაძლო და ეზოში გავიდა, კვირა დღე იყო და მეზობლებთან საუბარი უნდოდა.

უცებ მოაგონდა ავადმყოფი მეზობელი. წავიდა. მოინახულა, ნუგეში უთხრა, წამალიც დაპირდა, შეაგულიანა და წამოვიდა.

მეზობლები იგვიანებდნენ. გადაწყვიტა ქალაქში წასვლა. ქუჩაში ყოველ ნაბიჯზე ნაცნობები ხვდებოდნენ. საუბრობდნენ, კამათობდნენ, ბოლოს ბაზარში შევიდა. თანასოფლელებს შეხვდა, ნათესავ-მეგობრები მოიკითხა და ერთ ვეებერთელა საჯამთროს დაადგა თვალი.

— რა ღირს, კოვ? — ჰკითხა.



ვილაცამ ჩამოიარა, იცნო ასამბაძე და ჩაიქირქილა: — ვერ ზიდავ, ორი ფული მაინც იქნება.

— ვზიდავ, ვზიდავ, — თქვა და ფული დადო დახლზე. — აჲ, თორემ ჭიბვირები წაგართმევენ. — საზამთროს პატრონს გაეცინა.

მართლაც მძიმე გამოდგა საზამთრო, ძლივს მიიტანა სახლში, ეზოში სის მაგიდაზე დადო, თვითონ ძელსკამზე ჩამოჯდა, ოფლი მოიწმინდა და მეზობლებს გადასძახა:

— არ გრცხვენიათ, რა გაძინებთ ამდენს, ქვეყანა გაკეთდა.

მაღე გამოჩნდა კარის მეზობელი გენო ღლონტი, ცოტა მოგვიანებით არჩილ გოქსაძე, ვალოდია ლიპარტელიანი, ჟორა სემერჯიანი.

— ეს რამხელა საზამთრო გიშოვია, კაცო! — გაუკვირდა გენოს.

— ვიშოვე კი. მთელი თვის პენსია ჩავაყაჭე, — გაეცინა დავითს და გენოს სთხოვა, — გაჭერი!

— კაცო, ამხელა საზამთრო თვალთ არ მინახავს ჯერ! — აღაპარაკდა ჟორა.

— ჯერ ნუ აქებ, — თქვა დავითმა, — რამდენი კაცია გარედან თვალს მოგტაცებს, შიგნით ფუშტია.

ყველას გაეცინა.

გენომ დაჭრა დაიწყო.

— მართლაც დიდებული გამოდგა, ა?

— აბა როგორ, დაუთაი შეცდება? — დაიწყეს ქება და მაგიდას მიუსხდნენ.

— ცივი აჯობებდა, — თქვა ვილაცამ.

— ეს რა მაცივარში მოთავსდებოდა.

— გაგვეჭრა.

— გემოს დაკარგავს, არ ივარგებს!

— ასეც კარგია, წყურვილს მოკლავს. — თქვა გენომ და დავითს შეხედა. არ მოეწონა გენოს ასამბაძის მკრთალი სახე, თვალებიც ველარ ელავდნენ უწინდებურად.

დავითი წამოდგა, მეზობლებს შეხედა და უსიტყვოდ წავიდა.

მეზობლებმა ერთმანეთს შეხედეს. გენო უკან მიჰყვა, არჩილს უთხრა:

— დავითი ვერ არის კარგად.

— მეც შევატყვე, გულმა შეუტია ისევ, ალბათ, — თქვა არჩილმა და სასწრაფოს გამოსაძახებლად წავიდა.

გენო და არჩილი ოთახში რომ შევიდნენ, დავითი ღივანზე იწვა, ღრმად სუნთქავდა, მაღე ჟორა და ვალოდიაც იქ გამოჩნდა.

— მეონი, ვკვდები, ბიჭებო! — თქვა და გენოს შეხედა, — ზებურა გამოიძახე!

— ნუ გეშინია დაუთ, ასლავე მოვა სასწრაფო, ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ლელავ.

— გუგული სად არის, დამიძახეთ!

— ახლავე, ახლავე.

მაღე სასწრაფო დახმარება მოვიდა, ნემსიც გაუკეთეს, მაგრამ უკვე ყველაფერი ამაო იყო...

ზაფხულის დღე მიიწურა. მზე ზღვაში ჩაიძირა.

ქალაქს დააკლდა კიდევ ერთი კარგი კაცი.



მისილ ბულგაკოვი

ტარაკანი

— აჰ, რა ჩინებული ქალაქია მოსკოვი! განთქმული ქალაქი! და ჩექმაც განთქმულია!

ეს განთქმული ჩექმა ვასილი როგოვის იდლიას ქვეშაა, ზოლო თვითონ ვასილი როგოვი ნოვინსკის ბულვარის თავშია, სმოლენსკის ბაზრის მისასვლელთან. უღიმღამო დღე იდგა, ცა წვივსახვევს ჰგავდა, და წვრილად ცრიდა კიდეც, მაგრამ ვერავითარი უღიმღამობა ვერ შეუშლის ხელს სმოლენსკის კვირადღეს! არბატიდან ნოვინსკამდე კარვებიანი ბანაკი იდგა. რვა გარმონი მოიტოვა ზურგს უკან ვასილი როგოვმა და ეს გარმონები სხვადასხვა ხმას გამოსცემდნენ და სულს მხიარული კაეშნით გიწამლავდნენ. არბატიდან ჩამომხმარ ხეებადის სამ კედლად იდგა ხალხი და ვაჭრობდა ყველაფრით, რაც ხელს მოხვდებოდა. ფესშიშველა და მელოტი ღვევ ტოლსტოით, გუტალინით, ვაშლებით, ლამპასებიანი შარვლებით, ბურახითა და სევასტოპოლის დაცვით, შავი მოცხარითა და ხალიჩებით.

თუ ვინმეს ფული უჭყავის, ისე გრძნობს თავს სმოლენსკის ბაზარზე, როგორც თევზი ზღვაში. გაცურა ვასილი როგოვმა ოკეანეში და გავიდა ნაპირზე ჩექმითა და ფინური დანით. ჩექმა — ეს გასაგებია. ჩექმა უფრო ადრეც უნდა ეყიდა, ფინური დანა კი რაში სჭირდება? როგორღაც თვითონ შეასაღა თავი.

როცა როგოვმა ჩექმისათვის ორი წითლიანი გადაუთვალა ფარდულში, მის წინ მიწიდან ელაში კაცი ამოიზარდა, რატომღაც გენერლის შინელი ვცვა და დუდლუნით შენიშნა:

— ჩექმა იყიდეთ, მამილო? ჩინებული ჩექმაა, მაგრამ ასეთი ფინური დანა თუ გინახავთ?

და როგოვს თვალწინ გაუელვა მომაკვდინებელმა ფოლადმა.

— არ მჭირდება, — თქვა როგოვმა და ჩექმა იდლიის ქვეშ შეთვლა.

— ექვსი მანეთი ღირს, ფინურია, — აუწყო კაცმა, -- მე კი ოთხად ვიძლევი დუქნის ლიკვიდაციის გამო.

— არავითარი დუქანი არ გაქვს შენ. — ზიზლით შეეპასუხა როგოვი და გაიფიქრა: „რაძენი თაღლითია სმოლენსკზე! ოჰ, ღმერთო ჩემო!“.

— ასეთი დანა რომ მოუქნიო კაცს ნეკნებს ქვეშ, — დაშაქრულად ალა-

პარაკდა კაცი, თანაც თითით პირს უსინჯავდა ვერაგ ფოლადს, — ვისაც გინდა, დაკლავ.

— შენ ეი, ფრთხილად, აქ მილიციელებიც არიან, — უპასუხა როგორმა, თანაც ცდილობდა ზურგების ტევრში გაეღწია.

— სამნახევრად აიღე დანა, მამი, — დუდღუნებდა კაცი და ასუნთქავდა ვასილ როგოვს, რომელსაც არავინ უწყის, რისთვის, ფურნეში საწყენი მეტსახელი ტარაკანი შეარქვეს: — თქვენი ფასი თქვით, მამილო! სმოლენსკზე გაჩუმება არ ეგების.

ამ დროს გარმონიამ მარში დაამღერა და მთელი ბაზარი წალეკა დაუდგრომელი სევდით.

— მანეთი! — ხითხითით თქვა ტარაკანმა, რომელიც თავს ბედნიერად გრძნობდა, ჩექმა რომ შეიძინა.

— აიღეთ! — შესძახა კაცუნამ და დანა ტარაკანს ახალი ჩექმის ყელში შესწარა.

თვითონაც არ უწყის, როგორ. ტარაკანმა ამოძურწა უბიდან საფულე, მაგრად ჩაბლუჯა მარცხენა ხელის თითებით ხუთი თუმნიანი, — რა არ ზდება სმოლენსკის ბაზარზე! — მარჯვენათი კი ყვითელი მანეთიანი ამოაძრო.

ასე დააჯილდოვეს ტარაკანი ფინურით. როგორც ჩანს, ხაბაზს ბედი ჩასაფრებოდა.

ტარაკანს ძალზე გაუფუჭა გუნება უსარგებლო ნივთის შეძენამ. „რა, მართლა, ხალხის დაკვლას ხომ არ ვაპირებ?“ წყენას რომ გადაეკლო, ლუდხანაში შევლა მოუხდა. ორი ბოთლი ლუდი რომ დალია, ტარაკანმა იგრძნო, რომ დანა არცთუ ისე უსარგებლოა. „ვაჟკაცური რამ არის ფინურა“, — გაიფიქრა ხაბაზმა და ნოვინსკის ბულვარზე გავიდა.

რა გამოცოცხლება იგრძნობოდა აქ! ფოტოგრაფი ვილაც თმაში ვარდგარჭობილ ქალწულს იღებდა ეკრანის ფონზე, რომელზედაც გამოსახული იყო ძღორე და ლურჯ მდინარეზე, მოსკვა-რეკაზე, გადმოძღვარი კრემლი. იდგა ტრაქომიანი კაცი და მღეროდა სევდიანად და ამაზრზენად. ჩინელი ჩხარუნას აჩხრიალებდა და მიმოდიოდა ხალხი. აქ ტარაკანს მისწვდა არაჩვეულებრივი ხმა, რომელიც ყველას აუწყებდა ხმამაღლა და გარკვევით:

— მთელი ფორანი ფული მაქვს, ამძიმებს მიწას, — იაპონიიდან მომართვა ბიძამ.

შემდეგ კი ხმამ ასე თქვა:

— თვითონ ბზრიალას არ ვატრიალებ, მე მხოლოდ ფულებს ჩაგიჩხრიალებთ.

და, მართლაც, თვითონ არ ატრიალებდა. რვა წახნაგა ხის ბზრიალას ატრიალებდა ის, ვინც ფსონს ჩადიოდა, ჩასვლა კი შეიძლებოდა, ნებისმიერზე რვა ნომრიდან, ნომერი დაფაზე იყო, დაფა ყუთზე, ყუთის ირგვლივ კი მამაკაცები იდგნენ ნახევარწრედ.

— თამაში,— აღნიშნა ხმამ, — მოუტყუებლად და თანაბარი შანსით, ყველას შეუძლია მოიგოს ცოლისთვის — ნამცხვრის, თავისთვის — არყის, ვშვებისათვის — რძის ფული.

მშობლიურივით ჟღერდა ხმა, როგორც შინ. გაოფლილი ახალგაზრდა კეპიანი პიროვნება სამ-სამ კაპიკს ჩადიოდა მე-8 ნომერზე, ის კი არ ამოდიოდა. შემდეგ, როცა ამოვიდა, ხმამ კეპს სამშაურიანი მისცა. კეპი ოფლიანი ხელით ჩავიდა შაურიანს და თხლაშ — 8! 25 კაპიკი. ის (კეპი) უზალთუნს — და 8! სასწაული ზედიზედ. ათშაურიანი. ხმა კი თითქოს არაფერიო, არც კი შემკრთალა — იხდის და იხდის. კეპი ისევ უზალთუნს ჩადის 8-ზე, მაგრამ ამჯერად აღარ ამოვიდა. ყოველთვის ხომ არ ამოვა!

შემდეგ ვიღაცა სამ კაპიკს ჩავიდა მე-2 ნომერზე. ბზრიალზე კი 3 ამოვიდა.

— ეჰ, გვერდით უნდა დაგედო! — თქვა ვიღაცამ.

— რას გამოიცნობ.

ტარაკანი უკვე ყუთთან იდგა. ფინურა ჩექმის ყელიდან უბეში გადაიტანა საფულესთან, ასე უფრო საიმედოაო — რა არ მომხდარა ნოვინსკის ბულვარზე!

კეპი უზალთუნს ჩავიდა მე-7-ზე, 7 ამოვიდა.

— უზალთუნში ვიძლევი ათ შაურს, აბაზში — მანეთს! — გულგრილად აუწყა ყველას ხმამ.

ტარაკანმა ვაჟკაცურად ჩაიცინა. ლუდით გამხნევებულმა ისე, გასართობად, დადო მე-3 ნომერზე სამი კაპიკი, მაგრამ ამოვიდა 5-იანი.

— რაც მეტს თამაშობ, უფრო მხიარულია თამაში! — თქვა ხმამ. ტარაკანი შაურს ჩავიდა წვრილი სპილენძის ზურდით მე-4 ნომერზე და გამოიცნო. ხმამ ტარაკანს ხუთი შაური მისცა.

— დაზე ამას! — წაიჩურჩულეს ნახევარწრეში.

ტარაკანი როგორღაც გაოცდა, დაირცხვინა და უზალთუნი მე-8-ზე დააგდო. ამჯერად გული შეუტოვდა, სანამ ბზრიალა ტორტმანებდა დაფაზე და ცივად დაეცა. დაეცა არა მე-8-ზე, არამედ 1-ზე. დაენანა რატომღაც უზალთუნი. „ეჰ, არ უნდა დამედო, ამედო ხუთი შაური და წავსულიყავი. ახლა კი ეწამე“.

მეოთხედი საათის შემდეგ ნახევარწრე უფრო იჭიდრო და ხშირი გახდა. ორ რივად იქცა. ყველანი ჩამოეცალნენ. ისევ მიმოყარა ტარაკანმა ყველანი თავისი გაქანებით, ახლა ტარაკანი ირგვლივ ვედარაფერს ხედავდა. სახეები უთვალსოვლო ლავაშებად ქცეულიყო. მაგრამ ხმის სახეს ჩინებულად ხედავდა — თითქოსდა ზეთი წაუსვესო. გაპარსულ ყვრიმალზე მუწუკი ჰქონდა, თვალები — აქატის მაგვარი, ცივზე ცივი. ხმა ყინულივით მშვიდი იყო. ტარაკანს კი სახე დაუბიჟინდა. მშობელი დედაც კი ვერ იცნობდა. დაბერდა, ტუჩის კუთხეები ჩამოეფლაშა, სახის კანი ნაცრისფერი და უწმინდური გაუხდა.

ჩაწყლიანებული თვალები შუბლზე აუვიდა.

ტარაკანი უკანასკნელ თუმანს ათამაშებდა. უბეში დიდხანს ნადგები ნადგობისფერი თუმანი ამოიღო, ყუთის მფლობელმა ფული ასე დაუხურდავა: დაგლეჯილი მანეთიანი, ახალი მანეთიანი, მწვანე სამიანი და პაპიროსის ქაღალდით თხელი ბევრის მნახველი ხუთიანი. ტარაკანი მანეთს ჩავიდა, კიდევ მანეთს, ვერ ამოიგო. „რა მანეთ-მანეთ ჩავდივარო?“ — გაიფიქრა უცებ და იგრძნო, რომ უფსკრულში მიექანებოდა სამიანი! სამიანმაც ვერ უშველა. მაშინ ტარაკანმა ხუთიანი დაატყეპა და ყველაფერი აცურდა და აყირავდა, ნოვინსკის ბულვარზე. არავინ განძრეულა, მთელი სამყარო გულგრილად შესცქეროდა ტარაკანის ავბედობას. ყუთის მფლობელმა კი უცებ მოხსნა დაფა, ამოიჩარა ერთ იდლიაში, მეორეში ყუთი და გასწია.

— მოიცა! — ზრინწიანად წარმოთქვა ტარაკანმა და ხმას სახელო მოქაჩა. — მოიცა-მეთქი!

— რაღას ველოდო? — უპასუხა ხმამ. — ფსონი მორჩა, შინ წასვლის დროა.

— კიდევ ვითამაშებ, — შეცვლილი ხმით თქვა ტარაკანმა, გამოიღო ჩექმა და თვალდანისლულმა ხელადვე იპოვა მყიდველი.

— იყიდე ჩექმა, — თქვა მან და შეამჩნია, რომ ჩექმა იმ კებს შეაძვლია, პირველმა რომ დაიწყო თამაში. კებმა დამცინავად გამობრუცა ტუჩები და ტარაკანი განცვიფრდა, კებსაც ისეთივე ზეთიანი სახე ჰქონდა, როგორც ხმას.

— რამდენად? — იკითხა კებმა, თანაც ნატკენი, გაბობილი ფრჩხილით ლანჩას უკაკუნებდა.

— ოცი! — ჩახველებით წარმოთქვა ტარაკანმა.

— 12, — უნდობლად თქვა კებმა და წაზვლა დააპირა.

— მოიტა, მოიტა! — სასოწარკვეთილებით სთხოვა ტარაკანმა.

კებმა სტვენა-სტვენით, ძალზე ღუნედ ამოიღო გაქონილი ფრენჩის ჯიბიდან წითელი თუმნიანი და კიდევ ორი მანეთი და მისცა ტარაკანს. ყუთი ადგილს დაუბრუნდა და ტარაკანმა ცოტათი ამოისუნთქა. მან ხუთჯერ ზედიზედ წააგო მანეთიანი. შემდეგ მისთვის ბედნიერ მე-3-ზე ჩავიდა მანეთს და მიიღო ხუთი. შიში ჭიასავით შემოეჭდო გულზე ტარაკანს, „როდისღა ამოვიღებ უკანო!“ — გაიფიქრა და ჩავიდა ხუთიანს 5-ზე.

— გაფიცხდა ბიჭი! — შენიშნა შორიდან ვიღაცამ.

ყუთის შემდეგ ტარაკანის წინ ყველაფერი დაცარიელდა, ყუთი გაქრა. გაქრა დაფაც, ხალხი გაიფანტა. ტარაკანისადმი გულგრილი ბულვარი კი ცოცხლობდა. ჩინელი აჩხრიალებდა ჩხარუნას, შორს კი ერთმანეთს ეხმინებოდნენ სასტვენები — დროა, მორჩეთ ბაზრობასო.

ტარაკანმა ადგზნებული თვალი მოავლო ბულვარს, მგლის ძუნძულით



წამოეწია კებს, რომელსაც ჩექმა მიჰქონდა. გვერდით გაჰყვა, კეპმა დააღწია და რად გადმოხვდა და ბულვარიდან გადახვევა დააპირა.

— არა, შენ მასე ვერ წახვალ! — თქვა ტარაკანმა და საკუთარი ხმა ვედარ იცნო, — ასე როგორ იქნება!

— რა გინდა? — ჰკითხა კეპმა და ლაჩრულად დააცეცა თვალები.

— შენ რომელი თუმანი გადამიხადე ჩექმისთვის? ა? მიპასუხე!

განწირულობის გრძნობამ უცებ გაუნათა ტარაკანს თავი და ის ყველაფერს მიხვდა. თუმნიანზე მელნის ლაქა იყო, ტარაკანისთვის ნაცნობი. გუშინ ეს ლაქიანი თუმანი ხელფასად მიიღო ფურნეში. ხმასთან სწორედ ეს თუმნიანი წააგო, როგორ აღმოჩნდა იმასთან, ვისაც კები ერქვა, და ტარაკანი მიხვდა, რომ ის, კები, ხმის დამქაშია. მაშ, თუმნიანი ხმას მიუცია კებისათვის? სწორედ ასეა.

— გამეცა, ლოთო! — მკაცრად უთხრა კეპმა.

— მე ვარ ლოთი? — ტარაკანს ხმა აუმაღლდა და დაუწვრილდა. — მე ლოთი არა ვარ. თქვენ კი თანამზრახველები ხართ. ავსულნო! — წამოიყვინძო ტარაკანმა.

გამვლელები შხეფებივით გაცვივდნენ განზე.

— მე შენ არ გიცნობ! — მტრულად გაეპასუხა კები და ტარაკანი მიხვდა, რომ გაზონში გასაძვრომს ეძებდა.

უცებ ტარაკანი გულამოსკენილი ატირდა.

— დამლუპეს, — თრთოლვით ამბობდა იგი, — მოჰკლეს კაცი. ფული პროფკავშირისაა. საღაროში მაქვს ჩასაბარებელი. სამართალში მიმცემენ! — მოველი ქვეყანა აავსო ცრემლებით, და კები მოლბა.

— რას ამბობ, ძვირფასო? — გულითადად ალაპარაკდა იგი. — მე თვითონ წავაგვ, ჩემო კარგო, თვითონ დავკარგე ყველაფერი, შენ წადი, გამოიძინე.

— ჩექმა არ მენანება, — ტანჯვით ამოთქვა ტარაკანმა, — ორმოცდაათი კი ჩემი არ არის. დელეგატი ვარ. ობოლი დაღუპეთ, თაღლითებო! — უეცრად წვრილი ხმით დაუყვინძო ტარაკანმა. კები მოიქუფრა.

— მომწყდი აქედან, ვშმაკსაც წაუღია შენი თავი! — გაგულისება დაეტყო სახეზე, თვალებს კი ძველებურად აცეცებდა. — პირველად გხედავ ჩემს სიცოცხლეში.

— ის ყუთიანი დააბრუნე! — თავდავიწყებით აბუტბუტდა ტარაკანი და კებს შეუტია. — ახლავე მომგვარე აქ! თორემ ხელისუფლებას ჩაგაბარებთ! რას უყურებს ეს მილიცია? — ჰკითხა შეწუხებულმა ტარაკანმა ცნობისმოყვარე თავსაფრიან დედაბრულ სიფათს.

სიფათმა პირჯვარი გადაიწერა და იმწასვე გაზონში გაუჩინარდა. ბიჭებმა ბულბულებივით ატეხეს სტვენა.



— შენც აიღე და უთაქე, მიდი უთაქე, რად უნდა ამდენი ლაპარაკი! — ურჩია ვილაცის დამპაღმა ხმამ.

კეპიანს თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, თავგებივით უწრიალებდა.

— დამეხსენ, ლეშო! — კბილებში გამოცრა კეპმა. — მე არავითარი ყუთი არ მინახავს.

— ტყუი! ყალთაბანდო! მე თქვენ მოხარშულს გიცნობთ! — ქვითინით წამოიძახა ტარაკანმა. — ჩემი ჩექმა ჩემივე ფულით იყიდა!

— მასზე საკუთარი დამლა გაქვს, თუ რა? — იკითხა კეპმა და ირიბად გაუტია განზე. — მე ისინი სულ სხვა კაცისაგან ვიყიდე, მაღალი იყო, ღიბრ-გადაკრული, შენ კი პატარა ხარ — ტარაკანი! შეგეცვალე, მოქალაქევ! — ტკბილად თქვა კეპმა და ცნობისმოყვარე მაყურებლებს ნამარხულევი ლოყებით გაუღიმა. — ახლა კი თავგზას მიბნევს. აბა, მომცილდი ბილწო! — წაიბუზღუნა უცებ კატის ხმით და კატასავით რბილ-რბილად წავიდა. ბრტყელ-ცხვირა ფეხსაცმლის ზემოთ კლიოში შექანდა.

— ჯობს შეჩერდე, მე შენ გეუბნები, — ყრუდ დუდღუნებდა ტარაკანი და თანაც სახელოზე ეჭიდებოდა. — პასუხისგებაში გაძლევ! კეთილო ხალხო...

— ეჰ, თავი მომაბეზრა! — იყვირა კეპმა, თვალები დააკვესა და ძვლიანი იდაყვი ატაკა ტარაკანს მკერდში.

ტარაკანს სული შეეკმა — „ვიღუბები მე უბედური დელეგატი, — გაიფიქრა მან — მიდის... ავსული...“

— შეჩერდები თუ არა? — გაფითრებული ტუჩებით წაიჩურჩულა ტარაკანმა და კატის გუგა დაიჭირა თავისი განწირული მზერით. გუგაში კეპს თავდაჯერება, მტკიცე გადაწყვეტილება ედგა, არ ეშინოდა ყავისფერი პატარა ტარაკანისა. აი ახლა, როგორც ბზრიალა-ტურნიკეტი გაიძურწება კეპი ნოვინსკიდან.

— შეჩერდი, შეჩერდი, შე ავაზაკო! — ხრიწინებდა ტარაკანი, თან მარცხენა ხელის ორი თითით სრიალა სახელოს იკაპიწებდა. კეპი უჩუმრად მიფრინავდა ტურნიკეტისაკენ — სად არის მილიცია? — წაიჩურჩულა სულშეხუთულმა ტარაკანმა.

ტარაკანმა ქვეყანა წითლად განათებული დაინახა. გავეშებულმა ტარაკანმა ამოიღო ფინურა დანა და მსუბუქად ჩასცა კეპს მარცხენა ფერდში, კეპს ჩექმა გაზონზე დაუვარდა. გვერდზე შემობრუნდა და ტარაკანმა დაინახა მისი სახე. მასზე ზეთის ნასახიც აღარ ეტყობოდა. მეცხეულად გაუშრა, დაეწმინდა, ხოლო თავის თვალები უზარმაზარ შავ ქლიავებად გადაექცა. ქაფი კოშტად გადმოუვიდა პირიდან. კეპმა დაიხრიწინა, ხელები ცისკენ აღაპყრო და ტარაკანისაკენ გადმოექანა.

— საჩხუბრად მოიწევ? — ჰკითხა ტარაკანმა, თუმცა ჩინებულად ხედავდა, რომ კეპს ჩხუბის თავი არ ჰქონდა, რომ კეპს სულაც არ ეჩხუბება, არც არაფერი უნდა! საჩხუბრად?.. გამძარცვეთ და თანაც მეჩხუბებით? —



ტარაკანმა ძლიერი მოქნევით აძგერა დანა ყელში და კეპს გაფითებულ ტუჩებზე ვარდისფერი ბუშტუკები გამოუსხდა. მათრობელმა ექსტაზმა ჩაითრია ტარაკანი. სახეზე დაუსვა კეპს და კიდევ ერთხელ, დაცემისას მუცელში სჩხვერა. კეპი ნოვინსკის მწვანე ბალახზე გაწვა და სისხლის ლაქებით მოთხუპნა. „ჩინებული ფინურაა... თითქოს ქათმისას ჰგავს ადამიანის სისხლი“ — გაიფიქრა ტარაკანმა.

ბულვარმა დაიჭყვიტინა, შემდეგ იბლავლა და ათასიანი ბრბო, როგორც მას მოეჩვენა, ახტუნდა და აგრიალდა მის ირგვლივ.

„დავიღუპე საწყალი დელეგატი, — გაიფიქრა ტარაკანმა. — ჩემს ბედს რა ვუთხრა! ვინ ეშმაკმა მომყიდა დანა და რისთვის?!“

ფინურა ბალახზე მოისროლა და ყური მიუგდო, თუ როგორ იხუთებოდა და კვდებოდა სისხლიანი ბუშტუკებით მოთხვრილი კეპი. ტარაკანს შეებრაღა კეპი და რატომღაც ყუთიანი ყალთაბანდიც... „გასაგებია... ის ზომ ლუკმაპურს შოულობს... მართალია, თაღლითია... მაგრამ ზომ ყველა ისე ვტრიალებთ, როგორც ბზრივდა...“

— ნუ მცემთ, მოქალაქენო, — წყნარად შეეხვეწა დაღუპული ტარაკანი, ტკივილი არ უგრძვნია, უბრალოდ თვალთ დაუბნელდა და მიხვდა სახეში ჩააფარეს, — ნუ მცემთ, ამხანაგებო! მე № 13 ფურნის ადგილკომის დელეგატი ვარ, ოჰ, ნუ მცემთ. პროფკავშირის ფული წავაგე და საკუთარი სიცოცხლეც დავღუპე. ნუ მცემთ, გამთოკეთ! — ევედრებოდა ტარაკანი და ხელებით იფარავდა თავს.

ტარაკანის თავს ზემოთ სივრცეს ბზრივდასავით გამყინავი ხმით ბურღავდნენ სასტვენები.

„დახე, რამდენი მილიციაა... მეტიმეტად ბევრმა მოირბინა, — გაიფიქრა ტარაკანმა და სხვათა ხელებს დანებდა, — ადრე უნდა ეცემათ, ახლა კი სულ ერთია...“

— დაე, მცემონ, ამხანაგო მილიციელო, — გულგრილად თქვა ტარაკანმა და გატეხილი ცხვირიდან გადმოსული სისხლი ჩაყლაპა. ერთხელ მიხვდა მხოლოდ, რომ მუცლებს შორის მიათრევდნენ, რომ ფეხებით თელავდნენ, მაგრამ თავში აღარ სცემდნენ.

— ჩემთვის ეს სულ ერთია. მე მოულოდნელად კაცი დავკალი, ფინური დანის შეძენის შედეგად.

„რა ჯოჯოხეთური აურზაურია, — გაიფიქრა ტარაკანმა. — ხმა კი როგორ მბრძანებლური აქვს...“ მბრძანებლური, მკაცრი ხმა ისე ღრიალებდა, რომ კუდრიანსკის ქუჩამდე ისმოდა.

— მეეტლევ, მე შენ გიჩვენებ — დაიძარი! არამზადა... განყოფილებაში!!!

თარგმნა გოდერძი ტოტონაშაძე.

ვაჟა კინწუხაშვილი

არასოდეს ჩაიძირება

— მამიკო, შეხედე, როგორი გემები ავაშენე! წავიდეთ ზღვაზე და ვნახოთ, როგორ იცურავენ, ნუთუ შენ არ გაინტერესებს?!

ძალიან დაღლილი ვიყავი, არაფრის თავი არ მქონდა, მაგრამ განა შემეძლო ჩემი პატარა ლადოსთვის უარი მეთქვა? სურვილი შევეუსრულე.

— შეხედე, რა ლამაზია ზღვა!— აღფრთოვანებით წამოიძახა ბავშვმა, გახედა მოღვივლივე ლურჯ სივრცეს, თითქოსდა თვალებით ეძებდა რაღაცას ჰორიზონტზე.

შევეურებდი შვილის სიცოცხლით სავსე სახეს და ვფიქრობდი: „რა კარგია, როცა ადამიანთა სახეებზე აღბეჭდილია სიხარული, ირგვლივ კი სიწყნარე და სიმშვიდე“.

ფიქრებიდან ლადოს ხმამ გამომიყვანა. ბიჭი ქაღალდის გემს წყალში უშვებდა. გემი ტალღებზე პეპელასავით ფარფატებდა. ლადო ანთებული თვალებით მზერას არ აშორებდა მათ მოძრაობას, მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ქაღალდის გემი დასველდა, წყლით გაიჟღინთა და პატარა ტალღამ იოლად დაშალა. ბავშვი მოიღუშა. სადაცაა ცრემლი უნდა გადმოედვარა, მაგრამ მოაგონდა მეორე გემის არსებობა და მაშინვე ჩაუშვა წყალში პირველის მისაშველებლად. სამწუხაროდ, მასაც იგივე ბედი ეწია.

— მამა, ხომ შეიძლება ნამდვილი გემიც ჩაიძიროს, ხალხიც დაიღუპოს, მათ შორის შენ, დედა, ძმა, ბაბუა და ბებია?.. — მკითხა ლადომ.

გაკვირებული ვუყურებდი პატარა ბიჭს, რომელიც დიდი კაცივით მსჯელობდა, მინდოდა დამემშვიდებინა, რაიმე სანუგეშო მეთქვა, მაგრამ სანამ ეს მოვახერხე, მან დამასწრო, თითქოს თავისთვის ჩალაპარაკა:

— როცა გავიზრდები, ისეთ გემებს ავაშენებ, არასოდეს რომ არ ჩაიძირება.



დიდი ჩემოვანი

«იმ ღამეს გაუმარჯოს, ჩემიველით თენდება!..»

თუ ომის დაწყება მანამ ვერ შევიტყვეთ, სანამ არ გამოგვიცხადეს, გამარჯვების ამბის „შემოჭრა“ ბანაკში ვერ შეაკავა ვერც ორმაგმა ეკლიანმა მავთულხლართმა, ვერც „ცოცხალი საგუშაგოების“ გრძელმა რიგმა. უნდა ითქვას, არც არავინ ცდილა მის „შეკავებას“ — სიხარული და აღტაცება ხომ ჭეშმარიტად საყოველთაო იყო.

გუგუნებდა ბანაკი. დასასრული არ უჩანდა მხიარულებას, ზვევნი-კოცნას, ამ უბედნიერესი დღის ერთმანეთისათვის მილოცვას!

მაგრამ განვლო არცთუ დიდმა ხანმა და საშინელი სევდა შემოგვაწვა გულზე ყველას. ვიგრძენით, ომის დამთავრებასთან ერთად, როგორ დამთავრდა, როგორ გაქრა ჩვენთვის „სრულფასოვანი“ მოქალაქეობის სანუკვარი ილუზია. ჩვენ ახლა თავდადებული და სახელიანი „ზურგის მეომრები“ კი არ ვიყავით, როგორც ეს ომის წლებში წარმოგვედგინა, არამედ ისევ ის უბადრუკი პატიმრები, „მაენებლებად“, „ხალხის მტრებად“ თუ „ხალხის მტრის ოჯახის წევრებად“ რომ ვიყავით მონათლულნი და საზოგადოებისაგან იზოლირებულნი.

მეტად ძნელი შეიქნა „წარსულში“ დაბრუნება! ისიც მაშინ, როდესაც უკვე გადავითანეთ უმკაცრესი გამოცდა, სამშობლოს საკეთილდღეოდ შევიძელით ჩაგვეკლა გულში უზარმაზარი ტკივილი და წყენა, დავუმტკიცეთ ქვეყანას წრფელი სიყვარული და ერთგულება!..

ისევ გვცოვა და გვშია, ისევ გვცხელა და გვწყურია, ისევ გვწყდება ქანცი მძიმე შრომაში. ეს არის მხოლოდ: პატიმრები, რომლებსაც სასჯელის ვადა გაუთავდათ, მაგრამ არ ათავისუფლებდნენ „ომის დამთავრებამდე“, ახლა იმედითა და სიხარულით მოელიან გათავისუფლებას და რიგრიგობით შინ ბრუნდებიან.

ჩემი ჯერიც დადგა!

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი!..



ქართული
ლიტერატურის
ქართული
ბიბლიოთეკა

გვიანი ღამეა. საღვური და მიმდებარე მოედანი თითქმის ჩაბნელებულია. უეცრად ჩემს წინ სატვირთო მანქანა გაჩერდა.

— წამიყვანთ? — ვეკითხები მძღოლს დაუფიქრებლად.

— სად გინდა?

— სულ ახლოს, სვანეთის უბანი, 9 იანვრის 9.

— ფეხითაც მიხვალ.

— არ შემიძლია, დაღლილი ვარ. მე გადასახლებიდან ვბრუნდები, 8 წელია, აქეთ არ ვყოფილვარ...

— ფული გაქვს? — მაწყვეტინებს უხეშად.

— როგორ არა, მაქვს, ოთხმოცი მანეთი, — „ბუშლატის“ შიდა ჯიბი-საკენ მიმაქვს ხელი.

— წავიდეთ!

წუთში მიმიყვანა.

ჩამოცდაათი მანეთი ქაღალდის ფული ჩავაბარე, ათიც ხურდით „ავუ-თავე“. მეჯღანუაშვილივით, შაურიც არ შემარჩინა!

დაიდრა თუ არა მანქანა, შიშმა შემიპყრო. ვაითუ, ჩემი ნათესავები შინ არ არიან, ან გადავიღნენ ამ ბინიდან! რა უნდა ექნა მაშინ? სხვები შორს ცხოვრობენ.

მუხლები მომეკვეთა, სიმწრით ავუყევი კიბეს.

ყველა შინ დამხვდა... თავს არ შეგაწყენთ ჩვენი შეხვედრის აღწერით. უზომო იყო მთელი ოჯახის სიხარული.

მეორე დღეს გამოვემგზავრე სოფელში (გეგეჭკორში), სადაც ამდენი ხნის უნახავი დედა და დეიდა მეგულებოდა (დედა რამდენიმე თვით ჩემზე ადრე იყო გათავისუფლებული). გარდა „ბუშლატისა“, ყველაფერი ახალი მეცვა, ფულიც მქონდა (ბიძაშვილისა და სიძის ნაჩუქარი).

სამტრედიიდან ავტობუსით მოვდივარ. დიდი თოვლი დევს (1946 წლის დეკემბრის მიწურულია). გაფუჭდა მანქანა. სახლამდე კიდეც 3-4 კილომეტრია დარჩენილი. წავედით ფეხით. მგზავრებს შორის ერთი ნაცნობი აღმოჩნდა. სულ თვალებში შემომციცინებს გახარებული. როგორ ხარ ცოცხალი, როგორ გადარჩიო, უკვირს. მან წამოიღო ჩემი მცირე ბარგი, წინ მიმიძღოდა და მიარღვევდა თოვლიან გზას, მშველოდა სიარულში, მოთმინებით მიცდიდა, თუ შევჩერდებოდი. სახლამდე მიმეცა.

იყო ასეთი — გეგეჭკორელი მიშა სულავა, მთასავით კაცი! ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. კეთილი იყოს ხსოვნა მისი!

მთელი სოფელი შეგროვდა ჩვენს ეზოში. თოფიც კი დასცალა ერთმა გაბედულმა ახლო მეზობელმა. მკოცნიან, მეხვევიან, იცინიან, ტირიან.... უცებ ვიღაცას გაახსენდა: ეშიებაო ახლა მაგას!

— თქვი, შვილო, რა გინდა, რა გენატრება, შენი ჭირიმე, — მეუბნება დედა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მეზობლებმა ყური ცქვიტეს.

— ცივი ღომი გაქვთ? — ვიკითხე მორიდებულად.

— კი, შვილო...

— ჰოდა, ცივი ღომი და შემწვარი ყველი მინდა, თუ შეიძლება.

რამდენს დამცინოდნენ შემდეგ: შე უშნოვ, სხვა ვერაფერი მოიფიქრე? ამ დღეს შენთვის, რომ იტყვიან, მეწველ ძროხასაც კი დაუნანებლად დავკლავდითო.

....მაღე ისევ თბილისში ჩამოვედი (სწავლის საქმეები მქონდა მოსაგვარებელი). ჯერ უნახავ ნათესავებსა და ზოგიერთ ძველ მეგობარს ვეწვიე. ყველა სიზარულთ შემხვდა. იცოდნენ ჩემი გატაცება პოეზიით და უმაღლესი შემომაგებეს ახალგაზრდა პოეტი ქალის—ანა კალანდაძის ლექსები, ლექსები, რომელსაც მაშინ განცვიფრებასა და აღტაცებაში მოჰყავდა მთელი თბილისი. ხელიდან ხელში გადადიოდა ასევე ალიო მირცხულავას (მაშინ მაშა-შვილის) დიდი პატრიოტული აღტკინებით დაწერილი ლექსი „არ გამაგონო“ („არ გამაგონო დაფა-ზურნის ჰანგი ველური, ჩემს თბილისში ვარ, დაუკარი ტკბილქართველური...“)

მოვნახე ანიკო ვაჩნაძე — ადრე ჩვენ თბილისში ერთმანეთის კარის მეზობლები ვიყავით, ურთიერთობაც კარგი გვქონდა. მე უკვე ვიცოდი, რა უბედურებაც დასტყოდომოდა თავს სამიოდე წლის წინათ. სამი წელი, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ მოაშუშებდა მისი გულის მწვავე იარაღს. ბევრი ვიტირეთ, ბევრი მესაუბრა ლადოზე, მაჩვენა მისი ხელნაწერები, რომლის კითხვაშიც მთელი ღამე გავათენე. პატარა მანანა შინ არ იყო, ნათესავებს წაეყვანათ რამდენიმე დღით. მე იგი „დიდობაში“ გავიცანი — ბათუმში ჰყავდა ჩვენს ინსტიტუტს ლადოს საღამოზე მოწვეული.

ტკბილ მოგონებად დამრჩა საღამო, გატარებული აგრაფინა სუხიშვილის ოჯახში (აქ მაშინ დროებით ცხოვრობდა ჩემი ახლო მეგობარი თამარ შარაბიძე). დიდებული ქალი იყო აგრაფინა, ერუდირებული, განათლებული, ხელოვნების დიდი ტრფიალი. ორი ლამაზი გოგონა ჰყავდა — მედეა და დიანა. ქმარი ადრე გარდაეცვალა, მაგრამ არ გატეხილა, დარჩა სამაგალითო დედად და მოქალაქედ. პროფესიით ეკონომისტი იყო. მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

პატარა საზეიმო სუფრა გაიშალა ჩემდა პატივსაცემად. თეატრიდან მოვიდნენ ვასო გოძიაშვილი და გიორგი (ჟორა) შავგულიძე. აგრაფინას ეამბნა მათთვის ჩემს შესახებ და ორივეს შეხვედრის დიდი სურვილი გამოეთქვა.

ძალიან გულღია საუბარი გვქონდა. სუფრასთან ორივემ მოილხინა, განსაკუთრებით ვასომ, რომელიც თამადაც იყო და არ იშურებდა უნარს, საღამო მზიარული და მართლაც, ბედნიერების გამომხატველი გამოსულიყო. მახვილსიტყვაობდა, მღეროდა, ცეკვავდა, ერთობ აღგზნებული წარმოთქვამ-

და სადღეგრძელოებს. მეხვეწებოდა, დროებით მაინც დამევიწყებინა „ყველაფერი“ როგორც სიზმარეული კოშმარი, გულით შემესვა ომში ჩვენი ხალხის ლეგენდარული გამარჯვებისა და... დიდი სტალინის სადღეგრძელო.

სტალინის დიდებას ამ დროს თავისი ზენიტისათვის მიეღწია. აღიარება წრფელი და თანაც მსოფლიო მასშტაბისა იყო. წერდა კიდეც შემდეგ ერთი რუსი პოეტი:

მან გვაგრძნობინა ყველაზე მეტად
ჩვენი ძალა და გულისწადილი,
ცოცხალი კაცი ვიწამეთ ღმერთად
და ვლოცულობდით მასზე ხატივით!..

„ყველაფრის დავიწყებისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ საერთო განწყობა მეც გადმომედო და... მეხისმტყორცნელ „ხატს“ მოკრძალებით თავი ვეცი.

დიასახლისმა გიტარა გამოიტანა, თამარს მიაწოდა, თამარმა კი მე გადმომცა და მთხოვა „ძველი დრო“ გავიხსენოთო. გული შემეკუმშა: — ჩემთვის — 28 წლის ახალგაზრდა ქალისთვის — უკვე იყო „ძველი დრო“, იყო ახალი, იყო „დასავიწყებელიცა“ და გასახსენებელიც.

„ჩონგურს სიმები გავუბი“.. — ხელი ფრთხილად შევახე სიმებს და წამოვიწყე. მაშინვე ამყვია შავგულიძე, შემდეგ — თამარი. ტკბილნამღერი გამოგვივიდა. რომ დავასრულეთ, ჟორამ მიჩურჩულა: ხომ ხედავთ, როგორი პატრიოტული სიმღერის ნება მოგვეცა უკვეო.

— მე მინდოდა, ეს უფლება გაცილებით უფრო ადრე გვექონოდა-მეთქი, — ვუბასუხე ჩურჩულითვე.

— ვასო! ვასო! — გაიცინა ჟორამ. — გესმის, გესმის, რა თქვა?

ვასო ჩვენსკენ გადმოიხარა. ჟორამ გადასცა ჩემი ნათქვამი. ახლა ვასო გამხიარულდა და წამჩურჩულა, მთლად ტყუილად არ დაუსჯიხართ მგონიო.

— თუ ეს დანაშაულია... — სიცილითვე ვეუბნები მე.

— რა იყო, რაშია საქმე, ჩვენც გვითხარით და გაგვამხიარულეთ! — შეუძახეს ვასოს სუფრის წევრებმა.

— ჩვენ თუ დღეს მხიარულება გვაკლია! — თქვა მან და ასწია სასმისი — განმეორებით წარმოთქვა ჩემი სადღეგრძელო.

— როდესაც ჩვენს თეატრში იქნებით (ოღონდ მე უნდა ვიცოდე ეს), გაძლევთ სიტყვას, რომ ჩემი ყოველი ძლიერი განცდა, ყოველი მღელვარე წუთი, ჩემი ნიჭის (თუ გამაჩნია ასეთი) ყოველი გაელვება თქვენ მოგეკუთვნებათ, თქვენდამი იქნება მოძღვნილი! — გრძნობამორევით მითხრა ბოლოს და დაეშვა სკამზე.

რა დამავიწყებს ამ შეხვედრას!



ქართული
ენის
საქონელი

...სწავლის საქმე მოგვარდა. დიდი დახმარება აღმომიჩინა აწ განსვენებულმა პროფესორმა ანდრო ჭილაიამ, მეტად კეთილმა და გულისხმიერმა ადამიანმა. მე 5 წლით აკრძალული მქონდა ქალაქში ცხოვრება. ასე რომ, სამედიცინოზე არ შემეძლო მეცადინეობის გაგრძელება. მოხერხდა აღდგენა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე (დაუსწრებელ განყოფილებაზე), სადაც გადასახლებამდე, ბოლო წელს, პარალელურად ჩავირიცხე. ყოველთვის მიზიდავდა ლიტერატურა. რამდენი ლექცია გამიცდენია მედინსტიტუტში რომ უნივერსიტეტში გავქცეულიყავი და მომესმინა შალვა ნუცუბიძისათვის, კოწია კაპანელისა და სხვებისათვის!

თბილისში რამდენიმე დღე დავრჩი. ვცხოვრობდი ბიძაჩემის — კოლია გეგეჭკორის ოჯახში (ეს სხვა კოლია გეგეჭკორია, აღრე რომ მოვიზსენიე, ის არა), ნინო ბიცოლა კეთილი და ნათესავების უსაზღვროდ მოყვარული ქალი იყო. ხელმოკლედ ცხოვრობდა, თანაც სშირად ავადმყოფობდა, მაგრამ უღრტვინეულად იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას, არ იშურებდა უკანასკნელ ღონეს ერთადერთი შვილის, ოთარის, ღირსეულად აღზრდისათვის, საყვარელი ქმრის „განძისა და ანდერძის“ დაცვისა და შესრულებისათვის.

ვისსენებდით კოლია ბიძიას დაპატიმრების ამბავს. ერთ საღამოს (37-ში) ამხანაგები მისულან მასთან (ძველი ბოლშევიკი-რევოლუციონერები). სტუმრები დიდ გაკვირვებას გამოთქვამდნენ, თურმე, ეს რა ხდება, როგორ ხალხს იჭერენ, ვერაფრით ვერ დავიჯერებთ, რომ მათ სამშობლო და პარტია გაეყიდოთ. კოლია ბიძია აღშფოთებულა: აქვთ, ალბათ, რაღაც დანაშაული, თორემ, რატომ მე არ დამიჭირეს, ან თქვენ რატომ ხართ გარეთო. რამდენჯერმე გაუმეორებია ეს...

იმავე ღამით დააპატიმრეს, (რეაბილიტაცია „სიკვდილის შემდეგ“ მიიღო).

თბილისიდან ბათუმს გამოვემგზავრე. აქ ცხოვრობდნენ ჩემი მეორე დეიდა და დეიდაშვილი ოჯახით. აქ ცხოვრობდა ბევრი ჩემი თანაკურსელი ტექნიკუმიდან და ინსტიტუტიდანაც. ერთ-ერთი მათგანია ქალაქში ყველა-სათვის კარგად ცნობილი ექიმი და ჩემი დიდი ხნის მეგობარი ტატიანა გეგნაძე.

ტატიანას ამ დროისათვის უკვე ორი შვილი ჰყავდა — ქალ-ვაჟი. მან-სოვს, გაიქცა და გამოიყვანა ბავშვები ბაღიდან, წარუდგინა მათ ჩემი თავი: ეს ის დეიდაა, რომელიც მე ძალიან, ძალიან მიყვარს და თქვენც უნდა გიყვარდეთ. შორს იყო წახული, მაგრამ დაგვიბრუნდა და ახლა ჩვენთან არის. თქვენ იცით, როგორ ასიამოვნებთ, აბა, ლექსს რომელი იტყვისო.

გოგონამ დაიმორცხვა, ბიჭმა კი (დათომ) ტყვიასავით დამახალა „პო-ლიტიკური ლექსი“ — „ორი შევარდენი“, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული

აქცენტი მეორე „შევარდენზე“ გააკეთა. ტაშითა და მოწონებით დავაჯილ-
დოვეთ პატარა დათო.

ტატიანა დღემდე ჩემთანაა ჭირსა თუ ლხინში. ქმარიც ისეთი კეთი-
ლი და გულისხმიერი ჰყავდა, არა თუ არ უშლიდა ჩემთვის დახმარების გა-
წევას, არამედ თვითონაც დვიძლ ძმასავით მედგა მხარში.

მე კი მიჭირდა დიდხანს!

მაგრამ ამაზე შემდეგ.

1947 წლის სექტემბრიდან დავიწყე მასწავლებლობა სოფელში. ვმუ-
შაობდი დიდი ინტერესითა და მონდომებით. მოზარდებისადმი სიყვარული
არასოდეს რჩება უპასუხოდ: თავდავიწყებით მიყვარდა ბავშვები და მათაც
ვუყვარდი გულწრფელად და უანგაროდ. თუ მე გავუძელი იმ აურაცხელ გა-
საჭირს, განთავისუფლების შემდეგაც რომ მერგო წილად, ამაში ჩემი ძვირ-
ფასი მოსწავლეების დიდი წვლილიც არის!

ყველაფერი თითქოს ნორმალურად მიდიოდა. ასაკით ახალგაზრდა და
ბუნებით ოპტიმისტი, მე კიდევ მოველოდი სიხარულსა და წარმატებას
ცხოვრებაში.

მაგრამ ვაი, რომ „გრძელი ღამე“ კიდევ არ ყოფილა ჩემთვის დამთავ-
რებული! 1949 წლის გაზაფხულზე ისევ დამაპატიმრეს.

რატომ?

მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ უკვე ვიყავი პატიმრობაში ნამყოფი.

რისთვის?

ეს დღესაც არ ვიცი. არ ვიცი, ვის სჭირდებოდა ხელახალი რეპრესიე-
ბის წამოწყება, რა საქმეს უნდა წადგომოდა იგი კვლავ აღზევების გზაზე
მიმავალ, გამარჯვებულ ქვეყანაში!

ციხეში არავის წამოუყენებია ჩემთვის რაიმე ბრალდება, არც გარედან
დასმენასა და ცილისწამებას ჰქონდა აღგილი...

ჩხრეკა რომ დამთავრდა, ინათა კიდევ. წამომიყვანეს. ეზოდან რომ გა-
დავდიოდით, უკან მოვიხედე. ძველი ოდის აივანზე მწუხარების ქანდაკება-
სავით იდგა ორი მოხუცი ქალი. ორიოდ წლის პატარა ღამაში გოგონა კი
კივილით იკლებდა იქაურობას — დედა ჩემიაო, გაიძახოდა გამწარებით!

შინსახკომელი, რომელმაც წამომიყვანა, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე
და კიდევ ერთი მცველი (ყველა ნაცნობი და თანასოფელი) მოდიოდნენ
თავჩალუნულნი, მხრებში მოხრილები, ჩვენი ოჯახის საცოდაობით გულ-
დათუთქულები! მე კვლავ ჩამესმოდა ჩემი „გაბრაზებული ანგელოზის“ ხმა,
„დედა ჩემიას“ ყვირილი და თვალთ მიბნეულდებოდა, მერეოდა ნაბიჯები.

რაიონულ ცენტრამდე კილომეტრნახევარი იყო. როგორც იქნა, მიგა-
ღწიეთ. აქ მანქანაში ჩამსვეს (დაუყოვნებლივ უნდა ჩავეყვანეთ თბილისში).

წუთში გაიჭედა პატარა მოედანი ბავშვებით (სკოლა აქვე იყო). შემოე-

ხვივნენ ირგვლივ მანქანას — არ გაგატანთო ჩვენს საყვარელ ლილი მასწავ-
ლებელსო!

თავი მოიყარა სამსახურში მიმავალმა ხალხმაც. ერთმა მეზობლის ქალ-
მა შალის წინდები მომირბენინა, ჯიქურ მოადგა მანქანას და გადმოძცა.
სხვებსაც მიეცათ გამბედაობა — რამდენიმემ ფული ჩამიღო ხელში. ბაღრაგ-
მა თვალი აგვარიდა, მაგრამ მეტი გაჩერებაც არ შეიძლებოდა. დაიძრა მანქა-
ნა. აზრიალდნენ ბავშვები...

აი, მაშინ კი დავკარგე სამუდამოდ „პატიებისა“ და „დავიწყების“
ადამიანური უნარი, დავკარგე ყველა „ღმერთისა“ და „ხატის“ რწმენა ამ
ქვეყანაზე!..

რა მოხდა შემდეგ?

შედარებით ადრე გამანთავისუფლეს.

შემდეგ მთელმა ოჯახმა მიიღო რეაბილიტაცია (მამამ, რა თქმა უნდა,
„სიკვდილის შემდეგ“).

დავამთავრე უნივერსიტეტი.

მომიკვდა დედა — უღვთოდ განაწამები.

დავკარგე საყვარელი მეუღლე — ჩემი ცხოვრების იმ ჯოჯოხეთურ
დღეთა თანამოზიარე (იგი ჩამოვიდა დაგვიანებით, რადგან ჩემზე მეტი ჰქონ-
და მისჯილი).

დამრჩა ხელზე ორი ბავშვი და მოხუცი დეიდა.

გამიჭირდა.

ერთი გულითადი მეგობარი ქალის რჩევითა და დახმარებით, გადმოვედი
ბათუმში, დავიწყე მუშაობა. ვცხოვრობდი ჯერ დეიდაშვილის ოჯახში, შემ-
დეგ, როგორც იქნა, მივიღე ოთახი.

ისევ მიჭირდა. არ აღმოჩნდა საკმარისი ოთხი სულისათვის ერთი
ადამიანის ხელფასი. სიღარიბემ და „პერმანენტულმა“ ბრძოლამ არსებობი-
სათვის, ბევრი რამისგან გამომთიშა, ბევრ ჩემს ოცნებასა და შესაძლებლო-
ბას შეაჭრა ფრთები! თუმცა, რაც შეეძლოთ, ხელს მიწყობდნენ კეთილი
ადამიანები — მეგობრები, მეზობლები, კოლეგები.

რა კარგად ამბობს ერთი ჩვენი დიდი პოეტი:

ასი მოგონება ფრთხიალებს,
ასი — დაჭრილივით ბლავის,
ასიც — ყვავილივით იალებს
და კუბოს ფიცრამდე ჰყვავის!

მართლაც რომ კუბოს ფიცრამდე მიმაცილებს ერთი „მოგონება“, რომ-
ლის შესახებაც არ შემიძლია არ გიამბოთ ახლავე.

1961 თუ 1962 წლის 31 დეკემბერია. საახალწლო მზადება ჩემს ოჯახ-
ში არ არის. მძიმე ავადმყოფი დეიდა მიწევს საავადმყოფოში და მე მას ვად-

გავარ თავზე. გოგონები მარტონი არიან შინ. ადრე შემძვრალან საბანქვეშ,
რადგან ოთახში საშინლად ცივა. კუთხეში პატარა ნაძვის ხე ბრწყინვალეა,
აი, მხოლოდ მის შესახედად თუ გამოჰყოფენ თავს ხანდახან.

უეცრად კაკუნი შემოესმათ, თურმე. თან, მე ვარო, ნაცნობი ზმაც გაი-
გონეს. წამოცვივდნენ, გაადეს კარები. შემოდის ტატიანა დეიდა ლამაზად
მორთული მომცრო ნაძვის ხით ხელში. უკან შურა ბიძია მოჰყვება, დიდი
კალათა შემოაქვს ოთახში.

აჭიკჭიკდნენ გახარებული ბავშვები. „სტუმრები“ თვითონ აწყობენ სუ-
ფრას. რა არ არის აქ, ჩემი ტატიანას ნახელავი!

შორენა შედარებით დიდია და ცდილობს სერიოზულად დაიჭიროს თავი,
მაგრამ თამრიკოს უკვე დაუთრევია გოზინაყი. ამ დროს მეც მოვირბინე.
მაღაზიაში ნაყიდი ერთი ტორტი და კანფეტები მოვიტანე.. ერთმანეთს არ
აცლიან ამბის მოყოლას ჩემი აჟრიაბულელებული გოგონები.

არა, არ შემწევს უნარი, გადმოგცეთ სიკეთისა და ბედნიერების ის უკი-
დეგანო განცდა, მე რომ დამეუფლა და სული გამინათა იმ ღამით!

ერთი ნაძვის ხე, სხვა საჩუქრებთან ერთად, დილაადრიან მივუტანეთ
ბებიას საავადმყოფოში.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ არ გათენებულა არც ერთი აზა-
ლი წელი ჩემს შვილებს ეს ამბავი რომ არ გაეზსენებინოთ და, მაღლიერების
გრძნობით სავსეებს, ცრემლიანი თვალებით ტატიანა დეიდა არ დაელოცოთ,
შურა ბიძიას ხსოვნისათვის პატივი არ მიეგოთ!

დეიდაჩემი, რა თქმა უნდა, უკვე ცოცხალი აღარ არის (განისვენებს
მშობლიურ კუთხეში საყვარელი დების გვერდით). შვილები დამეზარდნენ.
უფროსი ფიზიკოსია, უმცროსი — მუსიკოსი. ორივეს მიღებული აქვს უმა-
ღლესი განათლება. ჯათხოვილები არიან. ზუთი შვილიშვილი მყავს. მოვეს-
წარი დროს, როდესაც მაქვს ხმამაღლა ფიქრის უფლება, როდესაც გულ-
წრფელად შემიძლია ვთქვა: „იმ ღამეს გაუმარჯოს, რომელიც თენდება!“

თითქოს ბედნიერიც უნდა ვიყო, მაგრამ, რა ვქნა, ასაკს მიაქვს უკვე
თავისი და უზომოდ ნაჯაფარი გულიც „მიძინებას“ ითხოვს!..



რამაზ სურმანიძე

ახალი მასალები ივანე ჯავახიშვილის კუბლიცისტური მემკვიდრეობიდან

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ილიასეული „ივერია“ მნიშვნელოვანია არა მარტო თავისი პროგრესული მიმართულებით, არამედ კორესპონდენტთა მრავალრიცხოვნებით, მათი აზრებისა და იდეების მრავალფეროვნებით. გაზეთის თანამშრომლები და ავტორები საქართველოს ცალკეული მხარის მემატყნეებადაც გვევლინებიან. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პროვინციებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მომხდურთა რბევა-აოხრებისა და დაპყრობის ასპარეზი იყო (სამცხე-საათაბაგო, აჭარა, შავშეთი, ლაზეთი და სხვ.) მათ შესახებ ისტორიული წყაროები ძალზე მწირია.

სწორედ ამიტომ ამ რამდენიმე წლის წინ მიზნად დავისახეთ შეგვეკრიბა „ივერიაში“ გამოქვეყნებული ის მასალები, რომლებიც აჭარასა და შავშეთს შეეხებოდა, შევეცადეთ დაგვედგინა კორესპონდენტთა ბიოგრაფიული ცნობებიც. 1985-1988 წლებში ჟურნალ „ჭოროხში“ გამოქვეყნდა საკმაოდ დიდი მასალა — „ივერიის“ კორესპონდენტების აბდულ მიქელაძისა და ივანე ჯავახიშვილის წერილები ჩვენი შესავლითა და ვრცელი კომენტარებით, რომლებმაც მკითხველთა ყურადღება მიიპყრო, მათი ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მივიღეთ მრავალი გამოხმაურებაც. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მიერ შეკრებილი წერილები არ არის მთლიანი. ამის მიზეზია არამარტო ის, რომ მათი ნაწილი დაკარგულია, არამედ ისიც, რომ ზოგი მათგანი გამოქვეყნებულია ფსევდონიმით, ზოგიც ხელმოუწერელია, ჩვენ კი ვერ შევძელით ყველა ფსევდონიმის გაშიფვრა და ანონიმთა გვარების დადგენა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ივანე ჯავახიშვილის წერილების გამოქვეყნება დასრულებულად ჩავთვალეთ ჟურნალ „ჭოროხში“ (№ 3, 1988 წ.) გამოქვეყნებული კორესპონდენციით, რომელიც გაზეთ „ივერიის“ 1895 წლის 15 ივნისის ნომრიდან იყო გადმოხედილი, თუმცა, ვიმეორებთ, ოდნავადაც არ გვეპარებოდა ეჭვი რომ ამ ავტორის წერილები კვლავ აღმოჩნდებოდა, რადგანაც ამ წერილებიდან ამოღებულ ციტატებს სხვათა ნაშრომებიდან ვიცნობდით და შესავალში გამოვიყენეთ კიდევ. ახლახან ჩვენ გამოვავლინეთ და მკითხველს ვთავაზობთ სრულ ტექსტს ივანე ჯავახიშვილის წერილებისა, გამოქვეყნებულს „ივერიაში“ 1895-1897 წლებში.

ამ წერილებში (ისევე, როგორც მკითხველისათვის უკვე ცნობილში), ავტორი ჩვეულებრივი გულისხმიერებითა და ჟურნალისტური კეთილსინდისიერებით გადმოგვცემს მხარის კლიმატურ პირობებს, აგრეთვე ბუნების სტიქიის შემოტევას, რასაც მოსავლის გაფუჭება და ადამიანის მსხვერპლიც მოსდევდა. წერილებში სათანადო ადგილი აქვს მიჩნეული საგადასახადო სისტემას, ჩარჩ-წურბელების აუღაგმავ თარეშს, სასაზღვრო ინციდენტებს, სხვა და სხვა ნიადაგზე (სისხლის აღება, მეზობლური კონფლიქტი, ქურდობა-ავაჯაკობა-



ნი) მკვლელობისა და დაქრა-დასახიჩრების სამწუხარო შემთხვევებს, გაანალიზებულია მათი გამომწვევი მიზეზები.

ი. ჯაიანი დაწვრილებით აღწერს შავშეთის ტერიტორიაზე, ქოროხის ხეობაში შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებს ქრისტიანობისდროინდელი საკულტო და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა ნაშთებს (ნასაყდრალეები, ქუჩები და სხვ.)

ამ წერილების ვრცელი განხილვისაგან თავს ვიკავებთ, რადგანაც ყველა საკითხმა თავისი ასახვა ჰპოვა შესავალ წერილსა და კომენტარებში, რომლებიც წინ უსწრებდა ი. ჯაიანის წერილებსა და კორესპონდენციებს (იხ. „ქოროხი“ № 3-4, 1987).

ჭერჭერობით ჩვენთვის უცნობია, რა მიზეზით შეწყდა „ივერიაში“ ივანე ჯაიანის წერილების გამოქვეყნება (ამ გაზეთმა შემდგომში ხომ თითქმის 10 წელი იარსება). შესაძლოა ამის მიზეზი ავტორის სამხედრო სამსახურისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ან სხვა მიზეზები იყოს. ასევე უცნობია ჩვენთვის ი. ჯაიანის თანამშრომლობა სხვა რევოლუციამდელ პერიოდულ გამოცემებში და აგრეთვე ის, რომ გააგრძელა თუ არა მან ჟურნალისტური საქმიანობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მომავალმა კვლევა-ძიებამ, შესაძლოა, ამ კითხვებსაც გასცეს პასუხი. თუმცა რაც უკვე ვიცით ამ ნიჭიერი ჟურნალისტისა და მოღვაწის შესახებ, უფლებას გვაძლევს იგი დავაყენოთ გასული საუკუნის ბოლო ორი ათეული წლისა და ჩვენი საუკუნის პირველი მესამედის მოწინავე მამულიშვილთა გვერდით.

„ივერია“, № 150, 1895 წ., 16 ივლისი

სოფ. ბორჩხა. წრევანდელმა წვიმიანმა დარებმა აქაურს ფუხარებს წაღმა მოუბრუნა ბედი, რადგან გაზაფხულს აქეთ კვირა არ გასულა ისეთი, რომ წვიმა არ ყოფილიყოს და ეს ხომ როგორც მოგეხსენებათ, მალამოა აქაურის ნიადაგისათვის. პურისა და ქერის მოსავალი წელს რომ არის, იმისთანა ჯერ აქაურს მოხუცებულებს არ ახსოვთ რომ ყოფილიყოს, მაგრამ სამწუხაროდ აქაური ფუხარები სიმინდს უფრო მეტსა სთესენ და ამისთვის ბევრი ნაწილს აბლა, რატომ მთელს საყანეებში პური და ქერი არ დავთესეთო, მაგრამ აწ სინანული ამის გამო გვიან-დაა. თუ რომ სიმინდის მოსავალსაც ამისთანა დარები დაურჩა, როგორც პურსა და ქერსა, მაშინ არავინ იქნება იმისთანა, რომ წრევანდელს მოსავალს დაემდუროს. თუთუნის დარგვაც კარგა ხანია მოითავეს და, როგორც მოგეხსენებათ, ჯერ ამასაც კარგი დარები უდგას და აწ რა იქნება ღმერთმა უწყის. ფუხარებს ისე გაუტყდათ გულა თუთუნის ფასის დავარდნის გამო, რომ იქიდგან ვერაფერს სარგებელს მოელიან, როგორც წარსულს წლებში, რადგან ჩარჩ-წურბელებს თავიანთის ვაჭრობის მეოხებით თითქმის ჩალის ფასად მიაქვთ. აბა რა ფასია აქაურის თუთუნისათვის, ორი მანეთიდგან ხუთამდის არავინ იძლევა. ერთი სიტყვით, ისე ეზიდებიან ჩარჩები, როგორათაც მათი სინდისი სჭრის და ეს, ხომ მოგეხსენებათ, ჩარჩებში არ მოიპოვება. აქაური ჩარჩები კარგ მეძებრებივით ათვალ-ყურებენ იმ დროს, როდესაც ფუხარას სახელმწიფო ხარჯის გადახდის დრო მიაღება კარზედ. რომ იმათი ხმა არ ისმოდეს, მაშინ ისინი სწორედ კალიასავით იქ გაჩნდებიან, რა-კი იციან, რომ ფუხარას იმ დროს უჭირს გროში და ის წამალსავით ესწრება გაჭირვებულთ: ოღონდ ამ დროს დაიბნან ჩარჩმა ფუხარა გარდასახადისაგან, თორემ იმან ათი მანეთის ღირებულ საქონელში ხუთი შეაძლიოს, ვინ რას ეტყვის. ამ ნაირად ჩვენი ნაოფლარით სხვები იკვებებიან და ჩვენ-კი წელიწადში ორ ღდესაც არ ვღირსებოვართ ხორციან საქმელს.

ივ. ჯაიანი.



დიდი ხანია მას აქეთ, რაც რუს-ოსმალის საზღვარზედ არ მომხდარა ამისთანა მკვლევლობა, როგორც იყო ამ სამის ღამის წინად მურღულის ხეობაში, საზღვართან. როგორც ამბობენ სოფლელები, თითქმის ნახევარ საათზედ მეტი გაგრძობილა გაღმა-გამოდმა თოფების სროლა, რომლის მსხვერპლად გახდა ორი ლაზი, არჰავეს ოლქში მცხოვრები. პლასტუნის ჯარისკაცთა და ლაზებს შორის ამნაირი თოფების სროლის მიზეზი აი, რა ყოფილა, როგორც მოგვხსენებთ, არჰავეს ოლქი ძალიან მწირი ადგილია, იქ ცოტა მოუდით ჭირნახული, რადგან ქვა-კლდიანი ნიადაგია. როგორც ამბობენ, ოც მოსახლეში ერთს ვერ ნახავთ, რომელსაც თავისი ნამუშევარი ჭირნახული წლიდან წლამდე ჰყოფნიდეს და ირჩენდეს თავს უსყიდველად. აი, ამიტომაც იქაური მცხოვრები ლაზები უმეტეს ნაწილად სხვადასხვა ქვეყნებში არიან დაფანტული, და იქ მოგებულ ორ გროშით ირჩენენ თავსა და ქალ-ბაღანასაც, მაგრამ იმათში ერთი ის არის კარგი, რომ თხუთმეტის წლის ზედსკაცს იმისთანას ვერ შეხვდებით, რომელმაც რამე ხელობა არ იცოდეს; ან არის კარგი დურგალი და არა კარგი თუთუნის მომყვანი, ასე რომ თითქმის ამ ორის ზელობით ირჩენენ ისინი თავს, რადგანაც მურღულის ხეობაში კარგი თუთუნის მოსავალი იცის, ამის გამო ისინი გადმოდიან ამ ხეობაში, იღებენ მიწას აქაურ მცხოვრებლებისაგან და სანახევროდ მოჰყავთ თუთუნი. ამნაირად სანახევრო თუთუნი ჰქონიათ ამ დახოცილ ლაზებს მურღულის ხეობაში. წამოსულა იქიდგან ხუთი კაცი, რომ თითო ტვირთი თუთუნი გადაეტანათ და გაეყიდათ ოსმალში, რადგან აქ მყიდველნი არ სჩანდნენ და რომ ყოფილიყვნენ, მაინც ნახევარ ფასად მიჰქონდათ აქაურ გაიძვერა ჩარჩებს, რომელნიც ბლომად დაჰვრებიან ხოლმე სოფლიდგან სოფელში, რათა მესამედ ფასად გამოსტყუონ ფუხარასა ეს ერთად-ერთი სარჩო. რადგან აქედგან გამოჩენილად ვერ წაიღებდნენ ამ თუთუნს, იმათ ღამით მიჰქონდათ, რომ ყარაულებს არ გაეგოთ, მაგრამ ზედ საზღვართან წასწყდომოდნენ თავზედ დარაჯებს და ასტეხოდით სროლა, რომელმაც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ორი კაცი შეიწირა. ამას გარდა, როგორც გვითხრეს მცოდნე კაცებმა, ამ ორის კაცის გარდა, ერთი მკლავში დაჭრილი ჩასულა თავის სოფელში და ერთი-კი ჯერაც არ მისულა შინ. როგორც ფიქრობენ იმისი ნათესავები, ისიც მოკლული უნდა იყოს და ეგდოს სადმე ტყეში. დღემდის დღე და ღამ დაეძებენ, მაგრამ ჯერ ჯერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი.

(ი. ჯაიანი).

ქ. ართვინი. 22 აგვისტო — გუშინ ღამის 11 საათზე ოც-დაერთს ამ თვეს. სწორედ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თავბარიატინსკის მოსვლის წინა დღეს, ერთი შემადრწუნებელი მკვლევლობა მოხდა: მოჰკლეს ოფიცრების ქუჩაზედ, ნაჯახითა და კატლეტის საჩეხი დანებით ოცის წლის ყმაწვილი კაცი, მედუქნე მაჰმადიანი ნური ესრი-ოღლი, ნურიას ჰქონდა პატარა ბაყლის დუქანი პლასტუნების ბატალიონის ჯარისკაცთა შტაბთან. მოკლულს გვარიათი შეძლებაც ჰქონია. როგორც საქმიდგანა სჩანს, ამ შეძლებამ შეიწირა ყმაწვილი კაცი. ნური დილა ადრინად რომ მივიდოდა სახლიდგან, 11-12 საათამდის ღამის დუქანში იჯდა და მერე კი შუა ღამისას მიდიოდა შინ, მაგრამ სახლში წასვლის ხანს უნდა გაეგლო ამ ოფიცრების ქუჩით. ამისთანა მკვლევლობის გამო დიდად შეწუხებულნი არიან მთელის ბატალიონის ოფიცრები, რადგან ყველას მოსამსახურე და სინდისიანი ვაჟარი იყო, იმასთან თითო ორ შაურად უფრო იათად ჰყიდულობდნენ ყოველგვარს სანოვავეს. მოკლულის გულიდგან აუჭრიათ ფულის ჯიბე, სადაც ინახავდა თურმე მთელს თავისს შეძლებას. ამ მკვლევლობას აბრალებენ ოფიცრების მოსამსახურეებს, რომელნიც სამი კიდევაც შეიპყრო ადმინისტრაციამ. ამ საქმის გამო

დღეს ბათუმიდან ამოვიდა გამომძიებელი ოპანეზოვი. აქაურ სოფლებში, სადაც ხალხი ცხოვრობს, ღამით არ არის საშიში სიარული და როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ქალაქში და ჯარისკაცებთან — კი საფრთხილო შეიქმნა გავლა-გამოვლა.

ი. ჯ. (ი. ჯაიანი).

„ივერია“, № 188, 1895 წ., 2 სექტემბერი

კო რ ე ს კ ო ნ დ ე ნ ც ი ა

სოფ. ბორჩხა, (ქოროხის ხეობა). ძნელად, რომ სხვაგან სამცხე-საათაბაგოში მოიპოვებოდეს ამ დროებით იმდენი ძველიდან დარჩენილი ქრისტიანობის ნაშთი, რამდენიც მოიპოვება სოფ. ბორჩხას ახლო-მახლო. ამ პატარა და კოპწია სოფელში თქვენ ნახავთ ორს ციხეს, რომელნიც ჯერ კიდევ, ნახევრად არ დაქცეულან; ამათი აქამდის მოწევა დაუნგრეველად იმას უნდა მივაწეროთ, რომ ციხეები იყო უბრალო ქვით ნაშენი, ამის გამო არ დაუნახავთ იმათი დაქცევა საჭირო მასალად და ამისათვის დარჩენილა დღემდის თითქმის ხელ-უხლებლად და მთელად. ამას გარდა სამი ნასაყდრალიც არის, ხოლო ძნელად თუ შეატყობთ, რომ იქ საყდარი ყოფილა. ამათი დაქცევის მიზეზი ის უნდა იყოს, ესენი ყოფილან ძვირფასის ჩუქურთმიანის ქვებით ნაშენი და როდესაც ეს სოფელი ძალით გაუმაჰმადიანებიათ, მოსპობილა ქრისტიანობა და მუსულმანობა გასჯდომიათ ძვალ-რბილში, მერე მიუყვიათ ხელი საყდრების ქცევა-ნგრევისათვის და ამ ჩუქურთმიან თლილი ქვებით უშენებიათ ახალს მაჰმადიანებს ბუხრები და ეზოებისათვის გალავნები. აქაურის მაჰმადიანების სახლში რომ შეხვიდეთ, ბევრ ალაგას შეხვდებით საყდრის ქვებით ნაშენ ბუხრებს და ზოგიერთ ალაგას ქართულ წარწერასაც წაიკითხავთ. გარდა ამისა, აქ თითქმის ყოველს ფეხის ნაბიჯზედ შეგხვდებათ იმისთანა ჭურები, რომელნიც არიან მიწაში ჩაკრული, რომ ორ კაცს თავისუფლად შეუძლია ჩავიდნენ და ერთმანეთს არ დაუშალონ, ისე ამორეცხონ. იმ დროს აქაურობაში მშვენიერი ბაღები ყოფილა, იმას ისიც გვიმტკიცებს, რომ დღემდის დარჩენილან მაშინდელი ვაზების ძირები, რომელნიც კარგა მოზრდილი ხის სიმსხონი არიან. ამ მხარეში თუ სადმე ხელუხლებლად დარჩენილან საყდრები, ეს იმას ნიშნავს, რომ მაჰმადიანთ საყდრების დანგრევა ცოდვად მიაჩნდათ, ხალხში კიდევ დარჩენილიყო შიში ეკლესიისა.

ბორჩხიდან ორი საათის სავალზე სოფ. პეტრულში არის ერთი პატარა ეკლესია, სადაც დღემდის დარჩენილა ხელ-უხლებელი როგორც ქვა, აგრეთვე წმინდანების ნახატებიც. თუმცა კაცებს ბევრჯერ მოუწოდებიათ ამ ეკლესიის დანგრევა და იმის ქვების მოხმარება, მაგრამ ქალებს არ მიუციათ ამისი ნება, რადგან ქალებს იმისთანა სიზმარი უნახავთ, რომ კაცები ხელ-ახლად ეკლესიისათვის უსათუოდ რამე ხიფათს შეხვდებოდნენ იმის დანგრევის გამო. ამისთანა ქალების სიზმრებს უნდა მიეწეროს დღეს რომ ვხედავთ ამ პატარა ეკლესიაში მშვენიერად შემონახულს წმინდანების ნახატებს ზედწარწერებით, რომელიც ნახვისთანავე ოც-და-ათის წლის წინად გაკეთებული ხელოვნება გეგონებათ. ამ ეკლესიასთან ახლო მოსახლეა ერთი ღრმად მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ამას წინათ სიზმარი უნახავს და უთქვამს, აქ უნდა მოვიდეს ერთი დევრი (ბერი) და იმისმა ლოცვამ ბევრი სასწაული უნდა გვიჩვენოსო; მაგრამ იმას ეს არ ამბობს, თუ რაში იქნება და როგორ ეს სასწაული. სანამ ახმედ ეფენდი ხალვაში იყო აქაურობის უფროსად, ეს ეკლესია სუფთად ჰქონია შენახული, რადგან ყოველს მხრით შემოეველებინებინა ღობე, რომლის გამოც საქონელს არ შეეძლო შესვლა საყდარში. რაკი ის გარდაიცვალა, მერე ღობეც დანგრეულა და დარჩენილა უბატრონოდ და უცურუგდებლად, ამისთანა ძვირფასი ნაშთი ქრისტიანობისა, როგორც მითხრეს, ახმედ ეფენდის ერთი

იქაური კაცი ჰყოლია ამ საყდრისათვის მიჩნეული, რომელსაც დავალებული ჰქონია იმის სუფთად შენახვა და ამის გამო ის თურმე ჯამაგირსაც აძლევდა ამ სამსახურისათვის. დღემდის თუ მოუღწევია ტბეთის მონასტერს და ქვეყანას აკვირებს მისი მაშინდელი ხელოვნება, ამის შესახებ აი რას მოგვითხრობს იქაური ასი წლის მოხუცი სულეიმან ომერ ოღლი. როდესაც ამათში მოისპო ქრისტიანობა, რამდენიმე ათის წლის შემდეგ ამათის გამაჰმადიანებისა, მოისურვეს თურმე ეს მონასტერი გადაეკეთებინათ მეჩეთად და კიდევაც დაასიეს ოსტატები მინარეთის მისაშენებლად მონასტრებზედ. მინარეთი რომ სახურავს ააცილეს და კიდევ უპირებდნენ რამდენიმე არშინის ამაღლებას, იმ დროს ოსტატებს დაესხათ თავ-ბრუ და პანტასავით ძირს ჩამოცვივდნენ შვიდივე ოსტატები და დაიშხვრნენ. ამისთანა მაგალითის შემდეგ დღემდის ხელუხლებელი დარჩენილა. დღესაც აჩნია მინარეთის მინაშენები ალაგი მონასტერს და რომ ჰკითხოთ იქაურს მოხუცებულებს, რატომ არ აუყვანიათ მინარეთიო, გიამბობთ შემოხსენებულს მიზეზს.

ივ. ჯაიანი.

„ივერია“, № 253, 1895 წ. 23 ნოემბერი

სოფ. ბორჩხა. (ქოროხის ხეობა). 3 ნოემბერი. აგერ თითქმის ათ დღელამეზე მეტია, რაც განუწყვეტლად წვიმს, მაგრამ ჯერ არავის ახსოვს აქაურ მოხუცებულებს, რომ ამისთანა წვიმა როდისმე კიდევ ყოფილიყო, რომელმაც, რასაკვირველია, ძლიერ აადი-და როგორც ქოროხი, აგრეთვე სხვა პატარა ღელეებიც. 28-29 ოქტომბრის წყალ-დიდობამ ენით გამოუთქმელი ზარალი მისცა ყველა აქაურ მცხოვრებლებს, მაგრამ უფრო მომეტებული კი იმათ, ვინც ქოროხის მახლობლად სახლობენ. ისეთი მოსახლე არ არის, რომელსაც ხუთი თუმნიდგან ორმოც თუმნამდის ზარალი არ ჰქონდეს ამ ნიაღვრისაგან. წყალმა სახლები დააქცია, საქონელი დაარჩო და ყანები წაახდინა. ამასთან რამდენი კაცი შეიწირა ჯერ დაწვრილებით არავინ იცის, რადგან ჯერ-ჯერობით სოფლიდგან სოფელში ერთმანეთთან ვეღარ მიდიან უგზოობის გამო.

ქოროხმა იმისთანა სახლები წაიღო, რომელნიც ასი წლის წინად იყო გაკეთებული და იმის ახლოსაც წყალი მისულიყოს არავის უნახავს. ჩვენს ახლოს სოფლებში შემდეგი უბედურება მოხდა. 28 ოქტომბერს სამი მოსახლე ქურთი მოდიოდა მთიდგან თავიანთ საზამთრო სამყოფ ადგილში კახაბერში და ღამის გასათევად დამდგარიყვნენ ქოროხის ნაპირს სოფ. მარადიდთან. გადარეულმა ქოროხმა ეს სამი მოსახლე ქურთი, სულ თორმეტი სული ადამიანი, წაიღო თავიანთი ბარგი-ბარხანით. იმათი წივილ-კივილის ხმა შორს გაისმოდა თურმე კაი ხანს, მაგრამ მშველელი არავინ გამოუჩნდათ. თუმცა იქვე ახლოს ყოფილიყო ვიღაცა ერთი მენავე, მაგრამ იმას საცოდავებისთვის შვიდი მანეთი ეთხოვა დახმისათვის და ქურთს არ ჰქონოდა ეს ფული ხელათ მიეცა და ამით დაეხსნა ამდენი სული. ის გულქვა მენავე შორიდან უცქეროდა, ქოროხი როგორ მიაფრიალებდა ამდენ სულ ქალ-ბაღნებს თავის ტალღებში. ახლა, როგორც გავიგეთ სანდო პირისაგან, იმ დამრჩელების ნათესავებს საჩივარი შეუტანიათ იმ მენავეზე.

ახლა ჩვენ თვალწინ მომხდარ ამბავსაც მოგახსენებთ. ბორჩხიდგან წაიღო ალი-ალა-კვესინ ოღლის ერთი ხის სახლი ორ-სართულიანი, რომელშიაც ვაჭრობდა ართვინელი სომეხი ბიბლიანცი, მეზობლებმა ეს სომეხი თავის შვილით გადაარჩინეს და რამოდენიმე საქონელიცა. ქოროხს გაღმა, დასავლეთ მხარეს ოცამდის დუქანი იყო წყლის პირად გაშენებული, ორი ხის დუქანი იქიდანაც წაიღო და ზოგიც ნახევრად დაანგრია, ხალხი და საქონელი გადაარჩინეს.

ამას გარდა მურღულის, ჩხალის, დევასკლის და კელასკურის ხეობაში წისქვილები არ დარჩენილა, რომ არ წაეღოს, ამის გამო ძალიან გაჭირვებაშია ამ ხეობაში მცხოვრები; როდის ეღირსებათ დაფქული ჭირნახული, არ იციან. ერთი დიდად საჭირო ხიდი



წავგართვა ამ წყალდიდობამ, რომელიც იყო ჩხალის წყალზე. ამ ხიდის უქონლობის გამო
მო დიდ გაჭირვებაშია მურღულისა და ჩხალის ხეობის ფუხარები.²

ბათუმ-ართვინის ამბავი ხომ საკითხავი აღარ არის, ისე გააფუჭა ნიაღვარმა; ნახევრამდის თითქმის ხიდები არ დაუტოვებია, რომ არ წაედო, გზები სულ ჩამოშვავდა. ასე რომ, ფეხითაც ძნელია გავლა, არათუ ცხენით. ამისთანა უგზოობის გამო აგერ მეათე დღეა, რაც ბათუმიდან ართვინში ფოსტა ვერ ამოდის.

გწერთ კი ამ წერილს მაგრამ არ ვიცი, თქვენამდის როდის მოაღწევს ეს წერილი. როგორც გვესმის, ისე თუ არი გზები გაფუჭებული, მაშინ კი, ჩვენს ამბავს გვიან გაიგებთ. დღეს მეექვსე დღეა, რაც ტელეგრაფიც არ მუშაობს ჩვენსკენ. როგორც გვითხრეს, მურღულისა და ჩხალის ხეობაში სამი სახლი წაუღია ნიაღვარს, მაგრამ კაცები—კი გადარჩენილან სახლის ახლოს ხიდის ხეების წყალობით; ამათ მოუსწრიათ ხეზე ასვლა და ქალ-ბაღნების აყვანა. მართალია დიდად კი შეწუხებულან, ორი დღე და ღამე ხეზე ჯდომით და შიმშილით წვიმების გამო, მაგრამ მეორე დღეს იმდენად გადაედო, რომ მეზობლებს შეძლებოდათ მისვლა და ჩამოყვანა ხეებიდან საწყალი ხალხისა.

ივ. ჯაიანი.

„ივერია“ № 16, 1896 წ. 21 იანვარი

კ ო რ ე ს კ ო ნ დ ე ნ ც ი ა

სოფ. ბორჩხა. (ჭოროხის ხეობა). ჯერჯერობით საკვირველი თბილი ზამთარია ჩვენში; ვისაც სამყოფი საქონლის საკვები არ ჰქონდა ბლომათ მომზადებული, იმათ მოჰხედა ღმერთმა და ამისთანები ხომ ბლომათ მოიპოვებიათ ჭოროხის ხეობაში, იმათ არ გაუჭირდებათ ადვილად საქონლის შენახვა-გამოკვება, რადგან დღისით საქონელს საძოვრად გაიყვანენ ტყე-მინდორში, ვისაც საკმარისი შეშა-ფიხი არ ჰქონდა დამზადებული ზამთრისათვის, ის დღისით მაინც კაშკაშა მზის სხივებზე ითბობს ძვალსა და რბილს. ერთის სიტყვით ახლა აქაურობაში გაზაფხულია. აგერ თითქმის თვენახევარზე მეტია, რაც საუცხოო თბილი დარები დგას და ამის გამო სხვადასხვანაირ ყვავილებმაც იჩინეს თავი. გორებზე ცოტათი წამოთოვლა, მაგრამ ჭოროხის ახლო სოფლებში ჯერ თოვლი არ გვინახავს. უცხო ქვეყნებიდან ვინც კი მოდის, სამოთხედ სთვლიან აქაურობას, რადგან იანვარში ამისთანა თბილს დარებს ჰხედავენ.

ჩვენში ამ დროებით ახალი ამბავი ის არის, რომ როგორც მოგეხსენებათ, აქამდის ლაზისტანის კორდონზე იდგნენ პლასტუნების ჯარისკაცები ყარაულათ: 30 დეკემბერს მოვიდნენ საზღვრების მოდარაჟე ჯარისკაცები და ამათ დაიკავეს საზღვართან ფოსტები; სადაც პლასტუნები ათი იდგა ფოსტაში, იქ ოცია ახლა მოდარაჟე ჯარისკაცი, ამნაირად დღეს უფრო გამაგრებულია ჯარის უმეტესობით ჩვენი საზღვარი.

ყაზახები რომ მოხსნეს კორდონებიდან, ადგილობრივი მცხოვრებლები დიდად გახარებული არიან, უფრო იმიტომ, რომ იქნება ახალმა ჯარისკაცებმა ისე არ გვაწვალონ, როგორც ყაზახებმაო. მართლაც მაშინ ძალიან ხშირად გაისმოდა სოფლელებისა და ყაზახების შორის უსიამოვნება, რომელიც თითქმის კაცის სულის მსხვერპლით დამთავრებულია ხოლმე, მიზეზი ამისი ის გახლდათ, რომ აქაურ მცხოვრებლებს ისენი უშლიდნენ ოსმალში გადასვლას თავიანთი ხისიმი-ნათესავების სანახავად. აქაურებს ოსმალში საზღვართან ახლოს ბევრს ჰყავთ ზოგს მამა და ზოგსაც შვილები, რომლებიც ზაფხულობით ერთმანეთს შევლიან ყანის მუშაობაში. ყაზახების დროს წელიწადი ისე გავიდოდა, რომ მამა შვილს ვერ ნახავდა თუ ქურდულად არ გადაიპარებოდა საზღვარზე. ამ მიზეზებისა



გამო მამა შვილს და შვილი მამას ვერაფერ შემწეობას ვერ აძლევდა, ვინცობაჲმ-ქალი ჰირღებოდა რამე.

ესეც მიგვაჩნია საჭიროდ აღვნიშნოთ, რომ რაც ეს ახალი ჯარისკაცები დადგნენ, ზოგიერთს ადგილას ჭოროხის ნაპირზე, მაგ. ართვინს, ბორჩხას, მარადიდსა და კაპანდიდში, მას აქეთ ართვინიდან წამოსული დილის ცხრა საათზე ნავი სალამოს ვერ ასწრებს კაპანდიდში ჩასვლას. მიზეზი ამისა ის გახლავთ, როგორც მითხრეს, რომ ყველა ამ ზემოხსენებულს ადგილებში ჰსინჯავენ მენავეებს, რასაც ერთიანად ორ საათს უნდებიანო. რაც უნდა ჩქარა გასინჯონ ნავი, მაინც ამ ხანის განმავლობაში ძლივს მოასწრებენ სავსე ნავის რიგიანად გაჩხრეკას. ამ მიზეზების გამო, როგორც მენავეები, აგრეთვე მოგზაურებიც იძულებულნი არიან შუა გზაზე ყავახანებში ათიონ ღამე. აქაური მენავეებისათვის ყავახანებში ღამის გათევა ძნელი არ არის, მაგრამ სხვა მოგზაურებისათვის კი, სწორედ მოგახსენოთ, ვერ არის სასიამოვნო სხვადასხვანაირი ღამის რაინდებისა გამო, რომელნიც ბლომად მოიპოვებიან ბათუმ-ართვინის გზაზე ყავახანებში. ვინც არ იცის ეს ახალი ამბავი, ის ართვინიდან აგზავნის ტელეგრამას ბათუმში და იქიდან იბარებს ეტლს ნაშუადღევის სამს საათზე კაპანდიდში. დანიშნულს დროზე უგზავნიან ეტლს, მაგრამ ეტლის დამბარებელი მეორე დღეს ჩადის კაპანდიდში და იმის მაგიერად, რომ დროზე ჩავიდეს, და სამი მანეთი მორჩეს მეეტლეს, მას 8-10 მანეთამდის ხარჯი მოსდის. ჩემის ფიქრით: კარგი იქნებოდა მოგზაურებისთვის, ამ ოთხს ფოსტაზე არ გადაიჩეხონ ხოლმე და აკმარონ ერთს ადგილზე გასინჯვა, მისცენ მენავეს ბილეთი, რომ ის გასინჯულობა, ნავების გასინჯვა უფრო მოხერხებული იქნება ართვინის ფოსტაზე მაშინ, როდესაც ნავს სტვირთვენ და მოგზაურები სხდებიან, ამითი დაიხსნიან მგზავრებს ბევრის უსიამოვნებისაგან.

ივ. ჯაიანი.

„ივერია“, № 41, 1896 წ. 22 თებერვალი.

კ ო რ ე ს კ ო ნ დ ე ნ ც ი ა

სოფ. ბორჩხა. (ჭოროხის ხეობა). 18 იანვრამდის ისეთი კარგი დარები იდგა აქეთ, რომ ფუხარების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვისაც ცოტა ჰქონდა საქონლისათვის საკვები ზამთრისათვის, იმათი საქონელი თითქმის ტყე-მინდორში ბალახობდა, მაგრამ დადგა თუ არა 18 იანვარი, ეს სიხარული ფუხრებს ცრემლად და ვაებად შეეცვალათ, დაიწყო განუწყვეტლივ დღე და ღამ თოვა, ასე რომ აგერ სამ კვირაზე მეტია რაც ამინდი არ შეცვლილა. ამისთანა გამუდმებულის თოვლისა გამო ჭოროხის ნაპირიდან ორი არშინიდან სამამდის თოვლი დასდვა; ჯერ არ ახოსვთ აქაურს ხნიერს კაცებს ამისთანა თოვლი როდისმე ყოფილიყოს. წინა წლებში ამ დროს ჭოროხის ხეობაში ხვნა-თესვის თაღარიგში იყვნენ ხოლმე ფუხარები, თხა, ცხვარი და ძროხა მინდორ-ტყეში დადიოდა ხოლმე და ამით გაჭირვებულს ხალხს საკმაო შეღავათი ჰქონდა, მომეტებით იმათ, ვისაც საქონლის საკვები საკმაო არა ჰქონდა. ადამიანს გული უწუხდება, როდესაც ყოველის მხრით საქონლის ბღავილი მოესმის შიმშილის გამო; მომეტებულს გაჭირვებაში ისენი არიან, ვისაც წვრილფეხი საქონელი ბლომად ჰყავს, შიმშილისაგან ბევრი ეხოცებათ.

გარდა ამისა სოფლებს უგზო-უკვლობის გამო ერთმანეთის ნახვა უჭირთ. იმდენად შეწუხებულია ხალხი, რომ წისქვილამდის გზა ვერ გაუთხრია, რომ დაფქული სიმინდი ქალ-ბაღანას მიაწოდოს და შიმშილის გამო შეწუხება თავიდან აიშოროს. დილიდან საღამომდის ფუხარა სახლის სახურავიდან ვერ ჩამოსულა, რომ გზა გაიკვალოს, რადგანაც ეშინია თოვლმა სახლი არ დაანგიროს და სახლობა არ ამოუწყვიტოს. სახლებსა და ეზოებში ვეებერთელა გორები არის დადგმული და იმათში სახლები აღარც-კი მოსჩანს. აი

ამის გამოა, რომ ფუხარას წისქვილამდე გზის გაკეთება ვერ მოუხერხებია. მეზობლადამ მეზობლამდის მისვლა-მოსვლა ხომ გასაჭირი შეიქმნა, რის გამო ერთმანეთს ვეღარ შევლიან გაჭირვების დროს. ისე გულგატეხილია ამჟამად აქაური ფუხარა, რომ არ ჰგონიათ თუ ოდესმე გამოიდარებს და იმათს გაჭირვებას ბოლო მოეღება. ზეგან სოფლიდამ როგორც იყო ოთხი კაცი ჩამოვიდა თხილამურებით ბორჩხას და გვიამბეს, ჩვენს სოფელში ოცდაშვიდი მტკაველი თოვლი არისო; როგორც ხალხი, აგრეთვე საქონელი შიმშილისა გამო ძრიელ შეწუხდნო.

ამას თავი დავანებოთ. ჩვენი სადარდელი ამჟამად ეს არის, რომ აგერ ერთი თვე სრულდება, რაც ბათუმ-ართვინის გზა შეიკრა და ფოსტას გამოვეთხოვეთ. ამ წლის გაზეთების თითო-ორ-ორი ნომრის ღირსი-ლა გავხდით და დანარჩენი კი სად არის და როდის გვეღირსება იმათი მიღება, ალლაჰმა უწყის; ამის გამო დიდათ შეწუხებულები ვართ აქაურები. დიდის თოვლის გარდა ბევრგან ზვავიც ჩამოწოლილა, მერე ზოგიერთი ისეთ ალაგებზეა, რომ გზის აქცევაც ყოვლად მოუხერხებელია. ამ თვის ხუთს გზის ინჟინერისაგან იყო განკარგულება, რომ მუშები იშოვონ და გზაზე თოვლი და ზვავები გაწმინდონ, მაგრამ მუშების შოვნა ძნელი შეიქმნა, რადგან, ერთი რომ ფუხარა თავისს სახლს ვერ მოშორებია და, მეორეც აქაურის ქართველი მაჰმადიანების რამაზანი (მარხვა).

როგორც ეტყობა, ბათუმის მეყასბეების მდგომარეობაც ვერ არის ამ დროებით სანატრელი, რადგან ამ გზებზე აგერ ერთ თვეზე მეტია იმათს საქონელს ვერ გაუვლია უგზოობის გამო, აქაურმა მენავეებმა ძალიან გააძვირეს საქონლის გატანა ბათუმიდამ ართვინში; ათი შაური — სამი აბაზი მიაქვთ ფუთში და ისიც დიდის ხვეწნითა და მუდარით. ზაფხულში თუ ოთხს დღეზედ მიდიოდა ბათუმიდამ ართვინს, დღეს თითქმის ერთს კვირას უნდება და ამის გამო ხარჯიც მეტი მოსდით საყავეებში ღამის გათენებით, რადგან ყველაფერია ამჟამად.

ბედნიერები არიან ფუხარები იმითი, რომ აქეთ არავითარი სენი არ მძვინვარებს, როგორც სხვა დროს, თორემ ჩვენი ღუშმანი, ამოიქლიტებოდა ხალხი უეჭიმო-უწამლობით.

როგორც მოგეხსენებათ აქაური ფუხარების ამბავი, თითქმის ნახევარზე მეტი ნაყიდის ჭირნახულით ირჩენს თავს, რადგან თავისი დედულ-მამულიდამ სამყოფი არ მოსდის; ასე რომ, თითქმის ნახევარი წლის სარჩოს კახაბრიდამ ეზიდებიან. ახლა რა-კი გზები შეიკრა, იქილამაც ვერ მოაქვთ ნამუშევარი და საწყალს ხალხს ცალკე დიდი ზამთარი უჭირებს საქმეს და ცალკე ჭირნახულის უქონლობა. რომელს ერთს გაუძლოს ბეჩავმა ხალხმა?

აქაური რუს-ოსმალის მოსაზღვრე დარაჯი ჯარისკაცებიც მოხსნეს, რადგან თავის დროზე ადგილზე არ ჰქონდათ საზამთრო სურსათი დამზადებული. როგორც იქილამ ჩამოსულმა ჯარისკაცებმა გვიამბეს, ორ საყენზე მეტია თურმე სინორზე თოვლი და სანამდის მოხსნიდნენ, დიდი გაჭირვება გამოიარეს თურმე შიმშილით, თუ სიცივის გამო.

თუმცა ძალიან უფრთხილდებიან ბორჩხელები სახლებს, თოვლმა თავზე არ დაანგრიოთ, მაგრამ ვერას გახდნენ და ერთი მუჰაჯირის სახლი და ორიც საბძელი მთლად დააქცია თოვლმა. კაცს და საქონელს არაფერი ზიანი მოსვლიათ, რადგან დღისით მოხდა ეს ამბავი და მალე მიეშველნენ.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავრობისაგან განკარგულება არის, რომ ბათუმიდამ ართვინამდის ფოსტა ნავით ატარონ, სანამდის ამ გზებზე ცხენების სავლელი გზა გაკეთდებოდეს. იქნება ღმერთმა გვიშველოს და ამ თვეში ვეღირსნეთ გაზეთებისა და წერილების მიღებას?

ივ. ჯაიანი.



სოფ. ბორჩხა. (ქოროხის ხეობა). ძნელი სათქმელი და წარმოსადგენია ადამიანისათვის ის გაჭირვება, რომელიც აქაურებმა გამოიარეს ამ ზამთარს. არ დარჩენილა დიდი და პატარა, ალა და ეფენდი, რომ ამ უხსოვარ ზამთრისაგან ზიანი რამ არ მისცემოდეს. ყველაზე უფრო საგრძნობელი და სამძიმო ის არის ფუხარებისათვის, რომ ერთად-ერთი სარჩო საყანეები ხელიდამ გამოეცალათ და ზოგს ერთის კვირის სამუშაო საყანეც არ შე-
რჩენიათ. ფუხრის სიხარულს საზღვარი არა აქვს თუ სახნავ სათესი მიწა საკმაოდ აქვს, ამინდიც ხელს უწყობს და ჭირნახულიც სამყოფი მოსდით. როგორც ვიცით, სანამდის გადასახლების ვადა ჰქონდათ აქაურებს ოსმალეთში ამ ვადის განმავლობაში თითქმის ნახევარზე მეტი ნაწილი კიდევაც გადასახლდა და იმათი ადგილ-მამული დარჩათ მათ, ვინც აქ მამა-პაპეულ მამულზე დარჩა. ასე და ამნაირად აქაურობაში იმისთანა მოსახლეს ძნელად შეხვდებით, რომელსაც 2-5-მდის გადასახლებულ ოჯახის მამული არ დაეჭიროს და მათი მამულით არ სარგებლობდეს. მაგრამ რაა? ამ გარემოებაშიც-კი, როდესაც იმდენი მაჰაჯირების მამულები ხელში აქვთ, სამყოფი ჭირნახული არ მოსდით, რომ ნა-
ხევარ წლამდის მაინც გაჰყვეთ ნამუშევარი... პირველი მიზეზი ამისი ის არის, რომ აქეთ ერთობ ჭკა-კლდიანი ადგილებია საყანეები და ერთს კვირას რომ წვიმა არ ნახოს ნიადაგ-
მა, სიცხისაგან იწვის. მეორე მიზეზად — კი ის უნდა ჩაითვალოს, რომ აქაური ქართვე-
ლი მაჰმადიანები, ხელგამოდებული მუშები ვერ არიან და ქალების (აქეთ ქალები მეტს მუშაობენ) ნახნავ-ნათესს თუ ნახევარ წლის სამყოფი მოაქვს, ესაც კარგია. სხვა პირო-
ბებში იქნება გასაყიდიც მორჩენოდით. მაგრამ საქმე ის არის და სამწუხაროც, რომ აქა-
ური მამაკაცები უფრო ყავახანებში აღამებენ დღეს და ყანა-ბოსტნის მოვლის დარდით თავს არ იწუხებენ.

წელს-კი ამ სიზარმაცეს დიდი ზამთარიც ზედ დაერთო და თითქმის ნახევარზე მეტ მცხოვრებლებს, სადაც კარგი საყანეები ებადათ, მთის ფერდობზე გაკეთებული, ზვავმა ჩამოუტრეცხა და ამრიგად ფუხარა ცარიელზედ დარჩა.

ძალიან იშვიათია აქაურობაში იმისთანა მოსახლის პოვნა, რომელსაც ამ ზამთრის გა-
მო ზარალი არ მისცემოდეს საყანეების წართმევით, თუ საქონლის დახოცვით. ვისაც წვრილფეხი საქონელი ჰყავდათ, იმათ ხომ მესამედი ნაწილი არ შერჩენიათ შიმშილისა და სიცივის გამო.

აქაურებს დიდი იმედი ჰქონდათ კახაბრის საყანეებისა, სადაც ბლომად მოდიოდა სიმინდი და იაფად შოულობდნენ, მაგრამ კახაბრის საყანეებსაც სადაც არის ბოლოს მოუღებს ქოროხი და მთლად წანაშავს. ყოველს ექვს გარეშეა, მთელს კახაბრის მინდორს ზღვას შეუერთებს ქოროხის მდინარე, თუ ამ ორ წელიწადში რაიმე საშუალება არ იხმარეს მის წინააღმდეგ.

ერთი ბედნიერება ფუხარებისა ის არის, რომ სახელმწიფო გადასახადი დიდი არ ადევთ და მამულის რაოდენობისა და სხვა შემოსავლის მიხედვით აწერენ თვითეთულს კომლს სოფლის მუხთარი, მეჯლისი და იმამი. არც მამასახლისისა და მწერლის ჯამაგირის გადასახადი აწუხებს ფუხარას, რადგანაც უჯამაგიროთ უნდა ემსახურონ სოფელს. მწერ-
ლის მოვალეობას ასრულებს მეჩეთის იმამი (ხოჯა), რომელსაც წლიური ჯამაგირი ეძ-
ლევა და ისიც ძალიან ცოტა. დიდის ღვთის წყალობა იქნება მოლასათვის, რომელსაც ას კომლზე მეტი მრევლი ჰყავს, წელიწადში ეძლეოდეს ას მანეთზე მეტი და იმასაც ნა-
ხევარი ფულად არ იხდის: აძლევენ სიმინდს, ლობიოს, კაკალს, ერბოს და ყველს, ვისაც როგორ შეუძლიან და ეხერხება. ამ შემთხვევაში ხოჯები ძალიან კარგად იქცევიან, თა-
ვისს დღეში არ ეტყვის იგი თავისს მრევლს, რომ გინდა თუ არა ფულადი დაძმითვალეო, როგორც ეს სხვა სარწმუნოების სამღვდელოებაში ხდება ხოლმე ხშირათ. ძალით რისიმე წართმევა საზოგადოდ დიდ ცოდვად მიაჩნიათ მოლებს. სამწუხაროდ აქ ადგილობრივ

მცხოვრებთაგან მოლებს ძალიან იშვიათად შეხვდებით და თუ არიან, ისინიც ღრმად მოხუცებულები. აქედამ ასში ორი ახალგაზრდა იქნება წავიდეს სტამბოლში დასწავლად, მაგრამ ისინიც იქვე რჩებიან და არ უნდათ თავიანთს სამშობლოში დაბრუნება. ამრიგად ოცის წლის შემდეგ ადგილობრივი მოლა სანთლით საქმზნელი გახდება.

ი. ჯაიანი.

„ივერია“, № 76, 1897 წ. 22 აპრილი.

სოფ. ბორჩხა. (ჭოროხის ხეობა). ერთი თვალსაჩინო მაგრამ სამწუხარო ახალი ამბავი მოუტანა ახალმა წელმა ქ. ართვინს, უფრო მომეტებულად კი ამ ქალაქის მკვიდრს სომხებს, ეს ამბავი ის არის, რომ აგერ 17-18 წელიწადზე მეტია, რაც ქ. ართვინში დაბანაკებულნი არიან პირველის პლასტუნის ყაზახის ჯარისკაცები, რომელთაგან 40-50 ათასს მანეთზე მეტი შემოსავალი ჰქონდა ართვინის ქალაქსა და ამითი ცოტად თუ ბევრად იქაური სომხები სულს იბრუნებდნენ, ის სომხები, რომლებიც ოსმალთს ბატონობის დროს ათასნაირად იყვნენ წვალებულნი. ეხლა შარშანდელმა ნიაღვარმა ართვინი შუაზე გაჰყო და მოაშორა ქალაქის ნაწილი და ჭოროხისაკენ რამდენიმე საჟენი დააქანა შენობებით. ზედ შერჩენილი საყდარი და ზოგიერთი შენობები დასკდა მიწის თავ-დაღმა დაქანების დროს და, რასაკვირველია, ვინც ამ ნაწილში მოჰყვა, თავზარი დაეცათ, დღე და ღამე ჭოროხისაკენ მოელიან ჩაცოცვას სახლკარიანად.

ამ მოზგაგებულს ნაწილში მოჰყვა პლასტუნების ჯარისკაცთა ბანაკიც. ბატალიონის უფროსმა შეატყობინა თავის დროზედ ეს ამბავი მთავრობას და აუხსნა, რა მდგომარეობაშიც იყო ჯარისკაცთა ბინა და ამასთან ისიც, რომ თითქმის ყოველ დღე მცირეოდენ წვიმის შემდეგ ეტყობა, რომ მიწა, თანდათან ქვევით იწევს და საშიშია ჯარისკაცთა იქ დაყენებაო. მთავრობამ გამოჰგზავნა თავისს დროზედ მთამადნის ინჟინერი, რომელმაც დაათვალიერა ეს ადგილები და იმ აზრს დაადგა, რომ დიდი დრო არ უნდა და ეს ადგილები ჩაწევა ჭოროხშიო, ამიტომ ჯარის აქ გაჩერება საშიშიაო. მთავრობასვე განკარგულება მოუხდენია, რომ მთელის ბატალიონის შტაბი და ორი ასი, რომელიც დროებით ართვინში სდგას, გადაიყვანონ ქ. არტანუხს, გამოგზავნილია სამხედრო ინჟინერი კაპიტან კანავალოვი, რომელმაც უნდა მიუჩინოს იქ ბინა ამ ჯარის-კაცებს, თუ ვინიცობაა ვერ იშოვნიან ჯარის მოსათავსებელ სადგომს, მაშინ კარვებში უნდა დადგნენ და ამითი აიშორონ თავიდან ყოველ დღე მოსალოდნელი ხიფათი.


ასე და ამნაირად მთავრობის განკარგულებისამებრ ართვინს ეკარგება ერთად ერთი შემოსავლის წყარო. როგორც გავიგეთ, ქალაქის მხრით გაუგზავნიათ თხოვნა. სთხოვენ ისევ აქ დარჩნენო ეს ჯარის კაცები, მაგრამ არა გვგონია მთავრობამ შეიწყნაროს. მთავრობა უსათუოდ მოსთხოვს ქალაქს იმისთანა პირობებს, რომლის შესრულება მოუხერხებელი იქნება. ამ ბოლო ხანებში სანდო კაცებისაგან გავიგეთ, რომ ვითომ ერთი ასის და ბატალიონის შტაბის გადმოყვანა უთხოვნიათ სოფ. ბორჩხაში. როგორც სახელმწიფოსათვის, ისევე ჯარში მოსამსახურესათვის ძლიერ სასარგებლო იქნება ასეთი ცვლილება. სახელმწიფოსათვის იმითი, რომ ბატალიონის ბარგი-ბარხანის, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ართვინიდან არტანუხში ათი ათასი მანათი ვერ გადაიტანს და ბორჩხაში — კი ასი თუმანი არ დასჭირდება ამ საქმეს. შტაბში მოსამსახურეთათვის ძლიერ სასარგებლო იქნება, რადგან ბათუმს დაუახლოვდებიან. მართო ის ვიანგარიშეთ, რომ ბათუმიდან არტანუხში სანოვაგის ატანა ერთი ათად მეტი ჯდება, ვიდრე ბორჩხამდე, მაგალითად ფუთი ნავთი ბათუმში ღირს ათი შაური და არტანუხში კი ოთხი მანეთი. იმედი გვაქვს ამ ცოტა ხანში გავიგებთ გადმოიტანენ თუ არა შტაბს ბორჩხაში და თუ გადმოიტანეს-კი დიდი ღვთის წყალობა იქნება ჩვენთვის.

ივ. ჯაიანი.

1. ი. ჯაიანი ცდება, ამ დროს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამემწე იყო ბარონი ალექსანდრე იულის ძე ფონ-დერ-ბრიუგენი. ალექსანდრე ანატოლის ძე ბარიატინსკი, გენერალ-მაიორი, ამ დროს მსროლელი ბრიგადის მეთაური იყო.

2. ამ საშინელ წყალდიდობას თავის ვრცელ შრომაში ეხება აგრეთვე ექიმი ე. ვ. ერიქსონი. მისი ცნობიდან ვგებულობთ, რომ აღიღებულ ქოროხს ზიანი მიუყენებია ბათუმის მახლობელი სოფლებისათვისაც: „1895 წლის 28 ოქტომბრის ღამით და 29 ოქტომბერს საშინელი წყალდიდობის დროს წყალმა მთლიანად დაფარა კაპანდები და მეჭიდიე. გაზეთების ცნობით მარტო 100 სულზე მეტი პირუტყვი დაიღუპა. იყო ადამიანის მსხვერპლიც“.

3. კონოვალოვი ლეონიდე ვასილის ძე, კაპიტანი, ქუთაისის საინჟინრო დისტანციის სამხედრო ინჟინერი და სამუშაოთა მწარმოებელი; ერთდროულად მუშაობდა ფოთის ქალაქის არქიტექტორადაც.



უმთა ზაქარიაძე

110 წლის წინათ

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომში რუს-ქართველთა მხედრობის გამარჯვების შედეგად აჭარა სამუდამოდ გათავისუფლდა უცხოელთა ბატონობისაგან.

მაჰმადიან ქართველთა ლტოლვა დედამშობლოსადმი დიდ გამოხმაურებას იწვევდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეთა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც ხმა აღიმალა ოსმალთა მონობაში მყოფ ქართველ მოძმეთა უფლების დასაცავად, იყო ცნობილი ქართველი მეცნიერი, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე.

ქერ კიდევ ომის დაწყებამდე რუსეთის მთავრობამ არაერთხელ მიავლინა ოფიციალური პირები თურქეთში. იქ მყოფ ქართველთა მდგომარეობის შესასწავლად. ასე მაგალითად, 1873 წელს რუსეთის საიმპერატორო აკადემიამ აჭარაში, თურქების მიერ მიტაცებულ რეგიონებში გაგზავნა დიმიტრი ბაქრაძე, ხოლო მომდევნო 1874 წელს რუსეთის საიმპერატორო სამხედრო გენერალურმა შტაბმა პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე მათ საინტერესო ნარკვევები გამოაქვეყნეს „ივერიაში“, „დროებაში“, „კავკასია“ და სხვა გაზეთებში, გარდა ამისა, პოლკოვნიკმა გ. ყაზბეგმა გამოაქვეყნა ნაშრომები: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „გეოგრაფიული ცნობარი აჭარაზე“.

დიმიტრი ბაქრაძემ გამოაქვეყნა სპეციალური ბროშურა, რომელსაც მხურვალედ გამოეხმაურა ქართველი საზოგადოებრიობა. ბროშურა სააგიტაციო ხასიათისა იყო. ავტორი მოკლედ მიმოიხილავდა საქართველოს ისტორიას, მიუთითებდა იმაზე, თუ რატომ მოხდა ერთი ერის ასე დანაწილება-დაქუცმაცება.

დ. ბაქრაძის მეორე ვრცელი წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში“, რომელიც პეტერბურგში დაისტამბა 1878 წელს, მკვლევარის ნაშრომებს შორის ყველაზედ უფრო თვალსაჩინოა, წიგნში ზედმიწევნით აღწერილია აჭარის ისტორიის მძიმე სურათები, აი, რას წერდა მკვლევარი: „ძმანო! ოსმალთა ქართველთა, მიღეთ ძმური რჩევა, ძველად უბედურმა შემთხვევამ დაგვაშორა ჩვენ და თქვენ ერთი მეორესთან, ახლა შემდეგ რამოდენიმე საუკუნის ტანჯვისა მოგეცათ ბედნიერი შემთხვევა, დროა თქვენს საერთო ტანჯვას ბოლო მოეღოს, ამისთანა შემთხვევას ღმერთმა იცის მოესწრებით ოდესმე თუ არა. ისარგებლეთ ამ შემთხვევით და ისევ ძველებურად, ძმურად შეგვიერთდით, მერწმუნეთ, ჩვენ ყველა ამიერ ქართველების გული თქვენთან არის“.

საგულისხმოა ისიც, რომ დ. ბაქრაძის ეს მოგზაურობა და სხვათა ნაშრომების გამოქვეყნება დაემთხვა სწორედ იმ პერიოდს, როცა რუსეთი უკვე საიდუმლოდ ემზადებოდა ომისათვის.

ღამპყრობთა დაუსრულებელი თარეში და მშვიდობიანი მოსახლეობის რბევა ნაწი-



ლობრივ აღიკვეთა ე. წ. ადრიანოპოლის საზოგადოებრივი ხელშეკრულებით. როგორც ცნობილია, 1829 წლის 2 სექტემბერს ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებით დადგინდა სამშობლოს დაუბრუნდა სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი და შავი ზღვის სანაპიროები — ანაპიდან ვიდრე მდინარე ჭოროხამდე. ამ მნიშვნელოვანმა აქტმა შეტად დადებითი როლი შეასრულა მოძმეთა შორის კავშირის განმტკიცებასა და შემდგომ ისტორიულ განვითარებაში.

მართალია, ისტორიული მოვლენები დადებითად წარიმართა, მაგრამ დამპყრობლები კვლავ მძლავრობდნენ, ისწრაფოდნენ მოსაზღვრე რაიონების დალაშქვრას და მაჰმადიან ქართველთა ჩაგვრას, ამგვარ მწვავე სიტუაციას დაემთხვა თურქეთისა და ბუღარეთის სასაზღვრო კონფლიქტი. 1877 წლის 12 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. ომის დაწყების პირველ დღესვე რუს-ქართველთა მხედრობმა გადალახა სახელმწიფო საზღვარი და ორი მიმართულებით შეიჭრა: ახალციხიდან — ფოცხოვში, ხოლო გურიიდან — ქობულეთში. ამ განმათავისუფლებელ ომში ბევრმა ქართველმა მამულიშვილმა ისახელა თავი. აი, ზოგიერთი მათგანი: გ. ყაზბეგი, კ. ერისთავი, ი. გურიელი, ზ. ჭავჭავაძე, ა. ჭავჭავაძე, მ. ამირეჯიბი, ი. ამილახვარი და სხვ. მათ გადაეცათ სხვადასხვა ჯილდოები, ხუთ ქართულ ქვეით ლაშქარს და ერთ ცხენოსან პოლკს — საბრძოლო დროშები. ისინი ამჟამად დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი მეთაურობდა ქართველთა გაერთიანებულ ლაშქარს, კონსტანტინე ერისთავი — ქუთაისის ცხენოსანთა რაზმს, ხოლო იესე გურიელი — ადგილობრივ მოსახლეობისაგან შექმნილ გურიის პირველ ლაშქარს.

ფრონტისპირა ზონის მოსახლეობა გულთბილად ხვდებოდა თავიანთ განმანთავისუფლებლებს — რუსთა და ქართველთა მხედრობას. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, ომის დაწყების პირველ დღესვე მოსაზღვრე სოფლების მაჰმადიანმა ქართველებმა შეძლეს რუსეთის ქვეშევრდომნი გამხდარიყვნენ.

ამ სამართლიან ომში ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ და ისინი იძულებული გახდნენ შავი შეეთავაზებინათ მოწინააღმდეგისათვის.

1878 წლის 19 თებერვალს კონსტანტინოპოლიდან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარე პატარა ქალაქ სან-სტეფანოში დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, ბუღარელმა ხალხმა ხუთსაუკუნოვანი მონობის შემდეგ მიიღო თავისუფლება და გაერთიანდა ერთ მთლიან სახელმწიფოდ, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარა და სამხრეთ საქართველოს საზღვრისპირა რაიონები სამუდამოდ დაუბრუნდა დედაქალაქს. ამ ომის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ქუთაისის ცხენოსანთა რაზმის მეთაური, შემდგომში ცნობილი მწერალი და დრამატურგი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი სამუშაოდ აჭარაში რჩება როგორც მუსულმან ქართველთა ასეულის მეთაური. მას თავისი პრაქტიკული საქმიანობით გარკვეული წვლილი შეჰქონდა დიდ ეროვნულ საქმეში — რომ ისტორიული უკუღმართობის გამო უხეში ძალით ერთმანეთისაგან დაშორებულ ძმებს ამიერიდან კვლავ ერთად ეცხოვრათ.

კ. ერისთავმა იქ ნახული და განცდილი მხატვრულად ასახა თავის ნაწარმოებებში, რომლებიც მუსლიმან ქართველთა ცხოვრებისეულ პრობლემებს ასახავს და რომლებიც რამდენჯერმე გამოიკა ქართულ ენაზე. კ. ერისთავის პიესები სისტემატურად იდგმებოდა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თეატრებში.

1958 წელს ქართული ლიტერატურის მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა საინტერესო მონოგრაფია მიუძღვნა კონსტანტინე ერისთავის დაუცხრომელ მოღვაწეობას.

კ. ერისთავი ერთ-ერთი ინციატორია აჭარა-ქობულეთის 16 კაციისაგან შემდგარი

დელეგაციის წარგზავნისა ქ. თბილისში, სადაც მათ ქართველმა საზოგადოებრიობამ
გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

1878 წლის ნოემბერში თბილისში დელეგაციის საპატივცემულოდ გამართულ ბან-
კეტზე მხცოვანი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ამბობდა: „ერთი დედის შვილნი, შავი
ბედისაგან განშორებულნი დიდს ხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ერთმანეთს გა-
დაეხვივნენ ვულითადის სიყვარულითა, ჩვენც აგრეთვე საქართველოს შვილნი ვიყუ-
ავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ
მტერთაგან. ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორე-
ბული ჩვენი ძმები. დედის იქით ლხინშიაც, ქირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად,
ვითარცა შვილნი დედა-საქართველოსა“.

ასეთივე მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვი-
ლმა, დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა და სხვა მამულიშვილე-
ბმა. სწოედ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის გამო წერდა დიდი ილია: „ჩვენი ძმები,
ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მეგრძოლი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე,
ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლების აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო ჩვენ
შემოგვიერთდა“.

თვით დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს ის უსაზღვრო სიამაყე და სიხარული,
რაც უსამართლოდ დაშორებული ძმების კვლავ ერთმანეთთან შეხვედრამ გამოიწვია.

ღიახ, ეს იყო უდიდესი ისტორიული მოვლენა, როცა სამსაუკუნოვანი განშორების
შემდეგ აქარა დედასამშობლოს დაუბრუნდა.



გმათა სიყვარული ყოვლად უმეკლესელია...

(ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ისტორიიდან)

1906 წლის დეკემბერში კავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაამტკიცა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წესდება“. საზოგადოების ძირითად მიზანს შეადგენდა კავკასიაში მცხოვრები ქართველების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიზნით საზოგადოება წესდების მიხედვით ცდილობდა მოსახლეობაში გაეგრძელებია მიწათმოქმედებასა და ვაჭრობა-მრეწველობაში გამოსადეგი ცოდნა, ღარიბთათვის სხვადასხვა პირობებში მიეცა კრედიტი, დაესაქმებია უმუშევრები, დახმარება გაეწია სტიქიური უბედურებით დაზარალებულთათვის. საქმეების შემთხვევაში გაეცა ფულადი დახმარება, უსახლკაროთათვის მოეწყო თავშესაფარი, მისაღები პუნქტები და სხვა სახის საქველმოქმედო დაწესებულებანი.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აქტიური საქმიანობა დაიწყო ცოტა მოგვიანებით. 1914 წლიდან. ჩატარდა საზოგადოების კრება, რომელმაც აირჩია მთავარი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: მიხეილ მაჩაბელი (თავმჯდომარე), პართენ გოთუა (თავმჯდომარის ამხანაგი), ვასილ ყიფიანი (ხაზინადარი), ფილიპე გოგინაიშვილი, ვრიგოლ რცხილაძე, იოსებ ბარათაშვილი; კანდიდატები: ივანე გომართელი, მიხეილ ლალიძე, გერონტი ქიქოძე; 1915 წლის აპრილიდან 1919 წლამდე, საზოგადოების ლიკვიდაციამდე, მდივნად მუშაობდა პავლე საყვარელიძე.

1915 წლის აპრილში დაარსდა ბათუმის სარაიონო განყოფილება, რომელშიაც შედიოდნენ: ვ. კრინიცკი (თავმჯდომარე), რ. ნიჟარაძე, გ. ელიავა, ს. მდივანი, ი. მელია, ი. ღორთქიფანიძე, გ. ანჯაფარიძე, კ. გოგოლაძე; კანდიდატები: ი. ვარშალომიძე, ე. ბერძენიშვილი, გ. საღორაშვილი.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა და მისი განყოფილებების მოღვაწეობის განხილვის დროს ცალკე უნდა გამოვეყოთ მათი დამოკიდებულება აჭარისადმი.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა განთავისუფლდა დამპყრობთა უღლისაგან და დაუბრუნდა დედاسაქართველოს.

ქართველი საზოგადოებრიობა მზურვალედ მიესალმა აჭარის გათავისუფლებასა და საქართველოსთან შეერთებას. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „ქართველობავ!.. ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საქმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა, ძმის წინაშე, შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება“.

აჭარის კულტურულად დაწინაურების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას. 1881 წლის მარტში ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აჭარის მკვიდრთა გასანათლებლად, ქართული წერა-კითხვის და კულტურის გასავრცელებლად.




ხალხის გათვითცნობიერებისა და მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის შესანიშნავ მამულიშვილთ: ილია ქავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს, დავით კლდიაშვილს, ანტონ ფურცელაძეს, იაკობ გოგებაშვილს, სერგეი მესხს, გიორგი ყაზბეგს, დიმიტრი ბაქრაძეს, ზაქარია ჭიჭინაძეს, ჰაიდარ აბაშიძეს, რევოლუციამდელ საქართველოში საკმაოდ პოპულარულ პიროვნებას გულო კაიკაციშვილსა და სხვ.

აქარა სერიოზული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა პირველი იმპერიალისტური ომის დროს. როგორც ცნობილია, 1914 წლის შემოდგომაზე გერმანიის მხარეზე ომში ჩება თურქეთი, რომელსაც ფართო დაპყრობითი გეგმები ჰქონდა. იგი ითვალისწინებდა თურქთა ძალაუფლების ქვეშ ამიერკავკასიის, დაღესტნის, ყირიმის, შუა აზიისა და ვოლგისპირეთის მოქცევას. აქარა საომარი ოპერაციების ასპარეზად გადაიქცა. რუსთა ჯარებმა დაიწყეს შეტევა ერზერუმის, ოლთისისა და ერევნის მიმართულებით. თურქებმა ამ დროისათვის დაიკავეს ართვინი, ბორჩხა, სოლო შავ ზღვაში შემოსულმა გერმანულმა სომალდებმა „გებენმა“ და „ბრესლაუმ“ ყუმბარები დაუშინეს ბათუმს, მაგრამ რუსების საბასუხო ცეცხლის შედეგად უკუიქცნენ. იმისათვის, რათა კავკასიის ფრონტზე გადამწყვეტი გამარჯვება მოეპოვებინა, თურქეთის სარდლობამ დაიწყო შეტევა სარაყამიშის რაიონში, რაც, როგორც ცნობილია, თურქების სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

ომით გაპარტახებული მოსახლეობის დასახმარებლად და ცარიზმის ცილისწამები-საგან მათ დასაცავად განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დასავლეთ საქართველოში. ომმა განსაკუთრებული უბედურება დაატეხა თავს საქართველოს განაპირა კუთხეებს. მთელი სამაჰმადიანო საქართველო და, კერძოდ, აქარა, შავშეთი, იმერხევი, კლარჯეთი (საერთოდ, ბათუმის ოლქი) ომის არენად გადაიქცა. ქვეყანა აოხრდა, ხალხის სახლ-კარი და სარჩო-საბადებელი ცეცხლმა შთანთქა. ომის სტიქიონი ანადგურებდა ყველაფერს. შეძრწუნებული ხალხი აქეთ-იქით იფანტებოდა. ნაწილი იძულებული გახდა მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი შორს გადასვეწილიყო. მრავალი დაიხოცა. ვინც გადარჩა, საშინელ გაჭირვებასა და შიშს განიცდიდა.

ქართველ ხალხს თავი უნდა გამოედვა განადგურების პირას მისულ თანამოძმეთა გადასარჩენად. მდგომარეობა მოითხოვდა მათთვის დაუყოვნებლივ ხელის გაწოდებას. საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობამ და ქართულმა პრესამ შეძლო აქარელთა საკითხისადმი საერთო ყურადღების გამახვილება და მათი მდგომარეობის გახაუმჯობესებლად ყველა ეროვნული ძალის მობილიზება.

მაჰმადიანურ საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის ნათელი სურათია მოცემული ართვინში მცხოვრებ ქართველებისაგან გამოგზავნილ წერილში: „დიდი ხანია სიკვდილის ღმერთი თავს დასტრიალებს საქართველოს გულს — მესხეთს და ანადგურებს მას, — ნათქვამია წერილში. — დღეს ეს მშვენიერი მხარე მიწასთან არის გასწორებული. მშიერი ხალხი ბალახით იკვებება. ბევრი ახალგაზრდა, ვისაც მუშაობა შეეძლო ოსმალეთში გარეკეს. ყოველდღიურად ართვინს ფეხშიშველი, მშიერი, ძონძებში გახვეული და დატანჯული ადამიანების ბრბო აწყდება. საუკუნეების განმავლობაში ამ ხალხს თავზე აწვა უღმობელი ვეშაპი „ისტორია“, მაგრამ ვერ მოახერხა მისი სულიერი დამახინჩება. ყველანი, განსაკუთრებით კი კაცები და ბავშვები წმინდა, შეუბღალავი ქართულით ლაპარაკობენ, ახსოვთ თავიანთი დიდი წინაპრები. იციან, რომ ქართველები არიან და ოსმალებმა ძალით „გათათრეს“. ახლა გეკითხებით, ნუთუ არ არის დახმარების ღირსი ის ქართველი დედა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში მოახერხა იმ სიწმინდის დაცვა, რომელსაც სამშობლო ენა ეწოდება?



ნუთუ ჩვენ გულგრილად უნდა ვუყუროთ ჩვენი დატანჯული ძმის გადაგვარებას და სიმშვილით სიკვდილს? ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება პირნათლად შეასრულებს მის წმინდა მოვალეობას და დააბურებს მშვენიერ მარცხეებს“.

„საზოგადოება“ მართლაც ენერგიულად შეუდგა საქმიანობას. პირველ რიგში საჭირო იყო აჭარის მოსახლეობისათვის სურსათ-საზოგადოების მიწოდების ორგანიზაცია. მთავარმა საზოგადოებამ და, განსაკუთრებით, მისმა ქუთაისისა და ბათუმის განყოფილებებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს აჭარელთა დასახმარებლად შეწირულებათა შეგროვების საქმეში. პრესისა და რწმუნებულების მიერ შეგროვილი მასალების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ მაშმადიანურ საქართველოში, პირველ რიგში, საჭირო იყო საკვების, ტანსაცმლის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, საქონლისა და სათესლე მარცვლეულის გაგზავნა, ომით დანგრეული საცხოვრებელი შენობების აღდგენა და სხვ. „საზოგადოებამ“ 1916 წელს აჭარაში გაგზავნა 11 ვაგონი სიმინდი, დაახლოებით 11.000 ფუთი. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურნენ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. ომისაგან დაზარალებული აჭარელებისადმი დახმარების აღმოჩენა დაიწყო ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც. აჭარაში შეტანილი სიმინდის გასანაწილებლად შეიქმნა სასოფლო კომისიები. სოფლო საუბნო ცენტრებში — ხულოსა და ქედაში — შედგა მთავარი საუბნო სასურსათო კომისიები. ისინი ხელმძღვანელობდნენ და თვალყურს ადევნებდნენ სურსათის განაწილებას. აჭარის მოსახლეობა დიდი სიხარულით ღებულობდა ყოველგვარ დახმარებას რა მცირეც არ უნდა ყოფილიყო ის. „სიმინდთან ერთად, — წერდა გაზ. „საქართველო“, — ისინი თითქმის სხვა უფრო მნიშვნელოვან რამეს ღებულობდნენ. ეს მათ სულიერათ ამხნევებდა და უკეთესი იმედით სჭვალავდა. სიმინდს ხალხი ღებულობდა როგორც საქართველოდან, ქართველი საზოგადოებისაგან გამოგზავნილ საჩუქარს“. სიმინდთან ერთად გაიგზავნა აგრეთვე საბონი, მარილი, ნავთი, თბილი ტანსაცმელი, თეთრეული და პირველი მოთხოვნილებების სხვა საქონელი.

„საზოგადოებამ“ ყურადღება მიაქცია აჭარის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმესაც. დაარსდა სპეციალური საექიმო კომისია, რომელშიც შედიოდნენ ექიმები: ი. ელიაშვილი (თავმჯდომარე), გ. მუხაძე, შ. მიქელაძე, უ. კაკილაშვილი, პროფიზორი ა. ახვლედიანი და ექთანი გ. კაქახიძე. საექიმო კომისიის წევრები მოსახლეობას უფასოდ მკურნალობდნენ და ასევე უფასოდ ეძლეოდით ავადმყოფებს წამლები და სხვა სამედიცინო მედიკამენტები. „საზოგადოების“ ანგარიშის მიხედვით 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე საექიმო კომისიის წევრებმა გადაუღებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 870-მდე ავადმყოფს.

იმის გამო, რომ აჭარა საომარი მოქმედების ასპარეზად გადაიქცა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იძულებული გახდა დროებით დაეტოვებია მშობლიური ადგილები და საქართველოს შიდა რაიონებში გადასახლებულიყო. განსაკუთრებით დიდი იყო ლტოლვილთა რაოდენობა ომის პირველ თვეებში.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დახვედით საქართველოში შექმნეს სპეციალური სარეგისტრაციო პუნქტები და ლტოლვილთა თავშესაფრები, რომლებიც აგროვებდნენ ზუსტ ცნობებს მათი რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ. სარეგისტრაციო პუნქტების მონაცემებით შავი ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქები თითქმის დაიცალა. ლტოლვილთა საერთო რაოდენობამ 25.000 გადაჭარბა. მათი ძირითადი რაოდენობა თავს იყრიდა ქუთაისის გუბერნიასა და სოხუმის ოლქში. ამის გამო მათზე ზრუნვა ძირითადად საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას დაევა.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას ნინო ნაკაშიძე ბათუმიდან ატყობინებდა: „გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ყოვლად უმწეოდ დარჩენილ მოსახლეობას, ღერძოვით, ახალგაზრდა 16 წლის აქარელ ქალს ლუტფია დიასამიძის მდგომარეობას. წელიწადზე მეტია დიასამიძის ოჯახი — დედა სამი შვილით აქარიდან გადმოიხვეწნენ ბათუმის მიდამოებში ომისაგან გამოწვეულ შიშთანობის დროს. აქამდის როგორც იყო ეს ოჯახი ირჩენდა თავს სხვადასხვა ოჯახების დახმარებით. თქვენი საზოგადოებაც უწყვეტად დახმარებას, როგორც გადმოხვეწილებს. ახლა ორი თვეა თქვენი წყალობა მოესპო და დარჩნენ სრულიად უმწეოდ ქუჩაზე დაყრილნი. დედა ამ ერთი კვირის წინ სადღაც წავიდა, ვაჟები შეიკედლეს გულმოწყალებად ადამიანებმა და დარჩა მარტო საბრალო უმწეო ქალი უმწეო, დაკუთებული, უბინაო და უქმელ-უსმელი... ფეხები დამახინჯებული აქვს და სიარული არ შეუძლია, ხელებით კი ყოველნაირი სამუშაოს გაკეთება ძალუძს: ქსოვა, კერვა, ჭურჭლის დარეცხა და სხვ... ლუტფია დიასამიძე სრულიად უმწეო მდგომარეობაშია. დედამისმა მიატოვა და სადღაც გადიკარგა. მახლობელი არავინ არ ჰყავს. გთხოვთ გაითვალისწინოთ მისი უნუგეშო მდგომარეობა და ბათუმის თავშესაფარში აღგილი მისცეთ...“ ლუტფია დიასამიძეს გაეწია სათანადო დახმარება.

მთავარი გამგეობის წინაშე ლტოლვილი აქარლების აღგილ-მამულის შენარჩუნების საკითხი დაისვა. როდესაც აღგილობრივმა მმართველობამ ამ აღგილების იჯარით გაცემა დაიწყო, საქმეში ჩაერია ქუთაისის სარაიონო განყოფილება, რათა ლტოლვილთა მიწები კერძო პირებს არ ჩაეგდოთ ხელში. 1916 წლის თებერვალში ბათუმში გაიგზავნა განყოფილების რწმუნებული, რომელმაც ბათუმის განყოფილებასთან ერთად ქართული საქველმოქმედო საზოგადოების სახელზე იჯარით აიღო 12 სოფელი. ეს სოფლები მესაკუთრეების დაბრუნებამდე იჯარით გადაეცათ იმ აქარლებს, რომლებიც აქ იყვნენ დარჩენილნი. იჯარის პირობა ასეთი იყო: მიწა დაუყოვნებლივ გადაეცემოდა მესაკუთრეს, როგორც კი მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდა. გარდა ამისა, მმართველობის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა შეეწყვიტა ამ მიწების იჯარით გაცემა, ხოლო მათი მოვლა-პატრონობა დაკისრებოდა სათანადო სამეურნეო დაწესებულებებს. იჯარით აღებული სოფლების მოსავლელად განყოფილებამ სპეციალური მოურავი დანიშნა. მიღებულ იქნა ენერგიული ზომები მოსავლის (ხილი, კაკალი) შესაგროვებლად და სარეალიზაციოდ.

შიმშილის გამო აქარაში ათეულობით ადამიანი იხოცებოდა. დარბეულ და დამშეულ ხალხს მრავალგვარი დახმარება სჭირდებოდა, რომ „მამა-პაპათა სისხლით მოჩუქული აღგილ-მამულიდან არ გადახვეწილიყვნენ“.

ქურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „საქიროა მთელმა ქართველმა ხალხმა, მოწინავე საზოგადოებამ, საფინანსო, საქველმოქმედო, წოდებრივმა და სხვა დაწესებულებათ სათვალსაჩინო თანხა გადასდონ დაზარალებულ აქარელთა სასარგებლოდ, თბილის-ქუთაისს და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქ-სოფლებშიაც გაიმართოს დილა-საღამოები ამავე მიზნით, აქარაში გაიგზავნოს შესაფერი კაცები საქირო ცნობების შესაკრებად და დახმარების აღმოსაჩენად“.

ცნობილი ქართველი მწერალი ქალი დომინიკა ერისთავი (განდევილი) წერდა: „ქართველო ქალებო! დავეხმაროთ ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წვლილი ვის რამდენიც შეგვიძლია და სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები, მე თამამად მოგმართავთ თქვენ, რადგან ვიცი თქვენ უფრო მგრძნობიარე ხართ და უფრო მხნეთ შეუდგებით ამ წმინდა მოვალეობის ასრულებას“.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა დაიწყეს შეწირულებათა შეგროვება და დანიშნულებისამებრ გაგზავნა. ქუთაისის ქართული გი-

მნაზის მოსწავლეთა კორპორაციამ აქარლების სასარგებლოდ შეაგროვა 1912 მანეთი და 24 კაპიკი.

საინტერესოა ქართველ დაქრილ ჯარისკაცთა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ დაქრილი და დაავათყოფებული ჯარისკაცების ერთი ნაწილი, რომელნიც თფილისში ვიმყოფებით ლაზარეთში, ვსწირავთ უკანასკნელ კაპიკს, რათა ამით მაინც შევუმსუბუქოთ გაქირვება დაზარალებულ აქარლებს“. ლეჩხუმში, დაბა ლაილაში, ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით და მარიამ გელოვანის ხელმძღვანელობით გაიმართა აქარელ ქართველთა სასარგებლოდ წარმოდგენა-სალამო. შემოსავალი — 100 მანეთზე მეტი გაიგზავნა ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლად. 1915 წლის 7 მარტს, ოზურგეთის თეატრში ჩატარდა დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური და საცეკვაო სალამო, რომლის შემოსავალი გადაეცა აქარელთა დახმარების ფონდს.

აქარელთა დახმარების საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ქართველმა სტუდენტებმაც. მათი ინიციატივით გამოიცა წიგნაკების სერია, რომლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის, პეტრე უმიკაშვილის, ნიკო მარისა და სხვათა წერილები.

პირველი მსოფლიო ომის დროს აქარლებზე ნაკლებად არც ლაზები და ქანები დაზარალებულან. მამაკაცები ოსმალებმა ტყვედ წაიყვანეს, ხოლო მათი ოჯახები უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საჭირო იყო მათთვის დახმარების აღმოჩენა. მთავარმა გამგეობამ ლაზთა და ქანთა დასახმარებლად გაგზავნა 500 მანეთი, ხოლო ტრაპიზონში — ასევე 500 მანეთი თავშესაფრის გასახსნელად.

აქარლების, ლაზების, ქანებისა და, საერთოდ, ლტოლვილთა დახმარების საქმეში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ქართული საქველმოქმედო საზოგადოებების სოხუმის სარაიონო განყოფილებამ (თავმჯდომარე ნ. თავდგირიძე), რომელიც მთავარ გამგეობას წერილობით აცნობებდა სასწრაფოდ გაეგზავნათ მათთვის თანხა, რადგან „ამაზეა დამოკიდებული ჩვენი არსებობა და საქმის გაფართოება... ჩვენ, ქართველებსა და ამათ შუა (იგულისხმება აქარლები — დ. გ.) ხიდი იყო საჭირო და ეს ხიდი ჩვენი განყოფილებაა, რომ არ ჩაიშრეს და ჩვენ შორის კავშირი არ გაწყდეს უნდა ეხლავე მივხედოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საუკეთესო წუთები ჩვენის ძმობის განმტკიცებისა თოვლივით გადნება. ამას კი არავინ მომავალ თაობათაგანი არ გვაპატიებს და სირცხვილი იქნება ჩვენთვის“.

ამავე დროს სოხუმის განყოფილებამ მთავარი გამგეობის რეკომენდაციით შრომის ბიურო დააარსა უმუშევართათვის, სხვა და სხვა სამუშაოზე დაასაქმა ასამდე აქარელი და ლაზი. მანვე დახმარება აღმოუჩინა ასზე მეტ ოჯახს ტყვედ წაყვანილთა ძებნაში და სურსათ-სანოვარის შოვნის საქმეში.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით 1915 წლის ზაფხულში გამოიცა ვაზეთი-აღმანასი „ძმური სიტყვა“, — ქართულ და რუსულ ენებზე, მიზანი ორ ამოცანას ისახავდა — ნივთიერსა და ზნეობრივს. ის ამავე დროს გამოხატავდა „ჩვენს გრძნობებს, ჩვენს თანაგრძნობასა და ეროვნულ დამოკიდებულებას დიდი ხნით მოშორებულ თანამოდძეებისადმი“. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ფულადი დახმარება აღმოუჩინა აპოლონ წულაძეს მისი შრომის — „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“ — გამოცემის საქმეში. ორივე გამოცემის გარკვეული რაოდენობა უფასოდ დარიგდა ქართველ მაჰმადიანთა შორის.

1915 წლის 18 მაისამდე ბათუმის ოლქში ოფიციალურად ომისაგან დაზარალებულად ირიცხებოდა და დახმარებას ღებულობდა 26.576 კაცი. შემდეგ დახმარების მიმღებთა რიცხვი შემცირდა და 1917 წლის 1 მაისისათვის 3.807 სულამდე დავიდა. ეს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების და მისი განყოფილებების ენერგიული და დაძაბული მუშაობის შედეგი იყო.

რასაკვირველია, მატერიალურ და მორალურ დახმარებას ქართველი მაჰმადიანებისადმი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამასთან ერთად საქირო იყო მათში კულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა, სწავლა-განათლების გავრცელება და სხვ. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და ერის მოჭირნახულე შვილები ყველაფერს აკეთებდნენ ამ მხარეში სწავლა-განათლებისა და კულტურული ნაკადის შეტანისათვის.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ სკოლები გახსნა სუცუბანში, სულოში, ყოროლისთავში, დიდაქარაში. 1916 წლის 11 მარტს ქართული სკოლა გაიხსნა სოფელ ჩხუტუნეთში, სადაც მასწავლებლად დაინიშნა ნ. ქამუშაძე. ამავე დროს „საზოგადოება“ დიდად ზრუნავდა სკოლების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის.

ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთათვის გაიხსნა ექვსი პირველდაწყებითი სკოლა, ერთი აგრონომიული და ერთი პრაქტიკული საზეინკლო მეფუტკრეობის ნაწილით, ამასთან ერთად ქართული საქველმოქმედო საზოგადოება სათანადო ყურადღებას აქცევდა იმასაც, რომ მაჰმადიან ახალგაზრდებს განათლება მიეღო საქართველოს სხვადასხვა სასწავლებლებში.

პირველი მსოფლიო ომის დროს, აჭარის მოსახლეობას არ ჩაუდენია არავითარი სარწმუნოებრივი მტრობა ან რაიმე მასობრივი უკმაყოფილება მეფის რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. არაერთმა ოფიციალურმა კომისიამ დაადასტურა, რომ ხალხი, შეძლებისდაგვარად, ყოველმხრივ ეხმარებოდა რუსეთის ჯარს. აფრთხილებდა ადგილობრივ ადმინისტრაციას თურქეთის ჯარები მოდიან და ნუ მიგვატოვებთო.

როდესაც 1914 წელს ოსმალეთის ჯარი შავშეთსა და იმერხევში შემოიჭრა, მათ შეუერთდა ადგილობრივი თურქი მოსახლეობა. იმერხევის 18 სოფლის ქართველმა მაჰმადიანებმა კი არათუ არ შემოუშვეს ოსმალები თავის სოფელში, არამედ მათი დარბევისაგან იხსნეს სომხებით დასახლებული ქრისტიანული სოფელი ფციყური. გერმანელთა და ოსმალთა ცდის მიუხედავად, ქართველი მაჰმადიანები მეზობელი სომხებისა და რუსეთის მთავრობის ერთგული დარჩნენ. მათ შეადგინეს შეიარაღებული რაზმები, რომლებიც ოსმალთა რაზმების შემოსევისა და რბევისაგან იცავდნენ მეზობელ სომხებს. როცა ოსმალთა სამხედრო შენაერთის უფროსმა იმერხეველებს მოციქული გაუგზავნეს და თხოვეს არ ჩარეულიყვნენ ფციყურის საქმეში, მოხუცმა მაჰმადიანმა ქართველებმა უბასუხეს: „მხოლოდ ჩვენი და ჩვენი ცოლ-შვილთა გვაგებზე გადასვლით შეგიძლიათ შეხვიდეთ ფციყურშიო“. ასე იცავდა ოთხი თვის განმავლობაში იმერხეველთა შეიარაღებული რაზმი ფციყურს, ვიდრე იმერხევში რუსეთის ჯარი არ შემოვიდა. ზოგჯერ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც კი იძულებული იყვნენ ელიარებიანთ, რომ აჭარლების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია სახელმწიფოებრივი უგუნურება და პოლიტიკური პროვოკაციაა. მაგალითად, რუსეთის არმიის ერთ-ერთი გენერალი თავის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ ბოროტი ძალები, ნაძირალა ელემენტები, რომლებმაც ომის პირველ თვეებში თავი მაღლა ასწიეს, ყოველმხრივ ცდილობდნენ წაექეზებინათ რუსეთის ჯარები ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. გენერლის სიტყვებით, ყოველივე ეს ხდებოდა ისე მოხერხებულად, დამნაშავენი დაუსჯელი რჩებოდნენ. ეს წაქეზება-წასისინება კი ძვირად დაუჯდა აჭარასა და მის მოსახლეობას. ქართველ მაჰმადიანებს სერიოზული საფრთხე დაემუქრათ. მათ დასაცავად მთელი საქართველო აღსდგა. მაჰმადიან ქართველთა დაცვის საქმეში დიდია ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა და მისი, ქუთაისისა და ბათუმის, განყოფილებების დამსახურება.

1915-1916 წლებში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფი-



ლების ყურადღების ცენტრში იდგა სამართალში მიცემულ აქარელთა დაცვის საკმის ორგანიზაცია. განყოფილებამ საზოგადოების მთავარ გამგეობასთან ერთად შეადგინა ვრცელი მოხსენება აქარელთა მდგომარეობისა და მათი თითქოსდა „ღალატის შესახებ“. ეს მოხსენება წარედგინა მთავრობას და გადაეცა პროგრესულ უურნალ-გაზეთების რედაქციებს, რათა რუსეთის ფართო საზოგადოება გაცნობოდა. მართალია, გამგეობამ უარყო „ღალატის“ ბრალდება აქარის მთელი მოსახლეობისადმი, რაც ქართული მოწინავე საზოგადოებრიობის სერიოზული გამარჯვება იყო.

პირველმა სასამართლო პროცესებმა დაადასტურეს, რომ საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა პროცესის იურიდიულ მხარეს, რათა სასჯელისაგან დაეცვათ უდანაშაულონი და ამასთან ერთად ხელი შეეწყობა მაჰმადიანი და ქრისტიანი მოსახლეობის დაახლოებისათვის.

მთავარი გამგეობის მითითების შესაბამისად ქუთაისის განყოფილებამ შექმნა ადვოკატთა მუდმივი ბიურო, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა „აქარელთა პროცესებში“. ვარდა ამისა, შეიქმნა იურიდიული კომისიები, რომელშიაც შედიოდნენ თბილისის, ქუთაისის და ბათუმის გამოჩენილი იურისტები. აქარელთა დაცვის საქმეს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდეს თბილისიდან: ი. მაჭავარიანმა, შ. მესხიშვილმა, პ. გედევანიშვილმა, ი. ბარათაშვილმა, ი. კახუხაშვილმა, ბ. ანდრეევმა, ნ. ქარცივაძემ, ს. ჯაფარიძემ, ი. გუნცაძემ და ბ. ტატიშვილმა; ქუთაისიდან: მ. ფაღვამ, ალ. საყვარელიძემ, ი. გეგეჭკორმა, გ. გიორგაძემ, გ. ლალიძემ და ი. ფირცხალაიშვილმა; ბათუმიდან: გ. ანჯაფარიძემ, ა. გუატმა, ფუქსმა, სახნოვსკიმ და სხვ.

აქარელთა პროცესებს დიდი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. „არ არის აქარაში არც ერთი კუთხე, არც ერთი კუნჭული, რომ ლოცვა-კურთხევით არ იხსენიებდეს ქართველებს მათი მზრუნველობისათვის. ამ დიდმა ჭირმა აგვიხილა თვალი და დაგვიბტკიცა, რომ ქართველები ნამდვილი ჩვენი ძმები ყოფილან, უბედურებაში მოგვხედეს და დაგვიფარესო“, — ნათქვამია ქართული საქველმოქმედო საზოგადოების 1915 წლის ანგარიშში. ხოლო გაზ. „საქართველო“ აღნიშნავდა: „ძაფი ჩვენ და ქართველ მაჰმადიანებს შორის უკვე გაბმულია, რასაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს“.



უსცოვლების თვალთ დანახული აჭარა

წერილი II

ქართველი ხალხის დიდი მეგობარი გერმანელი არტურ ლაისტი პირველად ბათუმში 1884 წელს ჩამოვიდა; მან ევროპელ მკითხველებს კეთილსინდისიერად გააცნო ეს მხარე, მისი მცხოვრებლები, შეწუხდა მათი ავბედობის გამო, შეუქო მიწა-წყალი და ბუნება, უსურვა ბედნიერება.

ისტორიულ-მხატვრულ ნარკვევ „საქართველოს“ ერთ-ერთ თავში, რომელსაც „კოლხეთი“ ჰქვია, ლაისტი მეტწილად აჭარასა და მის დედაქალაქ ბათუმს აღწერს, მოხიბლულია ჩვენი მიწის, ბუნებისა და ხალხის მშვენიერებით.

ბათუმი ერთი საუკეთესო ნავსადგურია შავ ზღვაზე. აქ გაცხოველებული საქმიანობაა გაჩაღებული, ევროპელები ბევრნი არიან და მომეტებულად ნავთით ვაჭრობენ. ბათუმის მთელი დიდება ნავთია, ამიტომაც აქ სულ მასზე ლაპარაკობენ.

შემდეგ ვკითხულობთ: ბათუმის ედემი ქობულეთიდან იწყება. დასავლეთ საქართველოს ამშვენებს შავი ზღვა, მაგრამ არსად მისი ნაპირი არ შვენიის ისე, როგორც ბათუმის მხარეს. აქ ზღვა ამშვენებს დედამიწას და დედამიწა — ზღვას. თუმცა ქართულ პოეზიასა და ხელოვნებაში ზღვას ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი.

საქართველოს ბუნება უბადლოა მსოფლიოში, იგი ეკუთვნის უმშვენიერეს ქვეყანათა რიცხვს და წარმოადგენს დაუშრეტელ წყაროს როგორც ხელოვნების, ისე მეცნიერებისათვის.

ვინც ევროპიდან პირველად ბათუმში ჩამოვა, შექველად იფიქრებს, სამოთხეში მოვხვდითო, შავი ზღვის სანაპირო საოცრებაა, იგი დამშვენებულია მთებითა და ნაირნაირი მცენარეებით, მზე თვალებს ჭრის, ფერები მუსიკალურ სიმფონიას ქმნიან. ბათუმის მიდამოები ტროპიკულია, საქართველოში ეს ერთადერთი კუთხეა ასეთი...

ვისაც არ უნახავს ბათუმი, აჭარა ზამთრის სევდიან დღეებში, ვისაც არ უნახავს მუქი კვიპაროსები, ასეთ ბნელ ამინდში, მას არ უნახავს და არ იცის, რა არის ბუნების მწუხარება.

ძალიან სშირად, — წერს ლაისტი, — ბათუმში, ჩაქვსა და ქობულეთში პალმებისა და კვიპაროსების ჩრდილში მსმენია ტალღათა სიმღერა, მთიანი აჭარის მედიდური მთები სვეტებად არიან აწილული ლურჯ ცაზე. ზაფხულობით, როცა მთელი კვირაობით ანათებს მზე აჭაურობას, ტალღები მშვიდ და წყნარ ჰანგებზე მღერაინ სულიერი სიმშვიდის სიმფონიას, რომელიც აწყნარებს ადამიანის აღელვებულ სულს და შეჰყავს იგი უხილავ ცისე-სიმაგრეში, მანინჯაურსა და ჩაქვში სშირად დავეძებდი მყუდროებას და ვბოულობდი კიდევ.

ჩანახატში „გაზაფხული ზღვის ნაპირზე“ კი ნათქვამია, რომ წვიმების შემდეგ კვლავ გამოჩნდება ოქროს მზე და თავის ბრწყინვალეობას მოაბნევს ცას, ზღვას, ბაღებს, ქალაქებსა და მთებს, მთელი აჭარა მალე გადაიქცევა ზღაპრულ მხარედ. აყვავდება მიწა, ყველგან დაგატკბობთ ფრინველთ ჭიკჭიკი, სიცოცხლის ძალა.

ჩვენი წინაპრებისადმი უღრმესი პატივისცემის გრძნობით, ქართველთა კიდევ უფრო დაახლოების სურვილით არის გამსჭვალული ნარკვევი „აბდული“. მისი შინაარ-

სი ასეთია: აბდულის ბაბუას ისლამი მიაღებინეს, მაგრამ ოჯახში მაინც ქართული აღათ-წესები და ენა ბატონობდა. აბდულის მამაც გამოცდილი მეზღვაური ყოფილა, იგი სანდალის ტიპის ნავით ხშირად დადიოდა ტრაპიზონსა და თურქეთის სხვა ნავსადგურში, სადაც სიმინდის ფქვილი გადაჰქონდათ სარეალიზაციოდ, უკან კი მარსელის აგური მოჰქონდათ, ზურგქარის ჩადგომისას სვლა ძნელდებოდა, მაგრამ ღონიერი და მოხერხებული აბდული სწორედ მაშინ ავლენდა მეტ ნებისყოფას და ამით მამას შრომას უადვილებდა.

ერთხელ აბდული ბათუმში გაეცნო იმერელი მეზალის ქალიშვილს კატოს და კიდევაც დამეგობრდნენ, მარადიული სიყვარული შეჰფიცეს ერთმანეთს, სარძლო მამას რატომღაც არ მოეწონა.

ბოლო მგზავრობისას დასავლეთიდან შავი ღრუბლები ამოიზიდნენ, ცა მოიქუფრა, მაშინ მამა-შვილს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: „რად გინდა შვილო, მაინც-დამაინც იმერელი ქალი შეირთო და არა აქარელი?“

— იმიტომ, რომ მომწონს, — უპასუხა შვილმა.

— კი, მაგრამ შენ ხომ შეგეძლო მოგენახა აჭარელი და ასევე მოგწონებოდა, —
უთხრა მამამ.

— მართალია, მე არ მიძებნია, — თქვა შვილმა, — მაგრამ ბავშვობა მათ შორის გავატარე და უკეთ შევიგნე, რომ ჩვენ ისეთივე ქართველები ვართ, როგორც ისინი, თურქებმა მოგვწყვიტეს ჩვენს თანამემამულეებს და ამიტომაც სხვა გზას დავადექით. მინდა კვლავ დავუბრუნდე ჩვენს საერთო სამშობლოს, კატოს შეუძლია დამაკავშიროს მასთან“.

მამა-შვილის საუბარი ამით დამთავრდა.

შემოდგომამ მოატანა, ნაოსნობა გაქირდა. ერთხელ ზღვაზე ამინდი მოულოდნელად შეიცვალა. მეზღვაურებმა ნიჩბები მოიმარჯვეს და კოროხს მიაღწიეს, მაგრამ ადიდებულ მდინარეს ქარიც დაერთო და ტალღებმა ნავი ნაფოტივით აათამაშეს. შეშფოთებულმა მამამ საჭე შვილს გადასცა. სტიქია ყოველ წუთს დაღუპვას უქადდა მათ. აბღული ისე მოხერხებულად მართავდა საჭეს, რომ სანდალს მოახლოებული ტალღა აწავთებულ წყალს ეცემოდა ღრიალით, ნავი კი მაღლა აიწევდა და შემდეგ წინ გაჰქანდებოდა.

აბღულის ძალ-ღონემ და გამჭრიახობამ თავისი გაიტანა. როგორც იქნა ბათუმს მოაღწენ.

— შენ გადამარჩინე, შვილო! — შეაქო შვილი მამამ. შემდეგ კი დაუმატა: თუ შენ უსათუოდ გსურს კატოს შერთვა, მოიყვანე ჩვენს ოჯახში, ღმერთმა გიბედნიეროს...

1944 წელს აჭარის მშრომელებმა საზეიმო საღამო გაუმართეს გალაკტიონ ტაბიძეს. მაშინ დიდმა მგოსანმა გულთბილად ილაპარაკა აჭარასა და მის მცხოვრებლებზე. აღსანიშნავია, რომ მან მთლიანად მოიყვანა ა. ლაისტის რამდენიმე ის ნაწყვეტი, რომლებიც ჩვენ ახლა გაგაცნით.

იმ უცხოელებიდან, რომლებიც ამ საუკუნის დასაწყისში მოიხიბლნენ აჭარით, აღსანიშნავია ფრანგი მოგზაური ელჟარდ ლიოზენი. მან 1904 წელს მოიარა ეს მხარე და რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა. ერთ-ერთი მათგანი ძირითადად დღევანდელი ხელვაჩაურის რაიონის ჭოროხსგაღმა უბანს ეხება.

ლიოზენიც ადასტურებს, რომ გონიოს კოშკებიანი ოთხკუთხა ციხის ალაყაფის კარებს ეკეთა ლითონის დაფა ქართული წარწერით. იგი ოსმალებს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს გაუტაცნიათ.

სოფელ სარფში დასკრეული ეკლესიის კედელზე ამოკითხა წარწერა: „იესო“.



ამ ნაგებობას იგი მე-11-12 საუკუნეებში აგებულად მიიჩნევენ, ხოლო თვით სოფელში
 ზე ამბობს, რომ ლაზისტანი აქ თავდება, ადრე კი საზღვარი უფრო სამხრეთში, აქ
 ზეში გადიოდაო. ამასვე წერენ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, პროფესორი ნიკო-
 ლაშ ალანტი და სხვები.

მოგზაური აქვე შენიშნავს, რომ ქ. ბორჩხადან ზღვამდე მხოლოდ აჭარლები
 ცხოვრობენ, რაც მას რუსმა ისტორიკოსებმა და აქ მოსამსახურე ოფიცრებმაც დაუ-
 დასტურეს.

— აჭარლები სტუმართმოყვარე და საუკეთესო მიწათმოქმედნი არიან. სამხრეთ-
 დასავლეთ ქართველებს შორის ახლა მხოლოდ ისინი ლაპარაკობდნენ მშობლიურ
 ქართულ ენაზე: ხულოში, ქედასა და მაქანელში სკოლები გახსნეს, მაგრამ მეფის
 ხელისუფალნი ბავშვებს მშობლიურ ენაზე სწავლას არ ანებებდნენ. აკრძალული
 აქვთ ქართულად წერა და კითხვა. საქიროა ხალხში ქართული წიგნების შეტანა. ისი-
 ნი ჩაუნერგავენ აჭარლებს იმის საწინააღმდეგოს, რასაც ხოჯა-მოღები უჩიჩინებენ. თუ-
 მცა თურქულის სწავლება ნებადართულია, მაგრამ ვაი ასეთ სწავლას, ხუთი წლის
 შემდეგაც ბავშვებს არ შეუძლიათ კითხვა. ამას კი ისიც განაპირობებს, რომ მომხდუ-
 რთა ენა მოსახლეობას არ იზიდავს, სწავლების საქმე გამოსწორდება იმ შემთხვევაში,
 თუ ნაწილობრივ მაინც პატარებს იმ ენაზე ასწავლიან, რა ენაც იციან და რომლი-
 თაც საუბრობენ ერთმანეთში, ე. ი. ქართულზე...

საცხოვრებელ სახლებს საძირკველი ქვისა ჰქონდა, ხურავდნენ კრამიტით. ორსარ-
 თულიან სახლებს გარეთა კიბე აერთიანებდა. სოფლებში იყო სამქედლო და ფურ-
 ნე. ისინი ბაზრის ახლოს მოეწყობო, მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მეციტრუსეობას, მე-
 თევზეობასა და ნაოსნობას. ბათუმში, კავკასია-ყირიმისა და თურქეთის ნავსადგუ-
 რებში გაჰქონდათ ბრინჯი, ფორთოხალი, ვაშლი, ხურმა, დელფინის ზეთი, თევზი, რომ-
 ლის ფუთი 2-3 მანეთად ფასობდა. ფორთოხლის ბალები გაუჩანავებია 1878 წლის
 არაჩვეულებრივ ყინვასა და ომს. მოსახლეობას საგრძნობ ზიანს აყენებდა აგრეთვე
 სხვადასხვა დაავადებანი, რომელთა წინააღმდეგ არ წარმოებდა სისტემატური ბრძო-
 ლა. ათასი ცალი ფორთოხლის ფასი 10-25 მანეთის ფარგლებში მერყეობდა, ასე
 რომ, ლიოზენიც ცხადყოფს მეციტრუსეობის არსებობას აჭარაში დედამშობლო სა-
 ქართველოსთან შეერთებამდე ანუ რუსეთის იმპერიაში შესვლამდე.

ქოროხგაღმა სოფლებში ექიმი საერთოდ არ იყო, თუმცა ბავშვებს მუსრს ავლე-
 ბდა ლიფტერიტი და ხუნაგი. ავადმყოფებს მხოლოდ ხოჯა-მოღები და მკითხავეები
 „მკურნალობდნენ“. სიღარიბის გამო ზოგჯერ ახალგაზრდები იძულებული იყვნენ
 საცოლვე მოეტაცნათ. მიწას მეპატრონეები იჯარით აძლევდნენ. დათვის, ტახისა და
 სხვა გარეული ცხოველების დასაფრთხილებად და სავარგულებიდან გასარეკად იყენებ-
 დნენ ხელოვნურ ზარს, რომელიც მოძრაობაში ნიავსა და ქარს მოჰყავდა.

ე. ლიოზენი განცვიფრებული დარჩა აჭარლების ზნე-ჩვეულებებით, სხვა ხალ-
 ხის წარმომადგენლებთან კარგი დამოკიდებულებით, სამაგალითო პატიოსნებით.

აჭარელთა სიღატაკესა და უუფლებობას, მათ კაცთმოყვარეობას, მაღალ ადამია-
 ნურ თვისებებს ხაზს უსვამენ სხვა ავტორებიც, კერძოდ, ნობელის პრემიის ლაურეა-
 ტი, ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი. იგი 1910 წელს თბილისიდან ჩამოვიდა ბა-
 თუმში. მომდევნო წელს გამოაქვეყნა წიგნი „ზღაპრულ ქვეყანაში“. ესაა კავკა-
 სიაში, კერძოდ, საქართველოში ნახულისა და განცდილის ანარეკლი. კავკასიელები
 ლამაზი ხალხია, მშვენიერი ტანსაცმელი აქვთ, ბუნებაც მომაჯადოებელია, ეს აღთქმუ-
 ლი ქვეყანაა, კაცობრიობის აკვანი აქაც ლაირწა, აქაურებმა გაუძლეს უამრავ
 ბრძოლასა და ახლაც ძლიერნი არიან, ბათუმი სამხრეთ ამერიკას მოგაგონებთ, აქაც
 საზეიმოდ გამოწყობილნი გამოდიან საზოგადოებრივ აღგილებში, მაგრამ „აჭარლე-

ბი გაჭირვებულად ცხოვრობენ, მათ არა აქვთ არც ადამიანური უფლებები, არც სმის უფლება და არც წოდებათა საკრებულო“.

ჰამსუნის ციებ-ცხელებამ ავად გახადა, ამიტომაც მთელი აქარა ვერ მოინარა. იგი სინანულით დასძენს, რომ „არ მინახავს აქაური ტყეები, არც საცხოვრებელი სახლები. მალე ჩვენ დავტოვებთ ამ მხარეს, მაგრამ მე ყოველთვის ვიღარდებ მასზე, ყოველთვის ვისწრაფვი აქითკენ“.

ასევე ნორვეგიელი და ნობელის პრემიის ლაურეატია ცნობილი მეცნიერი-გეოგრაფი ფრიტიოფ ნანსენი. საბჭოთა კავშირში მესამედ ჩამოსვლის დროს, 1925 წლის ზაფხულში, მან აქარაც მოინახულა.

ნავსადგურში ნანსენს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. ეს სტუმრობა კეთილშობილურ მისიასთან იყო დაკავშირებული. ერთ თანმხლებ ინჟინერს ჯიბიდან ამოუღია 1924 წელს ლონდონში გამოქვეყნებული ამიერკავკასიის გზამკვლევი, რათა ამოეკითხა ცნობები აქარაზე. ეს მეცნიერს დაუნახავს, მასთან მისულა, წიგნი გამოურთმევია და უთქვამს: რა საჭიროა ახლა ეს გზამკვლევი, რატომ უნდა უყურო ყოველივეს მრუდე სარკით, მაშინ, როცა ჩვენს წინაშე თვით ორიგინალი არისო. ნანსენი მიიღეს აქარის ზეღმძღვანელებმა, ესაუბრნენ მას სოციალისტური მშენებლობის პირველ წარმატებებსა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე. ნანსენი ბოტანიკურ ბაღს ეწვია და ინტერესითაც დაათვალიერა, ყველაზე მეტად იაპონიის განყოფილება მოსწონებია: „მე მაკვირვებს და მახარებს ადამიანები, რომლებმაც შეძლეს დაეგროვებინათ ამდენი ცოდნა და გამოემუღავნებინათ ამდენი მოთმენა, რათა თავისუფლად გარდაექმნათ ბუნება“, — უთქვამს მას.

ნორვეგიელი ხალხის კიდევ ერთი სახელოვანი შვილი, ჩვენი სტუმარი ტურ ჰეიერდალი უნდა მოგაგონოთ, იგი ორჯერ იყო აქარაში, 1962 წლის მაისში ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანს ეწვია. გაზეთ „საბჭოთა აქარის“ კორესპონდენტს განუცხადა: „მოხიბლული დავრჩი თქვენი რესპუბლიკით, კერძოდ, ბათუმის სილამაზით, საბჭოთა ადამიანების სტუმართმოყვარეობითა და ბედნიერი ვარ, რომ ყველა ჩემი მოლოდინი გამართლდა, უზომოდ მაღლობელი ვარ იმ კოლმეურნეებისა, რომლებმაც შემომთავაზეს მშვენიერი სუფრა და იშვიათი მასპინძლობა გამიწიეს, ყოველივე ამას მე არასოდეს დავივიწყებ“.

გამოჩენილი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, თურქი ხალხის საუკეთესო შვილი ნაზიმ ჰიქმეთი პირველად 1921 წლის თებერვალში მოხვდა აქარაში, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთი თვით ადრე.

იგი ბათუმის რეგკომში გულთბილად მიიღეს და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მოსკოვის უნივერსიტეტში სასწავლებლად მოამზადეს, ამასთან გააცნეს ქალაქი, გარეუბნები, შეუქმნეს წარმოდგენა საბჭოთა ხელისუფლებასა და სახელმწიფოს სოციალისტურ წყობაზე, კომუნისტების საქმიანობასა და სწრაფვაზე. სხვათა შორის, ყმა-წვლი კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს, დანიშნეს მოსკოვის პროფკავშირული გაზეთის კორესპონდენტად.

ამიტომ იყო, რომ მოგვიანებით ნ. ჰიქმეთმა გამოაქვეყნა ლექსი „ჩემი ლამაზი 19 წელი“, რომელშიც გამოხატა ქართულ მიწაზე მიღებული შთაბეჭდილებანი. ისინი უფრო გამოკვეთა შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვებსა და გაზეთებში გამოქვეყნებულ მოგონებებში. შემოკლებით მოგვყავს ზოგიერთი მათგანი: „ჩემი ცხოვრების ბევრი და ამასთან მნიშვნელოვანი მომენტი დაკავშირებულია ბათუმთან. იგი ჩემთვის წარმოადგენს ახალ სამყაროს კარს, ბედნიერ, საუცხოო კარს. ბათუმი მომზიბვლელია,

ქადრაკისებურადაა განლაგებული. დადგები ქუჩის თავში და მის ბოლომდე ხედავ
ყველაფერს...

მე სულ ბათუმი მაგონდება, სადაც ვისმენდი პირველ ლექციებს საბჭოთა ქვე-
ყანაზე. მის ქუჩებში პირველად დავინახე ხალხთა დამცველი წითელი არმია, აქ პირ-
ველად გავიცანი საბჭოთა ადამიანებს. გულითადი სალამი ბათუმსა და ბათუმელებს.
ახალ შეხვედრამდე, ჩემო ბათუმო — საბჭოთა მიწის გუშაგო სამხრეთში!..

ბათუმი, აქარა პირველი რევოლუციური ქალაქია, პირველი საბჭოთა რესპუბლი-
კაა, რომელიც მე ვნახე. პირველი გლეხი და მუშა აქ გავიცანი, პირველ ბოლშევიკს
აქ ჩამოვართვი ხელი. პირველად აქ გავიგე, თუ რას ნიშნავს ხალხთა ბრძოლა. მარქ-
სიზმის პირველი გაკვეთილი ბათუმის კედლებზე გაკრული აფიშებისაგან გავიგე, ნუ
გამიმტყუნებთ, რომ ბათუმს ლექსი ვერ ვუძღვენი, მართალი გითხრათ, ცალკე ლექსი
არც სტამბოლზე დამიწერია. ეს ორი ქალაქი მე ისე მიყვარს, რომ მუდამ, როცა
კალამს ავიღებ, რათა რაიმე დავწერო მათზე, ყოველივე მოფიქრებული სტრიქონი ამ
სიყვარულისათვის შეუღარებლად მეჩვენება, ამიტომ კალამს უკანვე გადავდებ...

მე კარგად მესმის შენი, ძვირფასო და ლამაზო მეგობარო. შენ მართლაც ლამაზი
ხარ — დამიჯერე. მე ბევრი ვიმოგზაურე მსოფლიოში, კარგად ვიცი, აღმოსავლეთი
და თამამად შემოძლია ვთქვა, რომ აქ არც ისე ბევრია ქალაქები, რომლებსაც შეუძ-
ლიათ გაგისწორდნენ შენ. დაე, აყვავდი, ბედნიერო. ბათუმო, დიადი სოციალისტუ-
რი სამშობლოს გაზაფხულის მზის ქვეშ.

სოფელ ურეხშიც მიუწვევიათ... თურქეთის სოფელში სტუმრების გამოჩენისთანავე
ყველა იმალება, აქ კი გულთბილად დაგვხვდნენ და სახლებშიც მიგვიწვიეს. აღსანიშ-
ნავია, რომ სოფლის თავკაცები ადგილობრივი გლეხები და მათი შვილები იყვნენო.

ნ. ჰიქმეთს მესამეჯერ აქარა 1955 წელს მასპინძლობდა. ამჯერად თქვა, რომ წვი-
მები ჭიუტ წვიმებად დარჩა, ფეოდალურმა მხარემ კი მართლაც ისტორიული ნახ-
ტომი გააკეთა, ყველაფერს სიახლე ეტყობა.

პოეტის ლექსების კრებული, თავისივე წინასიტყვაობით, ბათუმშიც გამოიცა,
აქვე დაიდგა ნ. ჰიქმეთის პიესა „ლეგენდა სიყვარულზე“.

1927 წლის ოქტომბერში აქარა მოიარა ფრანგი ხალხის სახელოვანმა შვილმა,
მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ანრი ბარბიუსმა. მაშინ ჯერ კიდევ ნაკლები იყო
სკოლები, კლუბები, ქარხნები, თუმცა ახალი ცხოვრების მაჯისცემა მძლავრად იგრძნო-
ბოდა, მწერალმა სწორედ ის დაინახა, რაც ძირფესვიანად ცვლიდა ძველს, ამსხვრევდა
დრომოჭმულს, ძალმომრეობით დაკანონებულს, დაინახა ის ძვრები, რომელსაც საამური
ცხოვრება შემოჰქონდა მხარეში. აქითკენ იმიტომაც გამოსწია, რომ სურდა საკადრი-
სი პასუხი გაეცა საბჭოთა კავშირის მტრებისათვის, რომლებიც გაჰკიოდნენ, რომ ქარ-
თველი ხალხი მშიერი იხოცებოდა.

სტუმარი ერთნაირი ხალისით გაეცნო სულოს საავადმყოფოს, ტაბახმელას ხე-
ტუის სახერხ ქარხანას, მოინახულა ბიბლიოთეკები, სკოლები. შემდეგ აქარისწყალს
დაჰყვა და ნახა ყველა სიახლე, კერძოდ, ქედაში აგებული ხიდი, აქარის პირველი
ჰიდროსადგურის მშენებლობა მახუნცეთში. იგი განცვიფრებული იყო სხვადასხვა ერო-
ვნების წარმომადგენელთა მეგობრობით, მათი თავდადებული შრომით, არავინ არ
წუწუნებდა სიძნელების გამო, ყველას სწამდა მომავლისა.

სტუმარი იყო აგრეთვე მახინჯაურში, ბოტანიკურ ბაღში, მშენებარე ნავთობგადა-
სამუშავებელ ქარხანაში, მაშინ მან საქართველოს სხვა კუთხეებიც შემოიარა და დაწე-
რა წიგნი: „აი, რა უყვეს საქართველოს“, რომელიც 1930 წელს თბილისშიც გამოქვე-
ყნდა ქართულ ენაზე. წიგნში უხვადაა ცნობები აქარის შესახებ. „ახლო წარსულში აქ
დიდი გაჭირვება და უბედურება სუფევდა, თანაც განუწყვეტელი ომები წარმოებდა...

აკმაო იყო რამდენიმე წელი მსოფლიო ომისა, რათა ეს ქვეყანა ისე განადგურებულიყო, რომ კეთილგონიერ ადამიანს ყოველივე საბოლოო ჰგონებოდა. თუმცა აქაურ კლესს რალა ზედმეტი შევიწროვება ესაჭიროებოდა, იგი ერთი უბადრუკი და ლატაკი ვინმე იყო. აქ მოსახლეობა უფრო მეტ ჩაგვრას განიცდიდა, ვიდრე სხვაგან. მას უფლება ჰქონდა მხოლოდ გასამართლებულიყო. ისე ეპყრობოდნენ, როგორც დამარცხებულთ. მეფის თვითმპყრობელობის დროს აქარის სოფელში არცერთი სკოლა არ არსებობდაო.

შემდეგ მოთხრობილია იმაზე, თუ რა გაკეთდა მხარეში საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ასევე საინტერესოა მწერლის სხვა ცნობები ჩვენს მხარეზე. მისი სსოვნის აღსანიშნავად ბათუმის ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს.

დიდი ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი რაბინდრანატ თაგორი, 1930 წლის სექტემბერში გვეწვია, რათა ენახა თუ რა ხდებოდა საბჭოეთის განაპირა რესპუბლიკებში, იგი განცვიფრებული დარჩა კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მრეწველობისა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებით. თაგორმა თქვა, რომ ახალ წამოწყებათა ასეთი გრანდიოზულობა, ადამიანთა უსაზღვრო ენერგია ჩვენ არც კი დაგვსიზმრებიაო. აქ ჩამოსვლამდე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ყოველივე ეს შესაძლებელი იქნებოდა.

ოთხი წლის შემდეგ, 1934 წლის ივლისში, აქარას გაეცნო თაგორის თანამემამულე, ინდოეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ინგლისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი შახპურჯი სახლათვალა. იგი 1934 წლის 10 აგვისტოს სიტყვით გამოვიდა აქარის პარტაქტივის კრებაზე, რომელსაც გ. დიმიტროვიც ესწრებოდა.

ბულგარელი ხალხის დიდი შვილი გიორგი დიმიტროვი გემით მოადგა ბათუმს. მას ახლდა დედა და პირადი მდივანი. საზეიმო შეხვედრის შემდეგ მწვანე კონცხის დასასვენებელ სახლში მიაცილეს. მიუხედავად დაღლილობისა, ძვირფასმა სტუმარმა აქარის გაცნობა სახვალიოდ არ გადასდო და დაბა ჩაქვს ეწვია, სადაც ჩაის ფაბრიკაც მოინახულა. აქ მან შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ჩაის ფაბრიკის დათვალიერება ჭეშმარიტ სიამოვნებასა და კმაყოფილებას იწვევს... გისურვებთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს საბჭოთა ჩაისათვის ბრძოლაში“.

გ. დიმიტროვი გაეცნო აგრეთვე ვ. ი. ლენინის ჩაის საბჭოთა მეურნეობას — სამშულო ჩაის სამშობლოს, დაათვალიერა ბოტანიკური ბაღი, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. საღამოს დაესწრო გრანდიოზულ მიტინგს, რომელიც მის საპატივცემულოდ ზღვისპირა პარკში გაიმართა, აქ ილაპარაკა ლაიპციგის პროცესზე, ფაშიზმის საშიშროებაზე, კომუნისტების ურღვევ ძალასა და ავტორიტეტზე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მეორე დღეს გ. დიმიტროვმა დაწერა მიმართვა აქარის მშრომელებისადმი, ამასთან სიტყვით გამოვიდა მუშათა ცენტრალურ კლუბში ლენინის ქუჩაზე (ახლა პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სახლი). აღინიშნა, რომ საქართველოს ეს კუთხე მდიდარია რევოლუციური წარსულით. მისი მოსახლეობა გაბედულად ებრძოდა თურქ დამპყრობლებს, მეფის სატრაპებს, ინგლისელ კოლონიზატორებსა და მენშევიკებს. მაშინ აქარლები სილატაკეში, უმეცრებასა და დამცირებაში სულს დაფავდნენ, ახლა ბედნიერები არიან და უკეთესი მერმისისათვის იბრძვიან, საქირთა აღინიშნოს ის მაღალი საფეხური, რომელზედაც აქარელი ქალი ავიდა. მე ვნახე ისინი მასწავლებლებად, ექიმებად, მსურს ხაზი გავუსვა აგრეთვე ახალგაზრდების მაღალ აქტივობას“.



აქარის მშრომელებისადმი მისაღმებაში ვკითხულობთ: „თუმცა აქარის რესპუბლიკა არ არის დიდი, მაგრამ მას უდიდესი ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს. აქარა ავანპოსტია სამხრეთში, აღმოსავლეთისა და ბალკანეთის მშრომელებისათვის წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ არის შესაძლებელი პატრიარქალურ-ფეოდალური ჩამორჩენილობიდან სოციალიზმის ფორმებზე გადასვლა. აქარა წარმოადგენს იმის ცოცხალ მაგალითს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროსაა შესაძლებელი ნამდვილი ეროვნული თვითგამორკვევა და თავისუფლება. იგი უჩვენებს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებს, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებათა ძმური თანამშრომლობა და მათი საერთო მუშაობა ახალი კულტურული და ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად...“

გვჯერა, რომ ახლო მომავალში ჩვენ მივალწევთ იმას, რომ ბულგარეთი, რომელიც ისე, როგორც აქარა, ზღვისპირას მდებარეობს, საბჭოთა რესპუბლიკა გახდება და შავი ზღვა გადაიქცევა უახლოეს გზად ამ ორ თავისუფალ რესპუბლიკას შორის.

დღეს ეს ზღვა მართლაც უახლოესი გზაა ბულგარეთსა და საქართველოს შორის. სწორედ გ. დიმიტროვის სტუმრობამ, ორი ხალხის ისტორიულმა ბედმაც განაპირობა ის, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგსა და აქარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის ურღვევი მეგობრობა დამყარდა.

აქარის მშრომელები არასოდეს დაივიწყებენ გ. დიმიტროვს, ამას ისიც ცხადყოფს, რომ ბათუმის 24-ე საშუალო სკოლა მის სახელს ატარებს, ყოფილ მუშათა ცენტრალურ სახლს ამშვენებს მემორიალური დაფა. გაზეთებსა და წიგნებში ქვეყნდება ფოტოსურათები და წერილები, რომლებიც აქარაში ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილის სტუმრობაზე მოგვითხრობენ.

საქართველოს ეს კუთხე მისმა სტუმრებმა თავიანთ ნაწარმოებებშიც ასახეს. ჩეხი მწერალი ქალი მარია პუიშანოვა, რომელიც სამამულო ომის წინ ისვენებდა აქარაში, ტრილოგიის წერას შეუდგა. ამ წიგნის მესამე ნაწილის — „სიცოცხლე სიკვდილის წინააღმდეგ“ მოქმედება სწორედ აქარაში ხდება. ეს წიგნი მესამეჯერ 1960 წელს გამოიცა მოსკოვში.

ომის შემდეგდროინდელი სტუმრებიდან აღსანიშნავია რუმინელი მწერალი ვიქტორ კერნახი, რომელიც 1957 წლის ივლისში იყო საქართველოში. მოინახულა ქობულეთის რაიონი, ბათუმის ღირსშესანიშნავი ადგილები, შეხვდა აქაურ კოლეგებს, გამოაქვეყნა ლექსები „ბათუმი“ და „განშორება“, მათში ამბობს, რომ ორი გრძნობა იბრძვის ჩემში: გავცურო მინდა შავი ზღვის მეორე მხარეზე მდებარე ქალაქ კონსტანცაში და აქაც მსურს ვიყო. ნარკვევების კრებულში „მყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანაში“ ამბობს, რომ ვწერ იმას, რაც ვნახე, ეს წიგნი გამსჭვალულია ქართველი ხალხის ქეშპარიტი სიყვარულითა და გულწრფელობით.

შემდეგ გ. კერნახის წიგნში ვკითხულობთ: „მთელი აქარა ქართველებითაა დასახლებული და საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მისი თავისებურება მცენარეულობის მრავალფეროვნებით იწყება. აქ ბევრია ყვავილები, ბოტანიკურ ბაღს 1.118 ჰექტარი უჭირავს და „ნაციონალურ უბნებადაა“ დაყოფილი. ბაღი მთელი დედამიწის ფლორას იტევს... მარადისობა აქ თვით ბუნების კუთვნილებაა და ამიტომ ის ნამდვილ მარადისობად უნდა იწამო. დელიკატურად მოქცეულა შავი ზღვა ბათუმის სანაპიროზე, მას ბოლოს და ბოლოს უგრძნია, რომ ამ ადგილს პარკი მოუხდებოდა. ამდგარა და უყოყმანოდ უკან დაუხევია, რათა შრომისმოყვარე და გამრჯეადამიანებისათვის მშვენიერი პარკის გაშენების საშუალება მიეცა.

ბათუმის ქუჩებში და ზღვის ნაპირზე, ვინ მოთვლის, ეს მერამდენედ დავაბიჯებდი თავს დამნათლად აქარის თბილი მზე, რომელიც პარმონიულად ერწყმის ქართულ

გულის სითბოს... ვიყავი წიგნის მაღაზიებში, მუზეუმებშიც, სადაც პერგამენტს
ვფურცლავდი. ველარ ვშორდებოდი სიცოცხლის სიხარულით აღსავსე გონებაგახსნილ,
მოლაპარაკე ქართველებს, რომლებმაც ასგზით მეტი იციან თანამედროვე ევროპის
ქვეყნებზე, ვიდრე ევროპამ მათ შესახებ.

თუ აჭარის ბუნების მიხედვით ვიმსჯელებთ და მის მუდმივ გაზაფხულს მოვიგო-
ნებთ, ძნელი არ იქნება მიხედვით, რომ აქ პოეტი წლის ყოველ დროს შთაგონების
კოცონზე იწვის... აჭარის დედაქალაქში რამდენიმე დღის ყოფნის შემდეგ მე ვიგრ-
ძენი, რომ გაბალგაზრდავდებოდი. ამ გრძნობის ასახსნელად შორს წასვლა როდია სა-
ჭირო. ეს ყვავილები, ეს ბუნება, ეს ადამიანები, რომელთა გვერდით მხოლოდ რამ-
დენიმე დღე გავატარე, ქმნიან სწორედ მარადიული სიცოცხლისა და დაუმტკნარი
ახალგაზრდობის შთაბეჭდილებებს“.

ვ. კერნაზი სიყვარულით აღწერს აგრეთვე სოფელ ბობოყვას, შეხვედრებს ხო-
ციალისტური შრომის გმირ გული ჭინჭარაძესთან, შრომის ვეტერან ხუსეინ მანელიშვი-
ლის ოჯახის წევრებთან.

ბუქარესტში დაბრუნებულმა მწერალმა განაცხადა: „მე დავბრუნდი საქართველო-
დან, თუნდ იქედან დაბრუნებულხარ და თუნდ საშოთხედან. აჭარაში მითხრეს, რომ
იქ არის ყვავილები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ჰყვავიან, მაშ, ასე გამო-
დის, რომ საქართველოს სრული უფლება აქვს თავი მარად მოყვავილე ქვეყანად მიი-
ჩნიოს. განა ეს ასე არ არის?“.

აჭარამ მოხიბლა აგრეთვე გერმანელი, ჩეხოსლოვაკი, უნგრელი, პოლონელი, ფრა-
ნგი, თურქი, ინგლისელი და სხვა მეცნიერები, მწერლები, მკვლევარები და საზოგადო
მოდვაწეები, მათ შორის ჰუგო ჰუბერტი, იოჰანეს ბესერი, პაინც ფენრიხი, იაროშირ
იედლიჩკა, ვაცლავ ჩერნი, მარტონ იშტვანოვიჩი, ლაიოშ ტარდი, ლუბომირ რუბაზი,
ეჟი ზაგურსკი, დავით ლანგი, რენე ლაფონი, ჟორჟ სიმონენი, აზიზ ნესინი და სხვე-
ბი...



მამია პარზანიძე

კაცი, რომელიც უხეიროდ ვიდრე...

პარმენ რურუას დაბადების 100 წლისთავი

რა მალე მიჰქრიან წლები. თითქოს ახლახან წავიდა ჩვენგან პოეტი პარმენ რურუა. არადა, თურმე, უკვე ოცდახუთი წელი გასულა. რა უწყინარი კაცი იყო, რა თავაზიანი და კეთილი! რომელი ერთი ფაქტი გინდა გაიხსენო.

პირველად 1933 წელს მწერალთა კავშირის ჩვენს განყოფილებაში შევხვდი — პარმენ ლორიამ გამაცნო. ისე თბილად ჩამომართვა ხელი, რომ ის სიტბო თითქოს გულშიც შეიქრა და მარად იქ დარჩა. ერთბაშად ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს დიდი ხანია ვიცნობდი და ვმეგობრობდი. გულთბილობა და კეთილშობილება მისი ბუნებრივი თვისება იყო. სანამ ჩვენი ცხოვრებიდან, ჩვენი ურთიერთობიდან ზოგიერთ ეპიზოდს გავიხსენებდე, მანამ პარმენის შესახებ ზოგიერთ ცნობას მივაწოდებ მკითხველს.

დაბადებულია 1888 წლის 14 სექტემბერს, გეგეჰკორის რაიონის სოფელ ბანძაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 12 წლისა განუმწყესებიათ ხელზე მოსამსახურედ მღვდელთან, რათა წერა-კითხვა ესწავლა. ხელმოკლე მამა იონა 1900 წელს გადმოსულა ბათუმში და მუშაობა დაუწყო მანთაშევის ქარხანაში. მალე პარმენიც ჩამოუყვანია და იმავე ქარხანაში მოუწყვია. რაკი მუშაობის მძიმე პირობები ვერ აუტანია, ხელოსნისათვის მიუბარებიათ შეგირდად.

პარმენ რურუას პირველი ლექსი „იმედი“ „ბათუმის გაზეთში“ დაიბეჭდა 1911 წელს პარმენ ოდიშელის ხელწერით. „ვთანამშრომლობდი როგორც ბათუმის, ისევე ქუთაისისა და თბილისის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. წერილებსა და ლექსებს ვბეჭდავდი პ. ოდიშელისა და სხვა ფსევდონიმებით“ — წერს იგი. ავტობიოგრაფიას მინდა კიდევ დავესხსო: „1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით როგორც ომის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელებისათვის შემჩნეულ პირს, ღამით თავს დამესხნენ ჟანდარმები, მაგრამ მე მოვასწარი გამესწრო, წაიღეს ჩემი როგორც დაბეჭდილი, ისე ბევრი დაუბეჭდავი ლექსების ხელნაწერები. ამის შემდეგ თებერვლის რევოლუციამდე არალეგალურ პირობებში მიხლებოდა ცხოვრება“.

სედავთ, ამ უწყინარ კაცს რა ბოხოქარი სული ჰქონია, რომ არ შინებია რევოლუციური, მეტად ფათერაკიანი გზით სიარულისა?!

პარმენი ერთხანს სოფელშია. ბათუმში ჩამოდის 1920 წელს. მოგვიანებით მუშაობას იწყებს ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, 1937 წლიდან კი არის აჭარის გამომცემლობის მუშაკი. მისი პირველი წიგნი დაისტამბა 1937 წელს. ამის შემდეგ, სისტემატურად ქვეყნდება. გაგიჟებით უყვარდა ბავშვები და მათთან ხელმოცარული აღარჩენილა.

გამორჩეულად მიმაჩნია მისი უკანასკნელი წიგნი „წვეთები ზღვაში“, რომელიც თბილისის ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა. ეს პატარა პოეტური კრებული გულ-თან მისატანია იმით, რომ იგი წარმოგვიჩენს ავტორის ფაქიზ, მეტად მგრძნობიარე სულსა და გრძნობას. პარმენს ხომ არც ეხერხებოდა რიტორიკა, მისი პოეტური სიტყვა მისივე გულიდან ამოდებოდა მთის ანკარა წყაროსავით. როგორც იტყვიან, ფუტკარივით წყნარად მუშაობდა და მიჰყვებოდა თავისი ალალი გულის ძახილს. ვერსად უბოვით ყალბ სტრაქონებს, რასაც ამბობდა, წრფელად, უშუალოდ, ალალი გულით ამბობდა.

თავისი უანგარო მოღვაწეობით პ. რურუამ მოიპოვა იმის უფლება, რომ 1958 წლის 8 დეკემბერს მისთვის გადაეხადათ 70 წლის იუბილე.

მის შემოქმედებას მე აქ არ მიმოვიხილავ. მინდა ყურადღება გავამახვილო ამ შემოქმედის პიროვნულ თვისებებზე, რაც ესოდენ დიდი პატივისცემით და სიყვარულით გვმსჭვალავს მისადმი.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი: 1939 წელს გავაცანი ჩემი ლექსების ხელნაწერი კრებული. ლექსები მოეწონა და მირჩია წარმედგინა მწერალთა კავშირში, რადგან მისი დასტურის გარეშე ვერ დაისტამბებოდა. ასეც მოვიქეცი; კრებული პარმენ ლორიას მივუტანე, რომელიც მწერალთა კავშირის განყოფილების მდივანი იყო. იმ დღეებში, თურმე, ბათუმში სტუმრად ყოფილა ჩამოსული პოეტი ხარიტონ ვარდოშვილი. პარმენ ლორიას ჩემი კრებული სარეცენზიოდ მისთვის გადაუცია. ხარიტონმა დადებითი რეცენზია დაწერა და ისურვა ჩემთან შეხვედრა. მაშინ სოფელში ვცხოვრობდი, მაგრამ სწორედ ჩამოვდიოდი ბათუმში. ამჯერად ქალაქში ჩამოსულს, პირველად შემხვდა გაზარებული პარმენ რურუა, შემაჩერა და მახარა, რომ ჩემი წიგნი გზას იკაფავდა გამომცემლობისაკენ. მირჩია, აუცილებლად შევხვედროდი ხარიტონ ვარდოშვილს. კიდევაც შევხვდი ამ მეტად თბილ და ტკბილად მოსაუბრე ადამიანს. დამამახსოვრდა მისი ბოლო სიტყვები: „ერთ კვირას კიდევ რომ ვრჩებოდე, მე ავიღებდი შენი წიგნის რედაქტორობას. ეს ლექსები გამოცემის ღირსიაო“, მაგრამ ეს წიგნი არ გამოსულა.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა მ ე ო რ ე: აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის 1958 წლის საგამომცემლო გეგმაში შეტანილი იყო ჩემი კრებულიც სახელწოდებით — „სიცოცხლის წყარო“. რაკი იმ ხანებში გამომცემლობის დირექტორიც გახლდით, ჩემი წიგნისადმი მეტ მომთხოვნელობას ვიჩენდი. იგი წინასწარ წავაკითხე რამდენიმე ჩემს კოლეგას. ერთერთ მათგანს, წაკითხვის შემდეგ, რატომღაც არ უსურვებია თავისი აზრი უშუალოდ ჩემთვის გაეზიარებინა და წიგნი პარმენისათვის დაეტოვებია სიტყვიერი დასკვნით — არაფერი გამოვა ამ წიგნიდანო.

დანაბარები რომ გადმომცა, პარმენმა იქვე დაუმატა: არ გეწყინოს, ალბათ, უნებლიეთ წამოცდა ეს სიტყვები. მეც გადავათვალიერე და კმაყოფილი დავრჩი. ბევრი შესანიშნავი ლექსია შიგ. გამოეცი, ჩემო მაია, ყურს ნუ ათხოვებო!

„სიცოცხლის წყარო“ ისე დაიბეჭდა, რომ რედაქტორს თითიც კი არ დაუკარგებია. კრიტიკამაც დადებითად შეაფასა. ყალბი თავმდაბლობის გარეშე. იგი ერთერთ საუკეთესოდ მიმაჩნია ჩემს წიგნებს შორის.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა მ ე ს ა მ ე: ჩვენი გამომცემლობა მაშინ ლუქსემბურგის ქუჩაზე იყო. შესვენებისას პარმენს დავემგზავრე. საამო საუბრით ჩავყევით ქუჩას, ვხედავთ, მერცხლები ქანდარაზე შემომსხდარან და საამოდ ჭიკჭიკებენ.

— პარმენ, მოდი ცოტახნით ვუსმინოთ. ძალიან მიყვარს ეს ფრინველები. ერთი შეხედე, რა ლამაზი თეთრი მკერდი აქვთ-მეთქი.

პარმენს გაეღიმა — ესენი მერცხლები კი არა, ჭივჭავები არიანო, შემდეგ დაუმატა:

— მეც მიყვარს მერცხლები. მებრალებიან კიდეც, უშორესი მანძილის დაფარ-
ვა რომ უწყევთ გადაფრენის დროს. ჩემს ახალგაზრდობაში ერთი სული მქონდა, რომ
დის მოფრინდებოდნენ. ნამდვილი მერცხლები სწორედ ისინი იყვნენ, უფრო ლამაზ-
ნი, მოზრდილნი, მარდნი და საამოდ მოჭიკჭიკენი, სამწუხაროდ, თანდათან გადა-
შენდნენ. ამ უჯიშო ჭივჭივებმა დასჯაბნეს სიმრავლით.

— აღამიანებს შორისაც ასე ხდება-მეთქი.

— კარგი და ცუდი ყოველთვის იყო, არის და იქნება. მაგრამ ჩემის აზრით, ყვე-
ლაზე საწყენი ის არის, ღირსეული, სანდო კაცი გგონია და უცებ ხელთ შეგჩემა
უღირსი ვინმე, რომელსაც თუკი დასჭირდა, წმინდა ტაძარსაც ძირს გამოუთხრის.

— ებ, ჩემო პარმენ, — ვუთხარი მე, — შენ გინდა, რომ ყველა იყოს „ვეფ-
ხისტყაოსნის“ გმირებისთანა? მეც მინდა ასე. ყველა პატიოსან კაცს ასე უნდა, მაგ-
რამ აღამიანი ნაირნაირია. ასეთია ცხოვრება, ასეთია წუთისოფელი, ერთი უნდა შეგე-
კითხო, შენისთანა კაცის პასუხი მაინტერესებს. წაიკითხავ თუ არა ისეთი მწერლის,
პოეტის წიგნს, რომელიც არ არის მწინდა სულის კაცი?

პარმენი ჩაფიქრდა და მერე კატეგორიულად მიპასუხა:

— არა, არ წავიკითხავ! პოეტს, მწერალს არამარტო მისი ნაწარმოებოთ უნდა
ვაფასებდეთ, არამედ აღამიანობითაც.

კიდეც რამდენი ფაქტი მახსოვს ჩვენი ურთიერთობიდან! მაგრამ ამაზე უფრო
გულდაჯერებით დავწერ ჩემს მემუარებში...

ცოტა რამ მინდა ალაგ-ალაგ დავესხსო მის შვილს, ჩვენს მეგობარ მწერალს
ილია რურუას, რომელიც მამაზე წერს: „იგი ერთბაშად ინადირებდა აღამიანის გულს
მოკრძალებითა და გულწრფელობით, სისადავითა და ზნეობრივი სისპეტაკით... არ
მახსოვს ერთხელ მაინც ეკადრებინოს ტყუილი სიტყვა... მოუსყიდველი პატიოსნების
კაცს, სულგრძელობაც ამშვენებდა“. „მის არსებაში ბედნიერად იყო შერწყმული
რომანტიკული სილბო და ვაჟკაცური ფოლადიანობა“.

მართლაც, იგი ვერ იტანდა მლიქვნელსა და ფარისეველს, ისეთ კაცს, რომელიც
გარემოებისდა მიხედვით ქამელეონვით იცვლება, სძაგდა წვრილმანი, კუთხური
ინტერესებით გონებაშეზღუდული კაცი. იგი დიდსულოვანი ქართველი და თავისი
ქვეყნის გულმხრულად პატრიოტი იყო. „კუთხურ სიტყვებს ყოველდღიურ სასაუბრო
ენაშიც არ ითმენდა, მშობლიური ენის სიწმინდის ფანატიკური დამცველი იყო“.
გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა უბის წიგნაკი, რომელშიც ანდერძი-
ვით ჩაუწერია: „შვილო ჩემო, მე შენ გზრდიდი არა წვრილმანკაცობისათვის, არამედ
დიდებისათვის. ამიტომ ვამბობ: გზაც იქითკენ გქონიაო!“ ამ ორიოდ პწკარში
აღამიანის ზნეობრიობის შესახებ ღრმა აზრი დევს. თვითონ ხომ ეხურა კაცური კა-
ცის, ნამუსიანი კაცის ქუდი, იგი მაღალზნეობრიობის გამომხატველი ეტალონი იყო.
რაოდენ ძვირფასია ამისთანა კაცი!

ამ ანგელოზ კაცს კლასიკური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ, როგორც იტყვიან,
კარგად ნაკითხი იყო. უყვარდა ვარსკვლავებით მოჭედული ცა. ეს მისი პოეტური გა-
ტაცება იყო. ჩემთვის უთქვამს: ისე ვკითხულობ ცას, როგორც წიგნსო. ეადვილებო-
და ცის რუკის კითხვა, ასტრონომიული კალენდრების, ამოცანების გამოყვანა. ბოლო-
მდე გაჰყვა კოსმოსური საიდუმლოებების შეცნობის ინტერესი, რადგან ამ მეცნიერე-
ბისაკენ დიდი მისწრაფება ბავშვობიდანვე გამოჰყოლია. მის ხელში არაერთხელ მიწა-
სავს ასტრონომიული ხასითის წიგნი...

პარმენ რურუას ფანატიკურად უყვარდა მშობლიური ლიტერატურა და ისტო-
რია. მწერალთა კავშირში, როცა რომელიმე პოეტის ლექსებს ვიხილავდით, მაკვირვე-
ბდა მისი საღი მსჯელობის უნარი და ფართო ოიაპაზონი. მომადლებული ჰქონდა

ფაქიზი გემოვნება და ალღო, ნაწარმოებს ზუსტად შეაფასებდა ხოლმე. ამასთან არ იყო ზოგიერთივით ასოკირკიტა. შეეხებოდა მთავარს, ნაკლსაც ეტყოდა და კარგსაც. იგი ხომ დაბადებული იყო სიკეთისათვის და აქაც ჩანდა მისი ღვთიური სულისკვეთება. თაყვანს სცემდა კლასიკოსებს. განსაკუთრებით უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც მთლიანად ზეპირად იცოდა. მამას ჭირიმე, მამას ჭირიმე, — იტყოდა ხოლმე ნიკოლოზ ბარათაშვილზე და ამით გამოხატავდა განსაკუთრებულ თაყვანისცემას ამ გენიოსი პოეტისადმი.

პარმენის გარდაცვალება მტკივნეულად განვიცადეთ მისმა კოლეგებმა. უმაღლესი მოვიყარეთ მის ცხედართან. ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გული მიტრის. აბა, როგორ არ მოგგვრის ტკივილს ისეთი კაცის დაკარგვა, რომლის სიწმინდე შენც სულიერად გზრდიდა, გაფაქიზებდა და გაიმედებდა.

მახსოვს, რამდენმა ხალხმა გააცილა უკანასკნელ გზაზე ჩვენი პარმენი... და იქ საფლავთან, ჩვენც ვუთხარით მას უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვები.

მინდა გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი, რომლის შესახებ თვითონ ილია რურუა წერს: „1963 წლის დამლევს ბათუმში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გამსვლელი სესია. ერთერთ სხდომაზე იოსებ ნონეშვილი არჩევდა პოეზიას „ლიტერატურული აქარის“ გვერდებზე. მან განსაკუთრებული გულთბილობით მოიხსენია ყურნალის ერთერთ ნომერში დაბეჭდილი ლექსები ახლადგარდაცვლილი მამაჩემისა, განსაკუთრებით „ღრუბელი ლურჯ ცაზე“, და როცა პლენუმის მონაწილეთა თხოვნით იოსებ ნონეშვილმა ლექსი მთლიანად წაიკითხა, ატყდა ერთსულოვანი ტაში“. დიახ, პარმენს აქვს ისეთი ლექსები, რომელთა წაკითხვა ყოველთვის კმაყოფილებასა და სიხარულს მოგვგვრის.

ერთგან აკაკი ამბობს, მცირეძალოვანი პოეტებიც მომრავლდნენ, რომელთა დაოკება და შეკავება თითქმის შეუძლებელია, როგორც ზვავისო.

ახლაც ასეა, ამ თვითგანებივრებულთა ჩვეულებაა საკუთარი თავის განდიდება, ხოლო სხვათა ძრახვა შინ და გარეთ. მათგან ხშირად გაიგონებ სიტყვებს: „ეს რა პოეტია, ის რა პოეტია!“ მოწყურებით დახარბებიან კარგი პოეტის ტიტულს და ლექსის ამ მთხზველებს დაჩემებიან ავყიანობა, საკუთარი თავისა და ერთმანეთის ქებადიდება. მათ ქცევაში გაყალბებულია ზრდილობის, ეთიკისა და მორალის ხელიხელ საგომანებელი ნორმების მარგალიტები, ეთიკური სიხალასე ხომ ბუნებრივი ნიჭიცაა და ყველა როდია ამ მადლით მირონცხებული...

და მე მაგონდება ჩვენი პარმენის ერთი ფრიად მისაბამი თვისება: იგი ეძებდა და პოულობდა კარგს და უშურველადაც შეაქებდა კოლეგას. ის ამ მხრივ ჭეშმარიტად რაინდული სულის ადამიანი იყო... და პოეტი ხომ რაინდული სულისკვეთების მოღვაწე უნდა იყოს. პარმენმა კარგად იცოდა სხვისი და თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობაც. ეს უაღრესად თავმდაბალი პიროვნება, ყველაფერში ავლენდა დარბაისლობასა და ტაქტს... თუ კი შენ მწერლობის ღვთიური გზა აირჩიე შენი გულის ძახილის შეგონებით, უნდა იყო კიდევ მისი შესაფერი ღირსების ადამიანი. სწორედ ასეთი გახლდათ ბატონი პარმენი...

თუკი ჩვენ გულმოდგინედ შევადგენთ პარმენ რურუას რჩეულს, ეს წიგნი, მჭერა, სიყვარულით შეამსკვალავს დამწერსა და ხალხს. მე აქამდე ზეპირად მახსოვს 1928 წელს დაბეჭდილი მისი ლექსი „ბათუმიდან ომფარეთამდე“. პირველად რომ გავიცანი, სწორედ ეს ლექსი ვუთხარი, ამჭერადაც ამ მადლიანი ლექსით მინდა დავამთავრო ჩემი სიტყვა უფროს მეგობარზე...

გავშორდით ბათუმს მატარებელით,
გზა წინ იშლება ბაღით, მდელოთი,
თვალი ითვრება მწვანე ველებით,
გული კი მთების სადღეგრძელოთი.

მახინჯაური და მწვანე კონცხი
იტაცებს გრძნობას, ზღვაზე ბურია,
როგორც ქალწული ნაზი და მორცხვი,
შორიდან ისე მოჩანს გურია.

ფიქრები გულში ძაფებს ნასკვავენ,
სხვადასხვანაირს, სხვადასხვა ფერებს,
ბრძოლა გურულთაც გადახდომიათ,
მათი გმირობა ახსოვთ ამ სერებს.

მთებს მთები სცვლიან და ველნი ველებს,
ახლა ჩვენს სულში აღარც ბურია,
ჩემი სალამი და აღტაცება
ძვირფასო მხარევ, მკვირცხლო გურია!

ჰა, ომფარეთიც, ჰა, ომფარეთიც,
ცა მტრედისფერი, მყუდრო სოფელი,
აქ ყველაფერი თვალებს იტაცებს, —
ასე ტურფა და შვების მომფენი.

ხარბად ვუცქერი მწვანე სანახებს,
სიმინდის ყანა ლალად ბიბინებს,
ამის სადარი, აბა, მანახეთ,
თუნდაც ქვეყანა შემოირბინეთ.

ოცნების ფრთები შორს მიშაქროლებს,
წინ სიხარული მიძღვის პეპლებად,
მთით მონასხლეტი ცელქი ნიავი,
როგორც ფარვანა, თავზე მევლება.

შენ ღვთის ნაკურთხო, ფირუზციანო,
ზურმუხტოვანო, შენ გენაცვალე,
ჩემო გურიავ, შენი ტრფიალის
ლექსებით სავსე თასი დავცალე!

მთები მთებს სცვლიან და ველნი-ველებს,
გზა წინ იშლება ბაღით, მდელოთი,
თვალი ითვრება მწვანე ველებით,
გული კი მთების სადღეგრძელოთი.



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

წარსულიდან

ფეოდალური ქართული საპროცესო სამართლის შესანიშნავი ძეგლია ბაგრატ მე-
ოთხის (1027-1072) „ბრძანება და სიგელი“, რომელიც ორი განთქმული სავანის —
ოპიზისა და მიჯნაძორის საადგილმამულო დავას ეხება.

ოპიზა „საქართველოს სინაის“ ანუ „ათორმეტთა უდაბნოთა“ „უპირველესი“
(ქამთალმწერელი) სავანე იყო; მდებარეობდა კლარჯეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექ-
ტორში „მთათა შინა ღაღოსათა“ (ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 259).

ბაგრატ IV-ის სიგელიდან და სხვა წყაროებიდანაც (გიორგი მერჩულე, ქამთალმწე-
რელი...) ჩანს, რომ მიჯნაძორი ოპიზას მეზობელი უდაბნო იყო (იქვე, გვ. 260). თუმცა
ზოგიერთი ავტორი რატომღაც მათ შორის ხანძთას გულისხმობს (პ. ინგოროყვა, გიო-
რგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 308).

ამ დოკუმენტში, ძველ სიგელებზე დაყრდნობით, მითითებულია მიჯნაძორის უდა-
ბნოს ადგილ-მამულის რამდენიმე საზღვრის ხაზი (სამხრეთი, დასავლეთი, ჩრდილოე-
თი); სამხრეთით — „სამწყრისა წყალი — ვითა შავშეთისა წყალსა ჩაერთვის“ (ქარ-
თული სამართლის ძეგლები, II, თბილისი, 1965, გვ. 9).

ამ ჰინდრონიშმა ჩვენამდე მოაღწია. ახლა ასე იწოდება იმერხევის ერთ-ერთი მარ-
ცხენა შენაკადი ანჩის სექტორში, მაგრამ ეს რაიმე დაბრკოლებას არ უქმნის „გარდა-
წყვეტილების“ წიგნის (XI ს.), „სამწყრისა“ და ამ მდინარის ჭაიგივებას, რადგან რო-
გორც ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა, იმერხევი გვიანდელი სახელი ჩანს მდინარისა, რო-
მელსაც ადრე შავშეთის წყალი რქმევია შესართავამდე (ქართველი ერის ისტორია, II,
თბილისი, 1948, გვ. 21).

იმავე სამხრეთის მიჯნაზე იმავე ძეგლში დასახელებულია აგრეთვე „ტიხარის
კლდე“, თუმცა არც აქ თავდებოდა საზღვარი და ამას იქეთაც მიემართებოდა „ქედ-ქედ“.

უფრო მარტივად გამოიყურება დასავლეთის საზღვრის ხაზი, რომელიც „ეჟუანთა
ქედზე“ გადიოდა.

მიჯნაძორის ჩრდილოეთი საზღვარი ჯერ „დიდუბისა ხერთვისსა“ და „საქათმის
კარს“ გასდევდა, ხოლო შემდეგ „ქედ-ქედ“ მიდიოდა და „ერთ-კარად“ წოდებულ „დიდ
ქედზე“ მთავრდებოდა (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 9).

ოპიზა მიჯნაძორს სწორედ ამ ქედის სექტორში ემიჯნებოდა და სადავოც აქ ჰქო-
ნიათ. ამას მოწმობს ბაგრატის სიგელის ცნობა: „ესე ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნა-
ძორელთა ზედა; და ქედს ამერიით (ე. ი. აღმოსავლეთით—ი. ს.) არა უც საქმე და
სასარჩლოი ოპიზართა, სათესველთა სათიბისაგან კიდე“ (იქვე; ხაზი ჩვენია — ი. ს.).

ბაგრატ IV-ის დროს, რადგან „ქუეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა“, როგორც „მა-
ტიანე ქართლისა“ მიუთითებს, „ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ
იკითხვებოდეს“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 315). მაგრამ ოპიზართა და მიჯნაძო-
რელთა შფოთი იქამდე გამწვავებულა, რომ მეფეს არ შეეძლო, არ მოეცალა მათთვის
და აი, მივიდნენ კიდეც მოღავენს ქუთათისს — მეფის სატახტოს.

საინტერესოა, რომელი გზით იარეს მათ.

მოკლე გზა შავშეთის წყლის ხეობიდან მიქიხიანის ხევზე მიდიოდა, შემდეგ ერგონი და ხევყრუთი ბათომს; აქედან ჩრდილოეთით მიიქცეოდა და ქაჯთა ციხითა და ლეხორით მიემართებოდა ჯუმათ-ყელასაკენ, ხოლო შემდეგ ქედ-ქედ მიადგებოდა ქუთათის სამოქალაქოს.

უდაბნოს მამებსაც თითქოს ამ გზით უნდა ესარგებლათ, თუმცა არც ყველი-ოცხე ხანისწყლის გზა იყო ურიგო.

სასამართლოს შეკრებამდე მეფეს გულმოდგინედ შეუსწავლია სარჩელის ასავალ-დასავალი და არც საქმის ვითარების შეცნობა გაძნელებია, მაგრამ სირთულე ის იყო, რომ ვერც ერთს დასტოვებდა „უნუგეშინისცემოდ“ და თანაც ეს თავის „დათმენის“ ხარჯზე უნდა მოეხდინა.

და ამას უბრალოდ როდი ჩადიოდა. იმ ძნელ დროს გონიერი მეფე სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. მაგრამ ვიდრე ამას მოიმოქმედებდა (სააჯო კარზე) სერიოზული ბჭობა გამართა.

საქმის გარჩევაში მონაწილეობდნენ: „მღვდელ-მოძღვარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა კევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“.

სასამართლოს მეფე უძღოდა.

პირველად დოკუმენტები წაუკითხავთ, ხოლო შემდეგ „სიტყვის-გებაი“ გაშლილა. გაიმარჯვეს მიჯნაძორელებმა, მაგრამ არც ოპიზარნი გაუნაწყენებიათ და სოფელ „შარევანის“ ბოძებით ისინიც „გულსავსე“ გაუშვეს.

ამგვარი „გარდაწყვეტილების“ შედეგი გაცილებით უფრო სასარგებლო იყო ქვეყნისათვის, ვიდრე ერთი სამეფო სოფლის დათმობა.

ბაგრატის დროს მხოლოდ მეფე იყო უმაღლესი მოსამართლე, დავითმა კი ამისათვის დაადგინა „კაცნი მართლად მცნობელნი და გამომკითხველნი მომჩივართანი“. დავითის ისტორიკოსი უმაღლესი სასამართლოს ამგვარი რეფორმის მიზეზსაც ასახელებს: „შირი მიმოსვლის გამო მეფეს „ვერ ადვილად მიემთხუეოლიან მომჩივარნი“.

ასევე იყო ბაგრატ IV-ის დროსაც, მაგრამ მაშინ ასეთი რეფორმის აუცილებლობამდე ჯერ კიდევ ვერ ამაღლდა სამეფო კარი. ამიტომაც „მატიანე ქართლისას“ არ იყოს, მრავალი გაუკითხავად რჩებოდა.

ბაგრატ IV-ის „გარდაწყვეტილება“ საპროცესო სამართლის ტერმინოლოგიითაც იქცევს ყურადღებას: „დაწერილთა“ „წაკითხვა“, „სიტყვის-გებაი“, „სამართლად გაგონება“, „ბრალად შენახვა“, „საქმე და სასარჩლო“, „უნუგეშინისცემოდ გაშუება“, მოდავის „გულსავსე“ გაშვებაზე ზრუნვა, „თავსა დათმენა“, „გარდასწყვეტა“, „საზიდი და სარჩელი“, „სასჯელთაგან საუკუნეთა“ ხსნა, „დამტკიცება“, „შლა და შეცვალება“, „ნაქნარის დაქცევა“, „მოსაჯული“, „შეწუხება“, „საბჭო“ და სხვ; სამართლის მოქმედთა საბჭო: მეფე, მღვდელ-მოძღვარნი, ერისთავთ-ერისთავნი, აზნაურნი, „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“.

ყველაფერი ამის შესწავლა და სხვა ქვეყნების სამართლის ძეგლებთან შედარება ცხადყოფს ქართული იურიდიული აზროვნების მაღალ დონეს. სახელდობრ, ქართული სამართალი იმ დროს უკვე ნაზიარებია იმ საკანონმდებლო ნორმებს, რაც მაშინდელი კულტურული მსოფლიოს მოწინავე ქვეყანაში — ბიზანტიაში მოქმედებდა.

მაგრამ ქართველები მექანიკურად როდი ნერგავდნენ უცხო ქვეყნის მიღწევებს, ისინი სხვათა გამოცდილებას მოხერხებულად უხამებდნენ მშობლიური მხარის ისტორიული განვითარებით შექმნილ მემკვიდრეობას.

და მხოლოდ იურიდიულ სფეროში როდი იყო ამგვარად. ასევე იყო საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებშიც.

„მე კვლავაც მიმღვრებით...“

შვილი საოცარი დღე მუსიკის სამყაროში! — ასე უწოდეს ფესტივალს „ბათუმის მუსიკალური შემოდგომა“, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში ჩატარდა. ხელოვნების ამ ჭეშმარიტ დღესასწაულში მონაწილეობდნენ საოპერო სცენის გამოჩენილი ოსტატები, ორკესტრები, გუნდები, კაპელები, ვოკალური ანსამბლები...

მრავალრიცხოვან მაყურებელთა, მსმენელთა და, აგრეთვე, მონაწილეთა საერთო აღიარება დაიმსახურა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, ვოკალისტმა ბარსელომ. ნას საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა მაია თომაძემ.

ჩვენი საუბარი შედგა ფესტივალის დახურვის დღეს, ბათუმის სახელმწიფო თეატრში ბავშვებისათვის გამართული დიდი კონცერტის შემდეგ. დრო ცოტა ჰქონდა მომღერალს, მატარებელზე მიეჩქარებოდა. შეხვედრის შესახებ წინადადით შევთანხმდით. შევადგინე გეგმა, მისი ყველა დეტალი ავწონ-დავწონე.

— ბედნიერი ხართ? — ასეთი იყო პირველი შეკითხვა.

სდუმდა. ბოლოს წარმოთქვა:

— მე ორი ბედნიერება მაქვს. უფრო სწორად ორი ცხოვრება — ოჯახური და შემოქმედებითი. ოჯახში ბედნიერი ვარ, მყავს ვაჟი — გიორგი. იგი ცამეტი წლისაა. ქალისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება დედობაა. ხელოვნებაში... არა.

— არა? თქვენ ასე თქვით?

— ნუ გიკვირთ. მაქვს დიდი და მცირე გამარჯვებები. წარმატებები, ეს, რასაკვირველია, მახარებს. ზოგჯერ მეჩვენება კიდევაც, რომ ბედნიერი ვარ. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მეჩვენება. ვიცი, ვგრძნობ, როგორ უნდა ვიმღერო, მაგრამ არ გამოდის. თანდათანობით, ალბათ, მივალწევ. უნდა მივალწიო.

— მჯერა. მე საოპერო ხელოვნების ტრფიალი განლავართ. კარგად მახსოვს თქვენი დებიუტი. მას შემდეგ ათი თუ თორმეტი წელი იქნება გასული. მთავარ პარტიას ასრულებდით დიდი ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. თქვენმა ეთერმა მომხიბლა და საგონებელშიც ჩამაგდო და განა მარტო მე... არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი და გიკრავდით ტაშს. ახალი ამომავალი ვარსკვლავი გიწოდეთ მაშინ. არც შევმცდარვარ. თუმცა აღიარება ორიოდ წლის წინ მოიპოვეთ. რატომ ასე გვიან?

მაიამ თავი დახარა. თვალებში ნისლი ჩაუდგა.

— ცხოვრება რთულია. იყო მიზეზები. ზოგი ობიექტური. უმთავრესად სუბიექტური, მაგრამ მე მჯეროდა, რომ... მჯეროდა და ვიცოდი. ჩემს მეგობრებსაც სჯეროდათ — ზურაბ ანჯაფარიძეს, ალექსანდრე ხომერიკს... მშობლებს. და, რაც მთავარია, გულიყო ქართველიშვილს. იცნობთ?

— არა.

— ჩემი პედაგოგია. დიდი ქართველი მომღერლის, თბილისის სახელმწიფო კონსერ-

რვატორიის პროფესორის სანდრო ინაშვილის აღზრდილი. უნიკალურია ინაშვილის
ვოკალური სკოლა. იგი კახური ხალხური მღერადობისა და იტალიური „ბელკანტოს“
თავისებურებების შერწყმა გახლავთ, სადაც ყურადღება ბგერის მელოდიკაზეა გა-
დატანილი ყველა რეგისტრში. ქალბატონი გულიკო ახლაც თავისი დიდი პედაგოგის
საქმეს განაგრძობს.

— თქვენ დაიბადეთ და გაიზარდეთ ვოკალური ტრადიციების ოჯახში. მამათქვენი,
ბატონი პეტრე, ცნობილი ბანი, თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი იყო, ძმა —
სანდრო — თქვენი კოლეგა და პარტნიორია ოპერის თეატრის სცენაზე. თქვენი მომა-
ვალი, ალბათ, თვალნათლივ განსაზღვრული იყო?

— არა. სამუსიკო სასწავლებელი ვიოლინოს კლასით დავამთავრე. მგონი, არცთუ
ცუდად ვუკრავდი. ვმღეროდი ჩემთვის. ერთხელ დედამ განაცხადა, რომ მე ხმა
მაქვს. მამაჩემი, პროფესიონალი მომღერალი და პედაგოგი, არ დაეთანხმა.

კონსერვატორიაში სოლო სიმღერის ფაკულტეტზე მოვეწყვე. მამა მაინც თავისას
იმეორებდა, მაგისაგან მომღერალი არ გამოვაო.

ერთხელ, ყურადღებით მომისმინა და თქვა, დედაშენი, მგონი, მართალიაო. ეს
იყო ჩემი ყველაზე პირველი და მთავარი გამარჯვება. მე მან აღმანთო, იმედი შთამბე-
რა. გირჩემუნე თავი. მალე, 1971 წელს იუგოსლავიის ქალაქ ოხრიდის სტუდენტ-
ვოკალისტთა კონკურსის მონაწილე გავხდი. ამ კონკურსის ორგანიზატორი გახლდათ
მაშინ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, საოცრად ნიჭიერი და კარგი სცენური გარეგ-
ნობის ესპანელი მომღერალი ხოსე კარელასი.

— მოგვიყევით ბარსელონას საერთაშორისო კონკურსის შესახებ.

— იგი ყოველწლიურად ტარდება. ამ საინტერესო კონკურსის დამაარსებელია
არანაკლებ ცნობილი საოპერო მომღერალი პლაჩიდო დომინგო. მაშინ ის ეიურის
თავმჯდომარეც იყო.

— გჯეროდათ, რომ გაიმარჯვებდით?

— არა, მაგრამ ვოცნებობდი. დღისითაც და ღამითაც... გამარჯვების შემდეგ მოვი-
და აღიარებაც, მიწვევები... ვმღეროდი უნგრეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, პო-
ლონეთის, ესპანეთის, ავსტრიის საოპერო თეატრების სცენებზე.

— ფილიპინები გამოგრიჩათ.

— ეს ახლახან იყო, ფილიპინებზე ტარდებოდა საქართველოს კულტურის დღე-
ები. საბჭოთა ვოკალურ ხელოვნებას მე და ზურაბ სოტკილავა წარმოვადგენდით. ამაზე
დაწვრილებით წერდა ჩვენი პრესა.

— მოდით, ისევ ბათუმს დავუბრუნდეთ, — ვთქვი მე.

მაიამ შვებით ამოისუნთქა.

— თანახმა ვარ. იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ბათუმი ჩემს გულში თბილისის გვე-
რდითაა. მეორეც, ვგრძნობ, ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება...

საუბარი მაინც კარგახანს გაგვიგრძელდა.

— თქვენი ყველაზე საყვარელი საოპერო პარტია?

— ეთერი.

— ყველაზე რთული?

— აიდა.

— რატომ?

— აიდას სახე რთულია და ღრმაა. თანაც ძალიან ლამაზი, რომანტიკული, პეროიკუ-
ლი და ლირიკული. ნათელი პიროვნებაა აიდა, თანაც ამაყი, ტრაგიკული, ყველაფერი
ეს სიმღერით უნდა გამოხატო, თამაშით აჩვენო...

ცნობისათვის: თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატ-

რმა ფესტივალზე ბათუმში სწორედ „აბესალომ და ეთერი“ და „აიდა“ ჩამოიტანა. წამყვან პარტიებს მაია თომაძე ასრულებდა.

— რამდენიმე სიტყვა ფესტივალის შესახებ, თუ შეიძლება.

— იგი როგორც იტყვიან, მაღალ რეგისტრში ჩატარდა. წარმატება დიდი იყო და მე შეამაყება, რომ მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვიყავი. დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს ღირიქორმა ჯანსუღ კახიძემ და მომღერალმა ალექსანდრე ხომერიკმა — მუსიკალური ხელოვნების ამ საოცარი დღესასწაულის ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა. ფესტივალის კულმინაცია იყო ბათუმის საკონცერტო დარბაზის გახსნა ძველი კათოლიკური ტაძრის შენობაში და იქ გამართული დიდი კონცერტი. ეს გახლავთ არა მარტო აჭარის, მთელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ნამდვილი მოვლენა.

— ხარვეზები იყო?

მაია ჩაფიქრდა.

— გითხრათ? გულწრფელად გითხრათ? ~~აჰ, მაგრამ არა თქვენის მხრივ. მონაწილეები ბევრი ჩამოვედით, ძალიან ბევრი, მაგრამ მთავარი დატვირთვა რატომღაც სამ მომღერალს — ჯემალ მდივანს, ალექსანდრე ხომერიკსა და მე დაგვაწვა. ბევრი ნიჟიერი მომღერალი ჩრდილში დარჩა.~~

— მაგალითად?

— თუნდაც ლიანა კალმახელიძე. იგი ნიჟიერი და თვითმყოფადი მომღერალია. ფესტივალის დიდი მოვლენაა და მასში მონაწილეობა ყველა მომღერლისა და მუსიკალისათვის პატივს წარმოადგენს, ლიანას კი ტკივილი მივაყენეთ. ტალანტებს მოვლა სჭირდება.

— გეთანხმებით... სპექტაკლებსა და კონცერტებს შორის, ალბათ, თავისუფალი დროც გრჩებათ. მაშინ რას აკეთებთ?

— თავისუფალი დრო არა მაქვს. არის მოკლე შუალედები... ო, ღმერთო, რა კარგია ძილი. ვნატრობ, ერთი კარგად გამომაძინა-მეთქი...

— უახლოესი გეგმები?

— ხვალ, თუ, რასაკვირველია, მატარებელი არ დაიგვიანებს, დილით თბილისში ვიქნები, საღამოთი — თელავში, სადაც, აგრეთვე, კამერული მუსიკის ფესტივალია... თქვენთან თხოვნა მაქვს.

— ბრძანეთ.

— მივემგზავრები, გული კი აქ მრჩება. თქვენ, ბათუმელები, გულწრფელი ხალხი ხართ, კეთილმოსურნე და თბილი. გიყვართ ნამდვილი ხელოვნება, აფასებთ მას. მე ამას ვგრძნობდი და ვხედავდი. მომიწვიეთ კიდევ და მე გიმღერებთ, მაგრამ... მხოლოდ იმ საკონცერტო დარბაზში, ძველ ტაძარში რომ გაიხსნა. კარგი?..

საუბარი ჩაწერა ვახტანგ ახვლედიანმა.





ს კ ლ ე რ ი ზ ი

— ერთ თვეში გაოიარე, — მითხრა მან.
— წაიკითხეთ?! — ღაჟკარიჯე მე.
— ერთ თვეში! — გაიმეორა მახ.
— წაიკითხეთ! — ამიკანკალდა ხმა.
— იცით რა, მოიბოდიშა რედაქტორმა, თქვენი ნაწარმოები დაიკარგა, მოიტანეთ ახალი.

— კინოში წავიდეთ, — მითხრა მეგობარმა. თან ჯიბეში რალაცის ძეხა დაიწყო.

— მანქანის გასაღები დამეხნა, მაგრამ სულ მალე ვნახავ, — თქვა მან, — და დაუსტვინა, პასუხად ტუ-ტუ გაისმა. ისევ დაუსტვინა, გასაღებიც ვნახეთ... პატარა ბრელოკმა გვიშველა, რომელიც ჩვენს სტვენაზე გვაძლევდა პასუხს.

გონება უცებ გამინათდა.

— მაჩუქე! — ვიკივლე მე.

— რას ამბობ, ასი მანეთი მაქვს მიცემული.

— ორასს გადაგიხდი!

— რად გინდა? — შევეცოდე.

— მერე გეტყვი, ვუთხარი და სასწრაფოდ სახლში წავედი. ჩემს ნაცოდვილარ ქაღალდებს ბრელოკი დავამაგრე და კვლავ რედაქტორთან შევედი.

— რაა ეს? — გაუკვირდა.

— ბრელოკი.

— აქ რა უნდა?!

— თუ ისევ დაიბნევა ჩემი ნაწარმოები, ჩაუსტვენთ და აუცილებლად
მიაგნებთ.

— ტყუილუბრალოდ დაგბადებია იმედი...

— როგორ?!

— დამავიწყდება.

— რა!

— ჩასტვენა.

— რატომ? — გამიკვირდა მე.

— სკლეროზი მაქვს, — გამიღიმა რედაქტორმა.



გაიხსნა კულტურის ცენტრი

ცნობილი მრეწველისა და მეცენატის სტეფანე ზუბალაშვილის შეკვეთით იტალიელ ხუროთმოძღვართა მიერ X საუკუნის დასაწყისში ბათუმში აშენებულ ეკლესიაში წლების მანძილზე განლაგებული იყო სხვადასხვა დაწესებულებანი. ახლა იგი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ერთერთი ცენტრი გახდა.

ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივით გადაწყდა დიდებული ტაძრის მთლიანად განახლება და მისი გამოყენება ახალგაზრდობისა და მშრომელთა ესთეტიკური ფორმირებისათვის.

ტაძრის აღდგენა-განახლების სამუშაოები 2 მილიონ 300 ათასი მანეთი დაჯდა. თვით შენობა კი აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს სისტემას გადაეცა.

გახსნაზე აქ შეიკრიბნენ მშრომელთა, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა კომკავშირული მუშაკები, ომისა და შრომის ვეტერანები, ქალაქის საზოგადოებრიობა, სტუმრები.

კულტურის ახალი ცენტრი გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ. შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, დირიჟორი ჯ. კახიძე.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ზ. ფაღიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი, ლ. ჭყონია, საქართველოს სსრ სახალხო არტი-

სტები მ. თომაძე, ჯ. მდივანი, ა. ხომერიკი, თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობები, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზ. კვერენჩილაძე, ახალგაზრდა მომღერალი მ. ჯახუტაშვილი, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი კ. პლუჟნიკოვი, ხომხეთის სსრ დამსახურებული აკადემიური საგუნდო კაპელა, მახარაძის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრები, ბათუმის ზ. ფაღიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდი.

კულტურის ცენტრის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ემირიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. თაყაიშვილი, ამხანაგები ა. ახვლედიანი, ნ. ღუმბაძე, დ. დიასამიძე, ნ. ნადარაია, ზ. ფატლაძე, გ. ჩიგოგიძე, ა. ჯაიანი, თ. ბაზიაშვილი, შ. დავითაძე, გ. დიასამიძე, შ. ოქროპირიძე, საქართველოს სსრ სახტელერადოს თავმჯდომარე ა. სანებლიძე, მწერლები გ. აბაშიძე, მ. ლებანიძე, გ. ფანჯიკიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: თ. აბულაძე, გ. ლორთქიფანიძე, ო. მეღვინეთუხუცესი, რ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ე. ამაშუკელი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი მ. ბერძენიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნებისა

და ლიტერატურის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

* * *

კულტურის ახალი ცენტრის გახსნამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, აჭარის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, თბილისელი სტუმრები ეწვივნენ ბათუმის მთას, დაათვალიერეს ახალგაზრდული კულტურულ-სპორტული კომპლექსი, კომკავშირის მუზეუმი და საგამოფენო დარბაზი, დისკოთეკა, სადისკუსიო კლუბში შეხვდნენ ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, დაესწრნენ კომკავშირულ ქორწილს.

ამხ. ჯ. პატიაშვილმა ბედნიერება მიულოცა ახალშეუღლებულებს — ნ. ცენტერაძისა და ლ. ცეცხლაძის, ლ. ფაღვანდიშვილისა და რ. ლორთქიფანიძის, ლ. კლიმოვიჩისა და ა. აფანასენკოს წყვილებს.

სრულიად საქართველო აღნიშნავს

დიდი მეცნიერისა და მწიგნობარის ტბელ აბუსერიძის 800 წლისთავის იუბილეს მალე მთელი რესპუბლიკა აღნიშნავს.

ამ იუბილისათვის მზადების თავისებური ეტაპი იყო სახალხო დღესასწაული „ტბელობა“, რომელიც წელს მეცხრედ ჩატარდა.

ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ხულოს რაიონს ეწვივნენ საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გ. ენუქიძე, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი გ. ჩხეიძე, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ა. ალექსიძე.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჩიგოგიძემ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ნადარაიამ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. დუმბაძემ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა გ. კაკაღაძემ, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, პარტიის ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. შაინიძემ და ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. ნიუარაძემ ზეიმის მონაწილეებს წარუდგინეს საპატიო სტუმრები — ხელოვნებათმცოდნე აკაკი ძიძიგური, პროფესორები ს. ცაიშვილი, ლ. სანიკიძე და რ. მიმინოშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები გ. გეგეჭკორი, ლ. ანთაძე, „ბათუმელი“ თბილისელები: პროფესორი მ. გოგოლიშვილი, ლენინური პრემიის ლაურეატი, დრამატურგი ს. ულენტი, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე ა. აბაშაძე.

სახალხო დღესასწაული „ტბელობა“ გვიან ღამემდე გაგრძელდა.

„ოქროს საწმისი“

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიხსნა სატელევიზიო ფილმების I საერთაშორისო ფესტივალი. მისი ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, რესპუბლიკის სახტელერადიო კომიტეტი და საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, სსრ კავშირის სახკინო და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირი.

სახელმწიფო თეატრში თავი მოიყარეს ქალაქ ბათუმის მშრომელებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა. დარბაზში იყვნენ ფესტივალის

მონაწილეები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, შვეციიდან, იაპონიიდან, ჰოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

სიტყვით გამოვიდა და I საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს საწმისი“ გახსნილად გამოაცხადა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჩიგოგიძემ.

შემდეგ გამოვიდნენ სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. პოპოვი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ე. შენგელაია, მხატვრული, დოკუმენტური და მუსიკალური ფილმების ჟიურის თავმჯდომარეები ო. იოსელიანი, ვ. ლირკავაზი და ლე ლუიჯი.

შემდეგ დარბაზში შეკრებილთ აჩვენეს თეატრალიზებული სანახაობა, რომელმაც უცხოელ სტუმრებს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა საქართველოს წარსულსა და დღევანდელობაზე.

სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ ჩაატარა საქართველოსთან აჭარის დაბრუნების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ხახუტაშვილმა.

მოხსენებებით „აჭარის დაბრუნება და ქართული ინტელიგენცია“, „ბათუმის საკითხი. საერთაშორისო არენაზე ბერლინის კონგრესის პერიოდში“, „ბათუმის ოლქის მოსახლეობა პირველი

მსოფლიო ომის პერიოდში“, „ნაოსნობის განვითარების ისტორიიდან ბათუმის ოლქში (XIX ს. 60-70-იანი წლები)“, „აჭარის ავტონომიის შექმნის წინამძღვრები“ გამოვიდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები გ. ტოტოჩავა, მ. სიორიძე, უ. ოქროპირიძე, რ. უზნაძე, დ. ბერძენიშვილი.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც ჯემალ ჯაყელის დაბადების 60 წლისთავს მიეძღვნა.

საღამო გახსნა კირნათის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. კახაბერიძემ, იუბილარს მიესალმნენ რაიონის ცნობილი მეჩაიე, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი მ. კახაბერიძე, კირნათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ღულჯანიძე, სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე ე. წითელაძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზ. დიდმანიძე.

ჯ. ჯაყელის შემოქმედებაზე ისაუბრეს პოეტმა ზ. გორგილაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორმა ა. ახვლედიანმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. დიასამიძემ და სხვებმა.

იუბილარმა მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა ახალი ლექსები.

საღამო მიჰყავდა ჟურნალისტ ნ. ჯაფარიძეს.

* * *

ბათუმში, სტალინის ქუჩაზე მიმდებარე სახლს, სადაც 1940-1987 წლებში ცხოვრობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ამირან შერვაშიძე, გაუკეთდა მემორიალური დაფა.

მემორიალური დაფის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, რუსთავე-

ლის პრემიის ლაურეატი ფ. ხალვაში,
ჟურნალისტები. ა. ზამბახიძე, ნ. ჯაფარი-
ძე და სხვები.

* * *

აქარის ასსრ კულტურის სამინისტროს
და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა
ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქა-
რხნის კულტურის სასახლეში გამართეს
აქარის ასსრ ხელოვნების დამსახურებუ-
ლი მოღვაწის ოთარ წურქავას შემოქმე-
დებითი საღამო, რომელიც მისი დაბა-
დების 60 და შემოქმედებითი მოღვაწე-
ობის 40 წლისთავს მიეძღვნა.

ო. წურქავამ მადლობა გადაიხადა მი-
სი ღვაწლის დაფასებისათვის.

* * *

ჩვენი თანაქალაქელის ნუგზარ ერგე-
მლიძის სახელს კარგად იცნობენ პოე-
ზიის, მხატვრობისა და მუსიკის მოყვა-
რულები, რადგან მისი შემოქმედება
ერთდროულად სამ მუზას ემსახურება.

ბათუმის მხატვართა სახლში მოეწყო
ნ. ერგემლიძის ნახატების გამოფენა,

რომელმაც დამთვლიერებელთა
თო მოწონება დაიმსახურა.

* * *

აქარის მწერალთა ორგანიზაციის
კლუბში გაიმართა გამოჩენილი ქართ-
ველი მოაზროვნისა და ჟურნალის ზა-
ზა ფანასკერტელი-ციციშვილის დაბა-
დების 550 და სამკურნალო წიგნის,
„კარაბადინის“, შექმნის 500 წლისთავი-
სადმი მიძღვნილი საღამო. რომელსაც
ესწრებოდნენ აქარის ლიტერატურისა და
ხელოვნების, მედიცინისა და კულტუ-
რის დარგების წარმომადგენლები.

საღამო გახსნა აქარის ასსრ ჯანმრთე-
ლობის დაცვის მინისტრმა გ. ცივაძემ.
ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის ცხო-
ვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მო-
ხსენება წაიკითხა აქარის მედიკოს-ის-
ტორიკოსთა საზოგადოების თავმჯდო-
მარემ, მწერალმა რ. სურმანიძემ.

საღამოზე გამოვიდნენ პოეტები
შ. ზოიძე და ჯ. ქათამაძე, ბათუმის პე-
დაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი
ს. ციციანიძე.





„ჭოროხის“ 1988 წლის ნომრების შინაარსი

მოწინავე წერილები

„ჭოროხი“ 30 წლისაა.

მიმდინარეობს გარდაქმნა

თავდუმადე იური — როგორ ვიმუშაოთ ახლებურად, ნარკვევი, № 1.

ფუტკარადე ოთარი — სოფელი დონიერია, ნარკვევი, № 4.

პოეზია

ღავითადე ემენი — ლექსები, № 3, № 6.

დონადე ლუდოვიგი — ლექსები, № 2.
ვარშანიძე მამია — საბრძოლელა. პოემა, № 4.

თანდილაია იაშა — ლექსები, № 4.

თევზადე ბადრი — ლექსები, № 5.

თოთადე ლალი — ლექსები, № 3.

ზოიძე ზურაბი — ლექსები, № 2.

ზოიძე შოთა — ლექსები, № 1.

კასრადე დინარა — ლექსები, № 2.

მელია იაკობი — ლექსები, № 4.

შოისწრაფიშვილი პაატა — ფიქრის ნამცეცები, ლექსი, № 5.

ხაბაზი ამირანი — ლექსები, № 2.

ხვედელიძე ბაბო — ლექსები, № 6.

ქათამადე ჭემალი — ჩემს ძმას, ლექსი, № 1.

ჩაყელი ჭემალი — ლექსები, № 3.

პროზა

ასანიშვილი შოთა — წერასატანილი, მოთხრობა, № 6.

კუდბა ანზორი — ბიჭი და კაცი, მოთხრობა, № 1.

მარღანიძე ლადო — ობოლი მზესუმზირა, მოთხრობა, № 1.

მღვდლიაშვილი თინათინი — ჯოტო, მოთხრობა, № 2.

სამსონია ალექსანდრე — დრამატურგების ქალაქი, მოთხრობა, № 2, 3, 4, 5.

ქათამადე ჭემალი — თუ კაცს ენდობი, დოკუმენტური მოთხრობა, № 4, 5, 6.

ქუთათელაძე გენრიეტა — შემოდგომის ვერნისაყი, მინიატურები, № 8.

ახალი თარგმანები

ბულგაკოვი მიხეილი — ტარაკანი, მოთხრობა, თარგმნა გოდერძი ტოტოჩავამ, № 6.

ვისოცკი ვლადიმერი — მგლებზე ნადირობა, ლექსები, თარგმნა თინა შიოშვილმა, № 2.

კატულუსი — ლექსები, ლათინურიდან თარგმნა გიორგი ხომერიკმა, № 2.

რიმკიაფიჩიუსი ვიტაუტასი — სადილ-წვეულება, მოთხრობა, თარგმნა გიორგი სალუქვაძემ, № 1.

ქემალი იაშარი — ჩექარჯალი ახმედ ეფე. რომანის თავი, თურქულიდან თარგმნა იბრაიმ გორაძემ, № 3.

ჯეჯილი

ანანიძე ლევანი — ლექსები, № 1.

ახვლედიანი ვახტანგი — ორი მოთხრობა, № 1, რატი-მალტოლატი, მოთხრობა, № 4.

გორგაძე რევაზი — დედის ნატვრა, ლექსი, № 5.

კინწურაშვილი ვაჟა — არასოდეს ჩაიძირება, მოთხრობა, № 6.

ლუკავა აბდული — ლექსები, № 5.

ჩიქოვანი ლილი — „არ ვიცი, ბატონო“, № 3, „ვაი, ნანა“, № 4, „ოფლი და სისხლი, № 5, „იმ ღამეს გაუმარჯოს, რომელიც თენდება“, № 6.

ცეცხლაძე საზონი — ნახევარი საუკუნე პოლიგრაფიაში, № 1.

კვალი ნათელი

რურუა ილია — მზის ჩასვლის წინ, № 4.

სურმანიძე რამაზი — წერილები შავშეთიდან, № 1, 2, 3. ახალი მასალები ივანე ჯავახიშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან, № 6.

შარაშიძე ლადო — მსახიობის ღვაწლი, № 4.

მეგობრობის მერიდიანები

გოგია იუნონა — იქ, ოკეანის გადაღმა, № 1.

თურქია ამირანი — სუეცის აღმოსავლეთით, № 1.

ლაგაზად შვილის გამაზრდელი

ჯაფარიძე შოთა — დედაზე ვის არ დაუწერია, № 2.

გ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ახვლედიანი ვახტანგი — „მე კვლავაც გიმღერებთ“, № 6.

ღიასაშიძე ავთანდილი — ვასო გოდიაშვილის გახსენება, № 3.

ინტერვიუ ელგუჯა ამაშუკელთან, № 2.

შარაშიძე ლადო — რუსი მხატვრის ქართული სამყარო, № 3.

დაბრუნებული სახელები

რობაქიძე გრიგოლი — აკაკი, № 2, ეედოშვილი, № 3.

ბასილაძე ნოდარი — რით იწყება სამშობლო, № 5.

ბეჭირიშვილი იოსები — უცხოელების თვალთ დანახული აქარა, № 4, 6.

გურეშიძე თემური — ძმათა სიყვარული ყოვლად შემძლებელია, № 6.

ერქომაიშვილი ელენე — ფერთა ფუნქციები მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში, № 2.

ვარშანიძე მამიკა — კაცი, რომელიც უხმაუროდ ვიდოლ, № 6.

ჯაქარიძე შოთა — 110 წლის წინათ, № 6.

კომახიძე ზურაბი — სადაც ბავშვობა იწყება, № 1, გმადლობთ, აღმზრდებლო, № 5.

ნაცვლიშვილი პაულე — თეიმურაზ პირველი და გიორგი სააკაძე, № 5.

მეგრელიძე შამე — ახალი ცნობა შერიფ ხიმშიაშვილზე, № 3.

სიხარულიძე იყრი — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულიდან, № 6.

ქურიძე შოთა — დროის ტვირთის ინიციატივიანი ახწეს, № 4.

ჩავლეიშვილი ურადი — ბრძოლა საბჭოთა სკოლისთვის აქარაში, № 1.

შერვაშიძე გულიკო — ზნეობრივი აღორძინების გზაზე, № 2.

შამილიშვილი მაანა — ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ისტორიიდან, № 2.

კრიტიკა და იბლიოგრაფია

ბიბილეიშვილი ერი — „ჩიტის ბუდე“, № 1.

იშხნელიძე არჩილ, ტოლიაშვილი აკაკი — საინტერესო მოგონებები, № 2.

მურვანიძე ნინო — „ახლა იწყება ახალი თემა“, № 2.

ქურიძე შოთა — შედნ თავი შენი, ანუ დათა თუთაშხია, ზგორც ხასიათი, № 1.



ჩავლიეშვილი მურადი — ეროვნება-
თაშორისო კავშირები და საზოგადო-
ებრივი პროგრესი, № 5.

ხაზარაძე ნანა — „სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკი-
ნის ხანაში“, № 2.

ხალვაში ჯაჯა — სამოცდაათიანი
წლების ქართული რომანის ეთიკური
ასპექტი, № 5.

ჩხიკვაძე ზურაბი — სკლეროზი, № 6.

ღალაშვილი ელისაბედი — გვაჩუქეთ
სიხარული, № 5.

გასულ ორ თვეში — № 1, 2, 3, 4,
5, 6.



გარეკანის ზედა გვერდზე — „მტრედები“. გენადი ტულუშის ნახატის
რეპროდუქცია.

ნომერი დაფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

ფანო 40 კმ.

6109/40



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118